ევროკავშირი
საქართველოსთვის

სოფლის განვითარება მოშორებულ და მთიან რეგიონებში

ინოვაციური ბიზნესებისა და პროექტების მაგალითები საქართველოში სოფლის განვითარებისთვის

აგვისტო 2024

The Hague Academy for
local governance

IRC
ინოვაციებისა
და რეფორმების
ცენტრი

SGRC

ეს ანგარიში შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით, პროექტის „მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე“ ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ჰააგის აკადემია ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებში და ინოვაციებისა დარეფორმების ცენტრი (IRC), და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს

შინაარსი

1. შესავალი 4

2. ინოვაციის მნიშვნელობა სოფლის განვითარებაში 5

3. სოფლად ინოვაცია საქართველოში 10

4. სოფლის ინოვაციების მაგალითები 14

ყველის კოოპერატივი, რომელიც იყენებს წარმოების ტრადიციულ მეთოდებს (საქართველო) 14

სოფლის ცხოვრების მდგრადი გზით აღორძინება სოფლის ჰაბში (სერბეთი) 20

კულტურული სოფლის დაფუძნება ტრადიციული რეწვის ასაღორძინებლად (ყირგიზეთი) 25

განახლებადი ენერგიის სისტემები სოფლის მეურნეობის წარმოების მხარდასაჭერად (საქართველო) 29

ტექნოლოგიების გამოყენება ეროვნული პარკების მეტი ხელმისაწვდომობისთვის (ყაზახეთი) 34

ორგანული თაფლის წარმოების რეგიონული ბრენდინგი (მონღოლეთი) 40

თემის განვითარება სალაშქრო ბილიკებისა და ეკო-ბანაკების მეშვეობით (სომხეთი) 45

ციფრული პლატფორმა სოფლის მეურნეობის მიწოდების ჯაჭვის შესამოკლებლად (კოსოვო) 51

ღვინის ტურიზმის განვითარება სამხრეთ მორავიაში (ჩეხეთის რესპუბლიკა) 57

ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობა მადაბას ქსოვის ტრადიციის პოპულარიზაციისთვის (იორდანია) 63

სოციალური მედია ვაჭრობისა და საერთო გამოწვევების საპასუხოდ (ყირგიზეთი) 70

5. დასკვნები და ნასწავლი გაკვეთილები 74

1. შესავალი

ამ ანგარიშში მოცემულია მთიან რეგიონებში სოფლის განვითარებაში არსებული ინოვაციების მაგალითები. ეს გამიზნულია ადგილობრივი მოსახლეობისა და მეწარმეების გამოყენებისთვის, რომლებიც მოიაზრებენ სოფლის ადგილობრივი განვითარების საგრანტო კონკურსში მონაწილეობას. ეს გრანტები გათვალისწინებულია პროექტით „მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე“, რომელსაც ახორციელებს ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი (IRC). პროექტი იყენებს LEADER მიდგომას სოფლის ეკონომიკური განვითარების მხარდასაჭერად.

ამ ანგარიშის მიზანია შთააგონოს და გააძლიეროს ადგილობრივი მეწარმეები, იმოქმედონ როგორც ცვლილების გამტარებლები მათი სოფლისა და მოშორებული რეგიონების განვითარებაში. ანგარიშში მოცემულია მაგალითების ნაკრები, რომლებიც საინტერესოა საქართველოში სოფლის განვითარებისთვის, მათ შორის ეკო-ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვის შესახებ. ასევე, ანგარიშში მოცემულია სხვადასხვა ტიპის ინოვაცია, რომელიც სთავაზობს მკითხველს შესაძლო ინოვაციების ფართო სპექტრს.

თითოეულ მაგალითს თან ახლავს ინოვაციის პასპორტი, რომელშიც მოცემულია ინოვაციის ტიპი და მიმართულება. ეს პასპორტი შესაძლებლობას აძლევს მკითხველს, პირველადი წარმოდგენა შეექმნას მაგალითისა და კონკრეტული კონტექსტისთვის მისი შესაბამისობის შესახებ.

წინამდებარე ანგარიში მოამზადა ჰააგის ადგილობრივი მმართველობის აკადემიამ.

2. ინოვაციის მნიშვნელობა სოფლის განვითარებაში

სოფლის ინოვაცია მოიაზრებს ახალი იდეების, ტექნოლოგიების, პრაქტიკების ან პროცესების შექმნასა და განხორციელებას, რომლებიც პასუხობენ სოფლის ტერიტორიების უნიკალურ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს. ის მიზნად ისახავს სოფლის თემების ეკონომიკური, სოციალური და გარემოს კეთილდღეობას ნაყოფიერების, მდგრადობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების გზით.

პირველ რიგში, ინოვაცია შესაძლებელს ხდის **ადგილზე ხელმისაწვდომი რესურსებისთვის დამატებული ღირებულების შეძენას**; ისეთების, როგორიცაა სოფლის მეურნეობის პროდუქტები, ბუნებრივი გარემო და კულტურული მემკვიდრეობა. მაგალითად, ღირებულების შემქმნელი გადამუშავებით სოფლად არსებული საწარმოები გარდაქმნიან სოფლის მეურნეობის პროდუქტებს უფრო მაღალი ღირებულების მქონე დელიკატესებად, ორგანულ კოსმეტიკურ პროდუქტებად ან ხელნაკეთ ნივთებად და ამით მათ ღირებულებათა ჯაჭვის უფრო დიდ ნაწილს ქმნიან ადგილობრივ ეკონომიკაში.

მეორე, სოფლის ინოვაციას აქვს პოტენციალი, **შექმნას ახალი დასაქმების ადგილები სოფლად**, შეამციროს დასაქმების ძიებაში კვალიფიციური მუშახელისა და ახალგაზრდების მიგრაცია/გადინება ურბანული ცენტრებისკენ. მრავალფეროვანი და კონკურენტული დასაქმების შესაძლებლობებით, სოფლად არსებულ ბიზნესებსა და პროექტებს შეუძლიათ, წვლილი შეიტანონ თემის მდგრადობაში, გააუმჯობესონ ცხოვრების სტანდარტი და შეინარჩუნონ კვალიფიციური მუშახელი და ოჯახები სოფლის ტიპის რეგიონებში.

მესამე, სოფლად არსებული ბიზნესები და პროექტები იყენებენ **მწვანე და მდგრად პრაქტიკებს** თავიანთი ინოვაციური სტრატეგიებისთვის. ეს მოიცავს განახლებადი ენერგიის გადაწყვეტების გამოყენებას, ეკო-მეგობრული წარმოების პროცესის დანერგვას, ორგანული ფერმერული მეთოდების გამოყენებას და ნარჩენებისა და დაბინძურების შემცირებას. ასეთი ინიციატივები ხელს უწყობენ გარემოს კონსერვაციას, ბუნებრივი რესურსების დაცვას, კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაციას და სოფლის თემებში მიწის მდგრადი გამოყენების წახალისებას.

მეოთხე, ინოვაცია მოიცავს **ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას**, როგორიცაა ციფრული მარკეტინგი და ელექტრონული კომერციის პლატფორმები. ამ ტექნოლოგიების გამოყენება საშუალებას აძლევს სოფლად არსებულ ბიზნესებსა და პროექტებს, გააუმჯობესონ ნაყოფიერება და პროდუქციის ხარისხი, წვდომა

ჰქონდეთ მათ საზღვრებს მიღმა უფრო ფართო ბაზრებთან და დაუკავშირდნენ გლობალური მიწოდების ჯაჭვებს. ამის კეთებით მათ შეუძლიათ გააძლიერონ კონკურენცია და გრძელვადიანი მდგრადობა.

მეხუთე, ინოვაციურ მცირე და საშუალო ბიზნესებს შეუძლიათ, ხელი შეუწყონ ზოგადად, **თემის განვითარებას** ადგილობრივი ინფრასტრუქტურის, განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების მხარდაჭერით. ასეთი ინიციატივები და აქტივობები, რომლებიც აძლიერებენ მეწარმეობას ახალგაზრდებში და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, აუმჯობესებენ კეთილდღეობასა და ცხოვრების დონეს სოფლის ტიპის დასახლებებში.

ბოლოს, მრავალფეროვანი და ინოვაციური სოფლის ეკონომიკა **უფრო მედეგია გარე გამოწვევების მიმართ**, როგორიცაა ნედლეულის ფასების რყევა, კლიმატთან დაკავშირებული გამოწვევები, გლობალური ბაზრების შეფერხებები. შეცვლილ გარემოებებთან მიმართებით უწყვეტი ინოვაციებითა და ადაპტაციით, სოფლის ბიზნესებს და პროექტებს შეუძლიათ, განაგრძონ საქმიანობა, შეინარჩუნონ სამუშაო ადგილები და ხელი შეუწყონ სოფლის ტიპის რეგიონების გრძელვადიან ეკონომიკურ სტაბილურობას.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ სოფლად ინოვაცია მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის ეკონომიკური მრავალფეროვნების, დამატებული ღირებულებისა და დასაქმების ადგილების შექმნის, გარემოზე ზრუნვის, ტექნოლოგიური პროგრესის, თემის გაძლიერებისა და გარე გამოწვევების მიმართ მედეგობისთვის, რომელიც შედეგად იძლევა სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის საყოველთაო კეთილდღეობასა და ცხოვრების უკეთეს დონეს.

ინოვაციების სხვადასხვა სახეობები

სოფლად ინოვაციას შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული სახე და ფორმა. ინოვაციის ყველაზე გავრცელებული სახეა პროდუქტის ინოვაცია, პროცესის ინოვაცია, ორგანიზაციული ინოვაცია და სოციალური ინოვაცია.

პროდუქტის ინოვაცია

პროდუქტის ინოვაცია მოიაზრებს ახალი ან გაუმჯობესებული პროდუქტის, სერვისის ან დანადგარის შექმნას რომელთა გაყიდვაც ხდება კლიენტებსა და საბოლოო მომხმარებლებზე. ეს მოიცავს ახალ იდეებს ან ახალ ტექნოლოგიებს, რომლებიც პასუხობენ მომხმარებელთა საჭიროებებს, პრობლემების გადაწყვეტას ან სთავაზობს რაღაც უკეთესს, ვიდრე

უკვეა ხელმისაწვდომი. პროდუქტის ინოვაცია მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის ეხმარება ბიზნესებს დარჩნენ კონკურენტუნარიანნი, გაიზარდონ და წარმატებას მიაღწიონ გრძელვადიან პერსპექტივაში.

პროდუქტის ინოვაციის მაგალითები:

- ახალი სალაშქრო ბილიკების შექმნა, როგორც ეკო-ტურისტული გამოცდილება
- ყველის ახალი სახეობის შექმნა საერთაშორისო ბაზრებისთვის ტრადიციული გემოების ადაპტირების მიზნით

პროცესის ინოვაცია

პროცესის ინოვაცია მოიცავს პროდუქტებისა და მომსახურების წარმოების, მიწოდების ან მართვის ახალი და მნიშვნელოვნად უკეთესი გზების დანერგვას. მიზანია სხვადასხვა საგნის უფრო ეფექტიანად, დაბალი დანახარჯებით შექმნა, ხარისხის გაუმჯობესება და კონკურენტულობის გაზრდა. სოფლად არსებული მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის (SMEs), პროცესის ინოვაცია მნიშვნელოვანია საქმიანობის მარტივად წარმართვისთვის, რესურსების გონივრულად გამოყენებისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის.

პროცესის ინოვაციის მაგალითები:

- მზის პანელების გამოყენება სოფლის მეურნეობის წარმოებისთვის
- რეგიონული ან ორგანული სერტიფიცირების პროცესი სოფლის მეურნეობის პროდუქციისთვის

ორგანიზაციული ინოვაცია

ორგანიზაციული ინოვაცია მოიაზრებს ბიზნესის ან ორგანიზაციის მართვის ან ორგანიზების ახალი გზების დანერგვას. ინოვაციის ეს სახეობა ეხმარება ახალი ცოდნის შექმნას, აუმჯობესებს კომუნიკაციას ორგანიზაციის შიგნით და ამტკიცებს კავშირებს. ეს შეიძლება მოიცავდეს ცვლილებებს თავად ორგანიზაციაში, ან სხვებთან თანამშრომლობის შენებას, როგორიცაა ბიზნესები, კვლევითი ინსტიტუტები, სახელმწიფო სააგენტოები და სექტორული ასოციაციები. ეს თანამშრომლობა შეიძლება, მოიცავდეს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, საერთო დანადგარების ან ნაგებობების გამოყენებას, ერთობლივ მუშაობას კვლევით ან განვითარების პროექტებზე, ღირებულებათა ჯაჭვის თანამშრომლობას კონკურენტულობისა და ბაზართან წვდომის გასაუმჯობესებლად.

ორგანიზაციული ინოვაციის მაგალითები:

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბება
- ფართო რეგიონალური თანამშრომლობა კონკრეტულ რეგიონში ტურისტული გამოცდილების გასაუმჯობესებლად

მაშინ, როდესაც ინოვაციის ეს სამი სახეობა მნიშვნელოვანია ეფექტიანობის, ბაზარზე წვდომისა და კავშირების გასაუმჯობესებლად, ისინი თავისთავად არ მოიაზრებენ სოციალურ კონტექსტს, სადაც ეს ინოვაცია ხდება. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც განიხილება ინოვაცია შორეულ მარგინალიზებულ თემებში, ინოვაციური პრაქტიკის უფრო ყოვლისმომცველ გამოყენებას შეუძლია ხელი შეუწყოს უფრო მნიშვნელოვანი შედეგების მიღებას, რაც სარგებელს მოუტანს არა მხოლოდ ორგანიზაციებს, არამედ თემებს და ეკოსისტემებს.



სოციალური ინოვაცია

სოციალური ინოვაცია ზოგადად, ინოვაციის უფრო ფართო ხედვას მოიაზრებს და ფოკუსირდება ისეთ პროცესებზე, რომლებსაც სარგებელი მოაქვთ მთლიანი თემისთვის. ტერიტორიული განვითარების კონტექსტში, სოციალური ინოვაცია მოიცავს თანამშრომლობას სხვადასხვა ჯგუფებს შორის დადებითი შედეგების მისაღებად, რომელიც სცილდება მხოლოდ ინდივიდებს და ეხება თემს უფრო ფართოდ. ის ფოკუსირდება ადამიანების საჭიროებების დაკმაყოფილებაზე სოციალური ურთიერთობების გარდაქმნითა და იმ სისტემების გაუმჯობესებით, რომლებიც მართავენ იმას, თუ როგორ ნაწილდება პროდუქტები და სერვისები.

სოციალური ინოვაციის მაგალითები

- უნარების განსავითარებელი კურსების ორგანიზება სოფლად მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, მათი დასაქმების პერსპექტივის გასაზრდელად
- თემის მიერ მართული ეკოტურისტული ინიციატივები

სოფლად ინოვაცია და მდგრადი განვითარება

მდგრადი განვითარება წარმოადგენს ზრდის ყოვლისმომცველ მიდგომას, რომელიც ცდილობს დააკმაყოფილოს აწმყოში არსებული საჭიროებები ისე, რომ ხელი არ შეუშალოს მომავალი თაობების მიერ მათი საჭიროებების დაკმაყოფილებას. ის სამ საყრდენს მოიცავს: ეკონომიკური ზრდა, სოციალური ჩართულობა და გარემოს დაცვა. ეკონომიკური ზრდა ფოკუსირდება კეთილდღეობისა და შესაძლებლობების შექმნაზე ყველასთვის, სოციალური ჩართულობა უზრუნველყოფს იმას, რომ ყველამ ისარგებლოს განვითარებისგან და ჰქონდეს ცხოვრების უკეთესი ხარისხი, და გარემოს დაცვა იცავს ბუნებრივ

რესურსებს და ეკოსისტემებს გრძელვადიან პერიოდში. ამ საყრდენების დაბალანსებით, მდგრადი განვითარება მიზნად ისახავს უფრო თანასწორი და მედეგი სამყაროს შექმნას.

მდგრადი განვითარება სოფლად ინოვაციის ძლიერი კატალიზატორია, განსაკუთრებით მოშორებულ, მთიან რეგიონებში. ამ ტერიტორიებს ხშირად ახასიათებთ იზოლაცია და შეზღუდული რესურსები, სახეზეა უნიკალური გამოწვევები და შესაძლებლობები.

ადგილობრივი მეწარმეობისა და შემოსავლის წყაროს დივერსიფიცირების გზით ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერით, სოფლად ინოვაციას შეუძლია, დაეხმაროს მთიან თემებს გამოვიდნენ სიღარიბის ციკლიდან. მცირე მასშტაბიანი სოფლის მეურნეობა, ტურიზმი და ნიშური ბაზრების შექმნა ადგილობრივი პროდუქტებით წარმოადგენს მაგალითებს, როგორ შეიძლება ეკონომიკური ინიციატივები მოერგოს მთიანი ტერიტორიების პირობებს, რითაც ძლიერდება საარსებო წყაროები და ხდება ეკონომიკისა და მდგრადობის ხელშეწყობა.



მდგრადი განვითარება, ხშირად, წარმოდგენილია როგორც **სამი ურთიერთდაკავშირებული წრე**. როდესაც გარემოს დაცვა, ეკონომიკური კეთილდღეობა და სოციალური ჩართულობა თანხვედრაშია, მდგრადი განვითარების მიღწევა შესაძლებელია.

სოციალური ჩართულობა თანაბრად მნიშვნელოვანია ამ რეგიონების მდგრადი განვითარებისთვის. ინოვაციას განათლებაში, ჯანმრთელობის დაცვაში და თემის მონაწილეობაში შეუძლია, შეავსოს სიცარიელეები და უზრუნველყოს თემის ყველა წევრის მიერ განვითარების შესაძლებლობებით სარგებლობა. განათლებასა და ჯანდაცვის სერვისებთან წვდომა ხშირად შეზღუდულია მოშორებულ, მთიან რეგიონებში; შესაბამისად, მობილური კლინიკების, დისტანციური სასწავლო პლატფორმებისა და თემზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამების შემოღებას შეუძლია, მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს სოციალური მდგომარეობა.

მდგრადი განვითარების მესამე საყრდენს წარმოადგენს გარემო. გარემოს დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ეკოლოგიურად მგრძნობიარე ადგილებში. ინოვაციურ პრაქტიკებს, როგორიცაა მიწის მართვა, კონსერვაციული სოფლის მეურნეობა და განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენება, შეუძლია ბუნებრივი გარემოს შენარჩუნება. ეს პრაქტიკები არამხოლოდ არბილებენ კლიმატის ცვლილების ზეგავლენას, არამედ უზრუნველყოფენ, მომავალი თაობებისთვის ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებას, რაც ამ თემების სარყდენს წარმოადგენს. ამ

ელემენტების ერთობლიობა ხაზს უსვამს სოფლად ინოვაციის ინტეგრაციის მნიშვნელობას მდგრადი განვითარების ჭრილში, რათა გაძლიერდნენ და განვითარდნენ მთიანი რეგიონები.

3. სოფლის ინოვაცია საქართველოში

საქართველოში სოფლის ინოვაცია, განსაკუთრებით მოშორებულ, მთიან რეგიონებში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და სოციალური თანხმობისთვის. საქართველოს მოსახლეობის თითქმის 40% ცხოვრობს სოფლად (World Development Indicators 2023)[1], და სოფლის მეურნეობა ბევრისთვის წარმოადგენს საარსებო წყაროს. თუმცა, ეს რეგიონები დგანან მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაში, მათ შორის სიღარიბის მაჩვენებელი აღწევს 15.6%, რაც აღემატება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს 12% (საქსტატი 2023)[2]. მთიანი რეგიონები განსაკუთრებით მოწყვლადები არიან შეზღუდულ ინფრასტრუქტურის, ბაზართან წვდომისა და ეკონომიკური შესაძლებლობების კუთხით. ამ გამოწვევების მიუხედავად, მცირე და საშუალო საწარმოები (SMEs) ჩნდებიან როგორც ცვლილების ლოკომოტივები, რომლებზეც მოდის მთლიანი დასაქმების 50% და საქართველოს მშპ-ს 40%, რაც მათ ხდით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანს განვითარებისთვის.

საქართველოში სოფლის მეურნეობა შეადგენს მშპ-ს თითქმის 6%, თუმცა სექტორში დასაქმებულია სოფლად მცხოვრების სამუშაო ძალის თითქმის 40% (World Development Indicators 2002). ეს განსხვავება ხაზს უსვამს ინოვაციის საჭიროებას ნაყოფიერებისა და შემოსავლის გასაზრდელად. მაგალითად, სოფლის მეურნეობის მიდგომების მოდერნიზებითა და დამატებული ღირებულების მქონე პროდუქციის წარმოებით შესაძლებელია, მომგებიანობის მნიშვნელოვნად გაზრდა.

ეკოტურიზმის სექტორი იმედისმომცემია, რადგან საქართველო ჩამომსვლელი ტურისტების რაოდენობა პანდემიის პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად იზრდება; ტურისტებს აქ იზიდავთ ქვეყნის ბუნებრივი სილამაზე და კულტურული მემკვიდრეობა. 2023 წელს საქართველოს 7 მილიონზე მეტი ვიზიტორი სტუმრობდა. ეს წარმოადგენს პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით

[1] https://databank.worldbank.org/source/world-development-indicators

[2] https://www.geostat.ge/media/62702/Indicator-of-Poverty-and-Gini-Coefficients---2023.pdf

75.6% აღდგენას და 2022 წელთან შედარებით 30% ზრდას (საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია 2023). მოშორებულ ადგილებში ეკოტურისტულ ინიციატივებს შექმნილი აქვთ დასაქმების ადგილები და ინფრასტრუქტურა, რაც ხელს უწყობს სოფლიდან ურბანულ ადგილებში მიგრაციის შემცირებას. 2022 წელთან შედარებით საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 17.3%-ით გაიზარდა 2023 წელს (საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია 2023)[3].

უდაოდ, საქართველოს მთიანი რეგიონებისთვის სოფლის ინოვაცია გადამწყვეტ როლს თამაშობს მედეგი და თვითკმარი თემების ჩამოყალიბებისთვის. ამ ტრანსფორმაციის გასაძღოლად ადგილობრივი თემების წახალისებით, რომელიც მხარდაჭერილია მიზნობრივი პოლიტიკითა და ინვესტიციებით, საქართველოს შეუძლია, მოახდინოს სოფლების პოტენციალის რეალიზაცია, შეამციროს სიღარიბე და ხელი შეუწყოს უფრო ფართო ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას.

[3] https://gnta.ge/statistics/

ეკოტურიზმი

ეკოტურიზმი პასუხისმგებლიანი მოგზაურობის ფორმაა, რომელიც ფოკუსირდება გარემოს მოფრთხილებასა და ადგილობრივი თემების კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე მდგრადი პრაქტიკებისა და კულტურული პატივისცემის გაძლიერებით. მოშორებულ რეგიონებში ეკოტურისტული სექტორის განვითარებას შეუძლია ადგილობრივი ეკონომიკის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა შემოსავლის გენერირებით, სამუშაო ადგილების შექმნითა და ინფრასტრუქტურული გაუმჯობესების წახალისებით, თან ამ პროცესში ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვით. ის ახალისებს ადგილობრივ მეწარმეობას და ეხმარება ეკონომიკის დივერსიფიკაციას, ამცირებს დამოკიდებულებას ისეთ ტრადიციულ სფეროებზე, როგორიცაა სოფლის მეურნეობა. ეკოტურიზმი, ასევე, ხელს უწყობს გარემოს დაცვას და შეუძლია, კონსერვაციისთვის ინვესტიციების მოზიდვა, რომელიც კიდევ უფრო გააუმჯობესებს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების დონეს.

სოფლის მეურნეობა და ღირებულებათა ჯაჭვი

ღირებულებათა ჯაჭვი მოიცავს პროდუქციის ან სერვისის წარმოებასთან დაკავშირებულ ყველა აქტივობას დაწყებული ნედლეულიდან მის საბოლოო მოხმარებამდე, მათ შორის წარმოების პროცესს, მარკეტინგსა და დისტრიბუციას. ინოვაციას ღირებულებათა ჯაჭვში, როგორიცაა ახალი ტექნოლოგიების შემოღება, უნარების გაძლიერება ან ლოჯისტიკის გაუმჯობესება, შეუძლია მნიშვნელოვნად გააძლიეროს ადგილობრივი განვითარება ეფექტიანობის გაზრდისა და პირველად წარმოებაზე დამატებული ღირებულების შედეგად. ადგილზე ნედლეულის უფრო მაღალი ღირებულების პროდუქტად გარდაქმნას შეუძლია მეტი შემოსავლისა და დასაქმების ადგილების შექმნა და მეწარმეობის წახალისება. ეს ამცირებს დამოკიდებულებას გარე ბაზრებზე, აძლიერებს ადგილობრივ ეკონომიკას და ხელს უწყობს მდგრად განვითარებას, განსაკუთრებით სასოფლო დასახლებებში.

[4] ჩამონათვალი არაამომწურავია, თუმცა ინოვაციის ეს მიმართულებები გამოიკვეთა უველაზე შესაფერისად ამ ანგარიშის კონკრეტული სამიზნე აუდიტორიისთვის.

მარკეტინგი და ბრენდირება

მარკეტინგსა და ბრენდირებაში ინოვაციას შეუძლია, დაეხმაროს მოშორებულ, მთიან რეგიონებში ადგილობრივი სოფლის მეურნეობის მწარმოებლებს, გააძლიერონ განვითარება ფართო ბაზრებზე მათი ხილვადობისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდით. ძლიერი, უნიკალური ბრენდების შექმნით, რომლებიც ხაზს უსვამენ მათი პროდუქტების ხარისხს, ავთენტურობასა და მდგრადობას, მწარმოებლებს შეუძლიათ თავიანთი თავის გამორჩევა, მაღალი საფასო კატეგორიის მომხმარებლების მოზიდვა და ნიშურ ბაზრებთან წვდომა, როგორიცაა ორგანული ან კეთილსინდისიერი წარმოებით დაინტერესებული მომხმარებლები. ციფრულ მარკეტინგისა და ელ. კომერციის პლატფორმები გეოგრაფიული ბარიერების დაძლევის საშუალებას იძლევიან, აკავშირებენ მწარმოებლებს პირდაპირ მომხმარებლებთან, ამცირებენ დამოკიდებულებას შუამავლებზე და ზრდიან მოგებას. ასეთი ინოვაციები ეხმარება მოშორებულ რეგიონებში მცხოვრებ თემებს, გაზარდო თავიანთი ბიზნესი, გაზარდონ შემოსავალი და ინვესტიცია ჩადონ შემდგომ განვითარებაში, რაც ხელს უწყობს ეკონომიკის მედეგობასა და ზრდას.

თანამშრომლობა

თანამშრომლობა და კოოპერატივები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მოშორებული, მთიანი რეგიონების სოფლის ინოვაციის გასაძლიერებლად, ვინაიდან ამით ხდება თემის წევრების რესურსების, ცოდნისა და უნარების გაერთიანება, რაც ეხმარებათ ბაზარზე, ინფრასტრუქტურასა და ტექნოლოგიაზე შეზღუდული წვდომის გამოწვევის დაძლევას. ერთობლივი მუშაობით ადამიანებს შეუძლიათ გადაინაწილონ რისკები, შეამცირონ ხარჯები და ისარგებლონ ერთობლივი მოლაპარაკების ძალაუფლებით, რაც ამარტივებს უნიკალურ გარემოზე მორგებული ინოვაციური გადაწყვეტების დანერგვას. კოოპერატივები, ასევე, ეხმარება თემებს ადგილზე გადაწყვეტილების მიღების წახალისებითა და სარგებლის თანასწორად გადანაწილების უზრუნველყოფით, რაც აძლიერებს ეკონომიკურ მედეგობასა და მდგრად განვითარებას იზოლირებულ რეგიონებში.

4. სოფლის ინოვაციების მაგალითები

lg

ყველის კოოპერატივი, რომელიც იყენებს წარმოების ტრადიციულ მეთოდებს (საქართველო)

ინოვაციის პასპორტი

ინოვაციის მიმართულება			ინოვაციის ტიპი	
				
თანამშრომლობა	**ღირებულებათა ჯაჭვი**	**მარკეტინგი და ბრენდირება**	**ორგანიზაციული ინოვაცია**	**პროდუქტის ინოვაცია**
ყველის ადგილობრივი მწარმოებლების კოოპერატივის დაფუძნება.	ადგილობრივი წარმოება და ახალი ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრების ძიება.	ყველის ტრადიციული მეთოდებით წარმოების გამოყენება სპეციფიურ ბრენდირებასა და მოგების უფრო დიდ მარჟას ხდის შესაძლებელს.	კოოპერატივის დაფუძნება აძლიერებს ყველის მწარმოებელთა შესაძლებლობას, კონკურენცია გაუწიონ დიდ მწარმოებლებს და შეინარჩუნონ ტრადიციული მეთოდები.	ყველის ახალი სახეობების შექმნა, რომელიც ადაპტირებულია საერთაშორისო ბაზრების გემოვნებასთან.

ზოგადი ინფორმაცია და კონტექსტი

ალაზნისთავის კოოპერატივი, რომელიც განლაგებულია თუშეთის მოშორებულ, მთიან რეგიონში წარმოადგენს ყველის ტრადიციული წარმოების მიმართულებით სოფლის ინოვაციის სანიმუშო მაგალითს. თავისი უნიკალური გუდის ყველით, ეს კოოპერატივი წარმატებით გაუმკლავდა არაერთ გამოწვევას უძველესი ტრადიციის შენარჩუნებისა და პოპულარიზაციისთვის. ეს მაგალითი სიღრმისეულად განიხილავს ინოვაციის საჭიროებას, მიღწეულ წარმატებას და კოოპერატივის წინაში არსებულ მიმდინარე გამოწვევებს, რაც იძლევა მის მიერ გავლილი არც ისე მარტივი გზის ყოვლისმომცველ სურათს.

საქართველოში ყველის მცირე ზომის მწარმოებლები, განსაკუთრებით თუშური გუდის მწარმოებლები, დიდი ხანია წვალობენ დიდი ზომის რძის პროდუქტების მწარმოებლებისთვის კონკურენციის გაწევას. ამ გამოწვევებს ემატება უნიკალური მოთხოვნები და ტრადიციები, რომლებიც დაკავშირებულია გუდის ყველის ავთენტურ წარმოებასთან. თუშური გუდა ტრადიციულად მწიფდება ცხვრის ტყავის გუდაში და ეს მეთოდი თითქმის 6,000 წელს ითვლის. ყველის გამორჩეული გემო და არომატი მიიღება თუშური ცხვრის რძისგან, რომლებიც მაღალმთიან საძოვრებზე ძოვენ ბალახს უკვე თითქმის 1,000 წელია.

თუმცა, თუშური გუდის ყველის ავთენტურობას საფრთხეს უქმნიან დიდი ზომის მწარმოებლები, რომლებიც არჩევენ მოკლე გზას პროდუქტის მისაღებად. ეს მწარმოებლები ხშირად იყენებენ ცხვრის ან ძროხის მაღალმწარმოებელი ჯიშებისგან მიღებულ რძეს, ტრადიციული ცხვრის ტყავის გუდას ანაცვლებენ პოლიეთილენის ტომრებით და ეწევიან საწარმოო დონის პრაქტიკებს, რაც არღვევს ყველის უნიკალურ მახასიათებლებს. ამ საფრთხეებზე საპასუხოდ, ტრადიციული ყველის მწარმოებელთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა ალაზნისთავის კოოპერატივი რესურსების შერწყმის, ცოდნის გაზიარებისა და ბაზარზე საკუთარი ხმის გაძლიერების მიზნით.

კოოპერატივი „ალაზნისთავი“ დაფუძნდა 2015 წელს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპული პროგრამისა (ENPARD) და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „საქართველოში სოფლის მეურნეობის კოოპერატივების მხარდაჭერა“ ფარგლებში. კოოპერატივი აერთიანებს ტრადიციული თუშური გუდის ყველის მწარმოებლებს. იმავე წელს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტომ კოოპერატივს მიანიჭა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი.

ინოვაცია და წარმატება

„როგორც კი ბალახი იზრდება და ჰაერში გაზაფხულის სურნელს ვგრძნობ, მე სოფლისკენ მივიწევ და იმავეს განიცდის ფარა. ზამთარშიც დავრჩებოდი თუშეთში და აქ წარვმართავდი თუშური გუდის ყველის წარმოების პროცესს“

პაატა აბულაძე

2020 წლისთვის კოოპერატივი ითვლიდა 11 წევს, რომელთა უმრავლესობა იყო თუშეთიდან. წევრთა უმრავლესობას აქვს ყველის წარმოებისა და ნახირის მოშენება-მოვლის მრავალწლიანი გამოცდილება. ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრი და კოოპერატივის თავმჯდომარე პაატა აბულაძეა. მის ოჯახს ფესვები თუშეთიდან აქვს, თუმცა გაიზარდა მომიჯნავე სოფელ ალვანში. ვიდრე ყველის წარმოებას დაიწყებდა, პაატა სხვადასხვა საქმით იყო დაკავებული. სამედიცინო ვეტერინარულ მედიცინაში სწავლის პერიოდში დაკავებული იყო ცხვრების მოშენებით. მოგვიანებით აწარმოებდა და ყიდდა ხორც თბილისიდან. თუმცა,

ძალიან უნდოდა სოფლის ცხოვრებას დაბრუნებოდა და დაკავებულიყო მენახირეობით.

ბაზრის სიღრმისეული გამოკვლევის შემდეგ პაატამ შენიშნა მზარდი მოთხოვნა ორგანულ ადგილობრივ პროდუქციაზე. სწორედ ეს იყო ის, რამაც მას გადააწყვეტინა დაბრუნებულიყო თუშეთში და აეღორძინებინა ტრადიციული თუშური გუდის ყველის წარმოება და დააფუძნა კოოპერატივი. კოოპერატივის გამო ყველის მცირე ზომის მწარმოებლებმა შეძლეს თანამშრომლობა და ერთმანეთის მხარდაჭერა. ამ ერთიანობამ მისცათ მათ შესაძლებლობა, კონკურენცია გაეწიათ დიდი ზომის მწარმოებლებისთვის და შეენარჩუნებინათ ტრადიციული მიდგომები.

კოოპერატივის თითოეულ წევრს აქვს კონკრეტული პასუხისმგებლობა. უფროსი მწყემსი ყველის დამზადების სპეციალისტია და მეთვალყურეობს ცხოველის წველას. ის არის ერთადერთი ადამიანი, ვისაც აქვს ყველის დარბაზში შესვლის უფლება. სხვა ადამიანია პასუხისმგებელი ხაჭოს წარმოებაზე. სხვა პასუხისმგებლობები, ასევე, მოიცავს სადგომების დალაგებას, შეშის შეგროვებას, პურის ცხობას და საჭმლის მომზადებას. ხანდახან, ყველა წევრი ინაწილებს საერთო საქმეს.

ალაზნისთავის კოოპერატივმა მიაღწია შესამჩნევ წარმატებას ტრადიციული თუშური გუდის ყველის შენარჩუნებასა და პოპულარიზაციაში. ევროკავშირის მხარდაჭერით, კოოპერატივმა შეძლო საწამოო ფერმის აშენება, სადაც ფერმერები ამზადებენ ცხვრისა და ძროხის რძის ყველს. კოოპერატივის წევრებმა გაიარეს Oxfam-ისა და ბიოლოგიური ფერმერული ასოციაცია ელკანას მიერ ორგანიზებულ ტრენინგები, რომელიც დაეხმარა მათ ბიზნესის უკეთ მართვაში.

კოოპერატივს მფლობელობაში ჰყავს დაახლოებით 600 სული საქონელი, რომელთა ნაწილი წევრების საკუთრებაა. თუ საქონლის ეს რაოდენობა არ არის საკმარისი წარმოებისთვის, კოოპერატივის წევრები „ქირაობენ“ საქონელს სხვა პირებისგან, რომლებსაც თავად არ შეუძლიათ საქონლის საბალახოდ გაყვანა ან მოწველა. ალაზნისთავის კოოპერატივს აქვს შესაფერისი რესურსები საკუთარი საქმიანობის მხარდასაჭერად.

ამჟამად კოოპერატივი აწარმოებს ტრადიციული გუდის ყველის ოთხ სახეობას: შვილობი - თუშური ცხვრის რძისგან წარმოებული გუდის ყველი, ლართუშო - ძროხის რძის გუდის ყველი, დოვნა - ძროხისა და ცხვრის რძის ნარევით დამზადებული გუდის ყველი და ჩოგი - გადამუშავებული გუდის ყველი. გუდის ყველის თითოეული სახეობა განსხვავდება ერთმანეთისგან შემადგენლობითა და გემოთი. დღეს საწარმოში 6-8 ტონა ყველი იწარმოება ყოველწლიურად. საწარმოს აქვს შესაძლებლობა, ახლო მომავალში გაზარდოს წარმოება 15 ტონამდე.

ის ფაქტი, რომ მიმწოდებლები, მწარმოებლები და გამყიდველები გაერთიანებულები არიან ერთ ბიზნესში დიდ უპირატესობას აძლევს ალაზნისთავის კოოპერატივს. თუ 2015 წელს საშუალო მოგება ერთ წევრზე 1,000 ლარს შეადგენდა, 2020 წლისთვის ის გაიზარდა 2,250 ლარამდე.

"ზოგიერთ ადამიანს ურჩევნია, ეწვიოს მაღაზიას და იყიდოს შედარებით იაფიანი ყველი, რომელსაც ასევე გუდის ყველს უწოდებენ. თუმცა, ადგილობრივ მაღაზიებში გაყიდული გუდის ყველის 80% არ არის ნამდვილი. ძალიან ბევრია არანამდვილი გუდის ყველის მაგალითი. ტრადიციული გზებით გაკეთებული გუდის ყველს არ აქვს ცუდი სუნი. პირიქით, ის გამოირჩევა თავისი სასიამოვნო არომატით."

პაატა აბულაძე

ტრადიციულად წარმოებული გუდის ყველი არ არის იაფი. 1 კგ. ყველის ფასი შეადგენს 25 ლარს. ეს დაახლოებით 30%-ით აღემატება მაღაზიებში გასაყიდად წარმოდგენილ ქარხნულად წარმოებული ყველის ფასს. მაგრამ ამ ფასის გადახდა ნამდვილად ღირს ხარისხისთვის. კოოპერატივი აწარმოებს ეკო-მეგობრულ პროდუქტებს ტრადიციული მეთოდებით და ხალხი მზად არის, გადაიხადოს ამ ტრადიციული და ეკოლოგიური ბრენდინგისთვის. უფრო მაღალი მოგება მოტივაციას აძლევს რეგიონში და მის მიღმა ყველის სხვა მწარმოებლებსაც, გამოიყენონ ყველის დამზადების ტრადიციული მეთოდები.

ფერმერი კახა აბულაძის მიერ წარმოებულმა თუშური გუდის ყველმა მოიპოვა პირველი ადგილი ყველის საერთაშორისო ფესტივალში, იტალიაში.

კოოპერატივის ბრენდირებული გუდის ყველი ნაბიჯ-ნაბიჯ შედის ადგილობრივ სუპერმარკეტებში. კოოპერატივმა, ასევე, მოახერხა თავისი ყველის მცირე ოდენობის ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსპორტირება - ბაზარი, რომელიც ღიაა ქართული ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისთვის.

კოოპერატივის საქმიანობას შეუმჩნევლად არ ჩაუვლია. 2017 წელს თუშურმა გუდამ მოიპოვა აღიარება გლობალური საკვების - ყველის ფესტივალზე (Slow Food Cheese festival), სადაც კახა აბულაძემ, 22 წლის ყველის მწარმოებელმა, მიიღო ჯილდო კოოპერატივის სახელით. ეს აღიარება დაეხმარა თუშური გუდასა და ალაზნისთავის კოოპერატივს ცნობადობის გაზრდაში.

ამ წარმატებამ ხელი შეუწყო ახალ ინოვაციებს. ყველის ახალგაზრდა მწარმოებელმა და ასოციაციის წევრმა გიორგი ქარსამაულმა შექმნა დავალ-მარილიანი პროცესი იმისთვის, რომ ტრადიციული თუშური გუდა უფრო

მიმზიდველი ყოფილიყო უცხოელების გემოვნებისთვის. ასეთი ინოვაციები გადამწყვეტია ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტირებისა და იმავდროულად ყველის ტრადიციული წარმოების არსის შენარჩუნებისთვის.

გამოწვევები და შემდეგი ნაბიჯები

თუშური გუდის ყველი, რომელიც იყიდება კალიფორნიასა და ნიუ იორკში. ქართული რძის პროდუქტები შეიძლება გაიყიდოს ამერიკაში, სადაც საკვები პროდუქტების რეგულაციები ნაკლებად მკაცრია ევროკავშირთან შედარებით.

წყარო: https://georgianjournal.ge/business/33834-tushetian-guda-cheese-sold-in-california-and-new-york-young-entrepreneur-revives-

მიუხედავად ალაზნისთავის კოოპერატივის მიერ მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატებისა, ის კვლავ რიგი გამოწვევების წინაშე დგას. კოოპერატივისთვის ერთ-ერთ დიდ გამოწვევას წარმოადგენს ექსპორტისთვის სურსათის უსაფრთხოების სერტიფიკატის მოპოვება, განსაკუთრებით ევროკავშირისთვის. მათი ჰიგიენის წესები, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ ქარხნული წარმოების პროცესს, ხშირად შეუსაბამოა ტრადიციულ პრაქტიკებთან. კოოპერატივმა უნდა დაამტკიცოს, რომ მისი ტრადიციული მეთოდები უსაფრთხოა ყველის უნიკალურ მახასიათებლებზე უარყოფითი ზეგავლენის გარეშე. მეტიც, ევროკავშირის დირექტივები საკვების უსაფრთხოების სტანდარტების შესახებ (EC 852/2004, EC 853/2004, და EC 854/2004) წარმოადგენენ მნიშვნელოვან სამართლებრივ წინაღობას. ეს რეგულაციები უპირატესობას ანიჭებენ ქარხნის სტერილურ პირობებს ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით. ეს მცირე ზომის მწარმოებლებს ურთულებს სტანდარტის დაკმაყოფილებას მათი პროცესის ცვლილების გარეშე. თუმცა, კოოპერატივი თანამშრომლობს საკვების უსაფრთხოების დარგში საერთაშორისო ექსპერტებთან და ადგილობრივ ორგანიზაციებთან უსაფრთხოების სტანდარტებსა და ტრადიციულ მეთოდებს შორის ბალანსის პოვნისთვის.

ასევე, კონკურენცია დიდ ინდუსტრიულ მწარმოებლებთან რჩება მუდმივ გამოწვევად. ეს მწარმოებლები ხშირად აწვდიან ბაზარს იაფიან, დაბალი ხარისხის პროდუქტებს და ძირს უთხრიან ავთენტური თუშური გუდის ღირებულებას. კოოპერატივის მცდელობები, გაზარდონ მომხმარებლები და ხელი შეუწყონ მათი ყველის გამორჩეული მახასიათებლების ცნობადობის ზრდას, მიმდინარეობს და კრიტიკული მნიშვნელობისაა წარმატებისთვის.

კიდევ ერთი გამოწვევაა შესანახი/სასაწყობე ობიექტების ნაკლებობა. ახალი შესანახი/სასაწყობე ობიექტი არამხოლოდ გააუმჯობესებდა საკვების ხარისხსა და უსაფრთხოებას, არამედ მარტივად დაასაქმებდა დამატებით 15 ადამიანს.

ორგანიზაცია ახლა გეგმავს ადგილწარმოშობაზე დაფუძნებული სასაქონლე ნიშნის შექმნას. ეს მცდელობები მხარდაჭერილია ევროკავშირისა (EU) და ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის მიერ (EBRD), გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან (FAO) თანამშრომლობით. უკვე დაფუძნდა გუდის ყველის მწარმოებელთა ასოციაცია. ეს ასოციაცია აერთიანებს გუდის ყველის მწარმოებლებს ტრადიციული მეთოდებით ყველის წარმოების გაცოცხლებისა და თუშური გუდის ყველის გეოგრაფიული დასახელების დაცვის მიზნით. ამ სასაქონლე ნიშანს თან ახლდება ხარისხის კონტროლის გარკვეული ზომები და შესაბამისად, კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ყველის ექსპორტს.

ნასწავლი გაკვეთილები

ალაზნისთავის კოოპერატივი წარმოადგენს სოფლის ინოვაციისა და თანამშრომლობის ნათელ მაგალითს. უძველესი ტრადიციების დაცვით და იმავდროულად ინოვაციების მიღებით, მათ შეძლეს კონკურენტულ ბაზარზე საკუთარი ადგილის გამოკვეთა. მათ მიერ განვლილი გზა ხაზს უსვამს თანამშრომლობის, ადაპტაციის და საკუთარი საქმის, ტრადიციისა და ტერიტორიის მიმართ დიდი სიყვარულის მნიშვნელობას. ის ასევე აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება უფრო დიდი მოგების ნახვა ტრადიციული წარმოებითა და სწორად შერჩეული ბრენდირებით. მაშინ, როდესაც ისინი აგრძელებენ განვითარებას სურსათის უვნებლობის თანამედროვე რეგულაციებისა და ბაზრის კონკურენციის სირთულეების პირობებში, კოოპერატივის ისტორია შთაგონების წყაროა სხვა სოფლის თემებისთვის, რომლებიც მსგავსი გამოწვევების წინაშე დგანან.

წყაროები

https://guda.ge/eng

https://eu4georgia.eu/tradition-of-guda-cheese-production-comes-alive-in-tusheti-with-eu-support-the-story-of-the-cooperative-alaznistavi/

https://www.fao.org/family-farming/detail/en/c/1155436/

https://sp.cheeseroute.ge/en/cheesemaker/

https://www.slowfood.com/blog-and-news/tushuri-guda-better-times-ahead/

https://agenda.ge/en/news/2017/2133#gsc.tab=0

https://georgianjournal.ge/business/33834-tushetian-guda-cheese-sold-in-california-and-new-york-young-entrepreneur-revives-georgian-cheese-making-traditions.html

ინოვაციის პასპორტი

ინოვაციის მიმართულება		ინოვაციის ტიპი	
			
თანამშრომლობა	**ეკო-ტურიზმი**	**ორგანიზაციული ინოვაცია**	**სოციალური ინოვაცია**
სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობა საზოგადოებისა და მისი განვითარების უნიკალური ხედვის შესაქმნელად.	ახალი ეკო-ტურისტული პროდუქტების დანერგვა ტურისტების მოზიდვისა და ადგილობრივი მეწარმეებისთვის ვირტუალური პლატფორმის შესაქმნელად.	უნიკალური ორგანიზაციული სტრუქტურის დანერგვა, რომელიც მიზნად ისახავს ისეთი ადამიანების - ქალაქისა და სოფლის მაცხოვრებლების, ტურისტებისა და ადგილობრივი მეწარმეების თავმოყრას, რომლებიც სხვაგვარად ვერ შეხვდებოდნენ ერთმანეთს.	პროგრამების დანერგვა, რომლებიც ეხმარება ადგილობრივ მეწარმეებს , მათ შორის ახალგაზრდებსა და ქალებს, დაიწყონ და განავითარონ ბიზნესები.

ზოგადი ინფორმაცია და კონტექსტი

დრაგანა ტიპიჩ ფილიპოვიჩ

წყარო: LinkedIn

სოფლის ჰაბი ვრმძაში (Vrmdza), სერბეთი აღმოცენდა დრაგანა ტოპიჩ ფილიპოვიჩის ხედვისა და მცდელობებისგან, რომელიც იყო სერბეთში ერსტე ბანკისა და ფარმაცევტული ფირმის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ყოფილი უფროსი. უფრო სრულფასოვანი ცხოვრების სურვილით და შვილების მშვიდ, ბუნებრივ გარემოში აღზრდის შესაძლებლობით, ფილიპოვიჩმა 2010 წელს იყიდა ქონება ვრმძაში.

2015 წლისთვის ის მეუღლესთან და შვილებთან ერთად მუდმივად გადავიდა სოფელში. სერბეთის სასოფლო დასახლებები დგანან მოსახლეობის გადინების გამოწვევის წინაშე. მათ ახასიათებთ არაპროპორციულად დიდი რაოდენობით ასაკოვანი მოსახლეობა. ახალგაზრდა ადამიანები უკეთესი განათლების, დასაქმების შესაძლებლობებისა და ცხოვრების დონის ძიებაში ურბანული ცენტრებისკენ მიგრირებენ, ხოლო უკან რჩება ასაკოვანი მოსახლეობა. სასოფლო რეგიონებში ეკონომიკური შესაძლებლობებიც შეზღუდულია. სოფლის მეურნეობის მომგებიანობა შემცირებულია სოფლის მეურნეობის მოძველებული პრაქტიკებიდან, ინვესტიციების ნაკლებობისა და იმპორტირებულ საქონელთან კონკურენციიდან გამომდინარე. საარსებო შესაძლებლობები სოფლის მეურნეობაში ძალიან მცირეა. სერბეთის ბევრი სოფლის ამ მდგომარეობით მოტივირებულ დრაგანას უნდოდა გამოეყენებინა თავისი პროფესიული გამოცდილება მდგრადი განვითარებისა და სოციალური მეწარმეობის ხელშესაწყობად თავის ახალ თემში.

ინოვაცია და წარმატება

'სოფლის ჰაბი' სოფლის პირველი საერთო სამუშაო და საგანმანათლებლო (ერთობლივი მუშაობის) სივრცეა სერბეთში. ის შექმნილია ისეთი ფორმით, როდესაც მთლიანი სოფელი ჰაბია, სადაც ვითარდება სოციალურად პასუხისმგებლიანი მუშაობისა და თანაცხოვრების მოდელი თემის წევრებთან ერთად მდგრადი და სათანადო ფორმით. ეს ის ადგილია, სადაც ქალაქისა და სოფლის ცოდნა, ადამიანები, პირადი ისტორიები, ოცნებები - დიდი და პატარა ერთმანეთს ხვდება. ადგილი, სადაც იდეები იღებენ საკუთარ უსაფრთხო ადგილს გამოხატვისთვის და გარდაიქმნებიან პოტენციურ განხორციელების გეგმებად. რაც მთავარია, ეს ადგილი არის შუქურასავით ყველა იმ ადამიანისთვის, საკუთარი იდეის განხორციელების ვისაც სურვილი აქვს, მაგრამ ეშინია ან არ იცის როგორ დაიწყოს, და რომელიც ისარგებლებდა ამ პროცესში მხარდაჭერით. ეს ადგილი ჩვენივე მაგალითით გვიდასტურებს, რომ სოფელში ასეთი ამბავი და ცხოვრება შესაძლებელია.''

დრაგანა ტომიჩ ფილიპოვიჩი

სოფლის ჰაბი ვრმძაში, სერბეთი, დაფუძნდა რამდენიმე საკვანძო ნაბიჯად. პირველ რიგში, დრაგანა ტომიჩ ფილიოვიჩმა იყიდა უძრავი ქონება ვრმძაში 2010 წელს. 2015 წლისთვის ის გადავიდა ვრმძაში ოჯახთან ერთად, რათა აღედგინა შენობა და გადაექცია ის სასურველ სივრცედ. მისი თემის განვითარების ხედვის მხარდასაჭერად, მან დააფუძნა სოციალურად პასუხისმგებლიანი მეწარმეობის ცენტრი, რომელიც ფოკუსირდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალების, ბიზნესი. ცენტრის მისია

დახმარებაზე, დაეწყოთ და გაეზარდათ თავიანთი

მოიცავს ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებას, განათლებასა და წახალისებას, რათა ჩაერთონ მდგრად ღონისძიებებში, რომლებიც გამოაცოცხლებს მათ თემს. გაცნობიერებული იყო რა ვრმძას გარდაქმნის პოტენციალი სოფლის განვითარების მოდელად, ფილიპოვიჩმა გამოიყენა თავისი გამოცდილება, რათა შეევსო განსხვავება სოფლად და ქალაქად არსებულ ცოდნას შორის, რითაც შექმნა ახალი შესაძლებლობები ეკონომიკური და სოციალური ზრდისთვის.

შემდეგ დაფუძნდა სოფლის ჰაბი დრაგანას მიერ განახლებულ სახლში, რომელიც წარმოადგენდა სივრცეს ღონისძიებებისთვის, სამუშაო შეხვედრებისა და მენტორობისთვის. ეს ჰაბი გახდა სივრცე, სადაც ადგილობრივები, ქალაქიდან და სოფლებიდან ჩამოსული ადამიანები ერთმანეთს შეხვდებოდნენ, გაცვლიდნენ იდეებს და იმუშავებდნენ ერთობლივ პროექტებზე. ჰაბმა დაიწყო დაკავშირება სხვა სოფლების ინიციატივებთან და მსგავსი პროექტებით დაინტერესებულ პირებთან. ის გახდა ურბანული და სოფლის ცოდნის შერწყმის მოდელი უფრო ძლიერი თემების შესაქმნელად. ჰაბმა გადამწყვეტი როლი ითამაშა სოფლის დასუსტების შემობრუნებაში, ახალი მაცხოვრებლებისა და ვიზიტორების მოზიდვაში და სოფლის გამოცოცხლებაში. სოფლის ჰაბის მეშვეობით, ვრმძა გახდა მდგრადი განვითარების შუქურა, რომელიც აჩვენებს, როგორ შეუძლია სოფლის ინოვაციას თემების გარდაქმნა და გრძელვადიანი დადებითი გავლენის მოხდენა.

აპლიკაციის სურათი „ვრმძისა და საუკუნეების გავლით“

Source: https://apkpure.com/through-vrmd%C5%BEa-and-centuries/com.cdop.vrmdza

სოფლის ჰაბმა რამდენიმე ინიციატივა და პროექტი წამოიწყო. ერთი საინტერესო პროექტი იყო ინტერაქტიული რუკის შექმნა „ვრმძისა და საუკუნეების გავლით“. რუკის მიზანი იყო სოფლის ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია. ის წარმოადგენს ვირტუალურ ტურისტულ გიდს სოფლის ღირსშესანიშნაობებსა და

ისტორიაში. ეს ინიციატივა არა მხოლოდ ტურისტების მოზიდვას ისახავდა მიზნად, არამედ უზრუნველყოფდა თვითდასაქმებისა და ფინანსური დამოუკიდებლობის პლატფორმას, განსაკუთრებით სოფლის ქალებისა და ახალგაზრდებისთვის. ინტერაქტიული რუკის მობილური აპლიკაცია ხელმისაწვდომია ინტერნეტსა და Google Play Store საშუალებით.

დამატებით, სოფლის ჰაბი ხელს უწყობს სხვადასხვა ინიციატივებსა და ღონისძიებებს, მათ შორის ცოდნის გაზიარების სესიებს, შესაძლებლობების გამაძლიერებელ სამუშაო შეხვედრებს და მენტორობის პროგრამას. ეს ღონისძიებები გადამწყვეტი იყო მდგრადი თემების კონცეფციის პოპულარიზაციისა და ურბანული და სოფლის ცოდნის ინტეგრაციის წახალისებისთვის. ჰაბი, ასევე, ფოკუსირდება სოფლის ინიციატივებისა და საკუთარ თემებში ვრმძას მდგრადი პრაქტიკების გაზიარებით დაინტერესებული პირების ქსელის შექმნაზე.

გამოწვევები და სამომავლო გეგმები

წარმატების მიუხედავად, ვრმძას სოფლის ჰაბი იდგა რამდენიმე გამოწვევის წინაში. ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ადგილობრივი მოსახლეობის განგრძობითი ჩართულობისა და განათლების საჭიროება მდგრადი პრაქტიკებისა და მწვანე ეკონომიკის სარგებლის შესახებ. ასევე იყო ინფრასტრუქტურული გამოწვევები, როგორიცაა უხარისხო გზები და თანამედროვე ინფრასტრუქტურასთან შეზღუდული წვდომა, რომელიც ხელს უშლიდა განვითარების რიგ ასპექტებს. ამასთანავე, კომპლექსური და ბევრი დროითი დანახარჯის საჭიროების მქონე აღმოჩნდა სამართლებრივი და ბიუროკრატიული საკითხების მოგვარება რიგი ინიციატივებისთვის საჭირო ნებართვებისა და მხარდაჭერის მისაღებად. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო ბალანსის დაცვა სოფლის ტრადიციული ცხოვრების წესსა და თანამედროვე მდგრადი პრაქტიკების დანერგვას შორის. ამ წინაღობების დაძლევა საჭიროებდა უწყვეტ ძალისხმევას თემის მობილიზების, განათლების კუთხით და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობას.

ნასწავლი გაკვეთილები

ვრმძას სოფლის ჰაბი სოფლის ინოვაციის ნათელი მაგალითია. ამ ინიციატივამ ხელი შეუწყო ენერგიულ საზოგადოებას, რომელიც ლახავს ქალაქსა და სოფელს შორის არსებულ განსხვავებებს და ითვალისწინებს განვითარების ყოვლისმომცველ (ჰოლისტურ) მიდგომას. ეს ინიციატივა ხაზს უსვამს თემის მშენებლობის მნიშვნელობასა და მდგრადი და ინკლუზიური გარემოს შექმნას ადგილობრივებისა და ახლადჩამოსულების, მათ შორის მარგინალიზებული ჯგუფების, აქტიური ჩართულობით. ჰაბი მხოლოდ სოფლის მეურნეობის პრაქტიკებზე არ ფოკუსირდება, არამედ ქმნის დასაქმების შესაძლებლობების

სოფლის მეურნეობის მიღმაც, ისეთ მიმართულებებში, როგორებიცაა ეკოტურიზმი, ხელნაკეთი ნივთები და ციფრული სერვისები. განსხვავებული პერსპექტივებისა და უნარების შერწყმით, ვრმძას სოფლის ჰაბი წარმოადგენს მაგალითს, თუ როგორ შეუძლიათ სასოფლო დასახლებებს წარმატების მიღწევა თანამშრომლობით, მრავალფეროვნებითა და ძლიერი კავშირებით ურბანულ რესურსებთან და ქსელებთან.

წყაროები

http://www.simra-h2020.eu/index.php/description/?id=321

https://balkaninsight.com/2021/03/16/vrmdza-the-serbian-village-that-refused-to-die/

https://ruralhub.rs/en/

https://okruzenje.com/en/vicinities-chronicles/dragana-tomic-pilipovic-i-am-now-a-village-woman/

https://www.linkedin.com/in/draganatomic/?original_referer=https%3A%2F%2Fwww%2Egoogle%2Ebe%2F&originalSubdomain=rs

ინოვაციის პასპორტი

ინოვაციის მიმართულება		ინოვაციის ტიპი	
			
ეკო-ტურიზმი	**ღირებულებათა ჯაჭვი**	**პროდუქტის ინოვაცია**	**სოციალური ინოვაცია**
რეგიონში ეკოტურიზმის განვითარება (ეთნო და გეო-ტურიზმთან ერთად).	ტრადიციული რეწვისა და ხელნაკეთი პროდუქციისთვის ახალი ბაზრების გახსნა.	ახალი ტურისტული პროდუქტების შექმნა, მათ შორის ტრადიციული ხელნაკეთი ნივთების სახელოსნოები და განთავსების ადგილები ტრადიციულ იურტებში.	ადგილობრივი თემებისთვის ხელოვნებისა და ხელნაკეთი ნივთების სახელოსნოებით, ტრადიციული ცოდნა ცოცხლდება და გადაეცემა სხვებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ახალგაზრდებისა და ქალების განათლებას.

კონტექსტი და ზოგადი ინფორმაცია

ადრე 1990-იანებში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყირგიზეთი აღმოჩნდა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში. მაცხოვრებლებს უწევდათ შემოქმედებითად მიდგომოდნენ ხელმისაწვდომ რესურსებს, რათა საარსებო წყარო შეექმნათ. ერთ-ერთი ასეთი მაცხოვრებელი იყო ჟილდიზ ასანაკუნოვა, რომელიც ცხოვრობდა ისიკ-ყულის ტბის სამხრეთ მხარეს.

ეთნო-ტურიზმი ტურიზმის ფორმაა, რომელიც ფოკუსირდება ადგილობრივი კულტურის, ტრადიციებისა და ცხოვრების წესის აღმოჩენაზე. ის მოიაზრებს მოგზაურების მიერ მოშორებული ან სასოფლო დასახლებების მონახულებას, სადაც ერთვებიან და სწავლობენ ადგილობრივი ან მკვეთრების თემების წესების, რწმენებისა და პრაქტიკების შესახებ. ტურიზმის ეს სახეობა მიზნად ისახავს კულტურის შესახებ ცოდნის გაცვლის წახალისებასა და მის გაგებას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პარალელურად.

ისიკ-ყულის ტბა ყირგიზეთში არის ბუნების უნიკალური საოცრება, რომელიც ცნობილია როგორც სიდიდით მეორე მარილიანი ტბა მსოფლიოში და მიუხედავად მაღალ სიმაღლეზე მდებარეობისა, არასდროს იყინება. ტიან შანის მთებით გარემოცულს აქვს თვალწარმტაცი პეიზაჟები და მასპინძლობს მრავალფეროვან ფლორასა და ფაუნას. ისტორიულად ცნობილია როგორც აბრეშუმის გზის ერთ-ერთი გაჩერების ადგილი და ეს ტერიტორია მდიდარია უძველესი არქეოლოგიური ადგილებით. ტბა, ასევე, პოპულარული დანიშნულების ადგილია თავისი მინერალური წყლებით, სამკურნალო ტალახებითა და კულტურული მნიშვნელობით, რომელსაც კიდევ უფრო მეტ მიმზიდველობას სძენენ ადგილობრივი ლეგენდები და ტრადიციები.

1990-იანების ეკონომიკური ქარტეხილების დროს, ჟილდიზ ასანაკუნოვა იყენებდა ხელმისაწვდომ რესურსებს, როგორიც იყო შალი და მისი გადამამუშავებელი ხელსაწყოები, რათა დაეწყო ტრადიციული ხელნაკეთი ნივთების დამზადება. მისმა დედამთილმა მას ასწავლა ტრადიციული ტექნიკებით თექის ნაწარმის დამზადება და ბუნებრივი საღებავების მეშვეობით მათი შეღებვა, რომლებიც მზადდებოდა ხახვის ფურცლებისგან და ჭინჭრისა და ვაშლის ხის ფოთლებისგან. ჟილდიზის ხელნაკეთი ნივთების ბიზნესი ახლა უკვე ჩამოყალიბებულია როგორც ეთნო-ტურიზმი, სადაც მემკვიდრეობა და ტრადიციებია წარმოდგენილი და გარდაქმნილი მდგრად ტურიზმად და პროდუქტებად.

ინოვაციები და წარმატება

ჟილდიზ ასანაკუნოვა
წყარო: https://www.mountainbiosphere.org/en/women-move-mountains-interview-series-2/

ჟილდიზმა და მისმა კოლეგებმა, როგორც ტრადიციული რეწვის პროფესიონალებმა, შემოიარეს მსოფლიო საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებზე მათი პროდუქციის წარსადგენად. ამან მას მისცა საერთაშორისო ბაზრებზე წვდომა. 2014 წელს ჟილდიზმა და მისმა ოჯახმა მიწა შეიძინა ისიკ-ყულის ტბის სიახლოვეს კულტურული ცენტრის „ალმალუუ“-ს მოსაწყობად. მიზანი იყო ისეთი ბიზნესის შექმნა, რომელიც ხაზს გაუსვამდა ჟილდიზის ადგილობრივ მომთაბარე მემკვიდრეობასა და ტრადიციებს, საიდანაც ის მოდიოდა.

ალმალუუში ადგილობრივებსა და ტურისტებს სთავაზობენ კურსებსა და მასტერკლასებს ტრადიციული ცოდნის შესახებ, რათა მათ გაიგონ და უკეთ გააცნობიერონ ბუნებრივი მასალებისგან ჩვენს მიერ ხელნაკეთი პროდუქციის წარმოების პროცესი. ახალი ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაციისთვის, მან დააორგანიზა პრეზენტაცია ადგილობრივი ტუროპერატორებისთვის. მათ უყურეს ადგილობრივი ცოდნის გაზიარების მასტერკლასებს და დაიწყეს მათი

შეთავაზება თავიანთი ტურისტულ პაკეტებში. ერთ-ერთი მასტერკლასისას მონაწილეებს შეუძლიათ ისწავლონ იურტის აწყობა, რომელიც ყირგიზეთში მომთაბარე ჯგუფების მიერ გამოყენებული ტრადიციული კარავია. ჟილდიზი ამბობს, რომ იურტა გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ხუროსა და კერვის უნარები. ის წარმოადგენს ფილოსოფიას, რომელიც მშობლებისგან შვილებს გადაეცემათ. ვინაიდან იურტის მოწყობა ისეთი აქტივობაა, რომელშიც მთელი ოჯახი იღებს მონაწილეობას, ის უფრო აძლიერებს ოჯახებს. და ბოლოს, როდესაც იურტას აწყობ, შენ აცნობიერებ, რომ შენ ხარ ღირებულებათა ჯაჭვის ნაწილი, რომელიც ერის მასშტაბისაა და ერთობას გრძნობ ოჯახთან და ყირგიზეთის მთელს მოსახლეობასთან. ეს კულტურული ღირებულება, ასევე, დაფასებულია ტურისტების მიერ, რომლებიც რჩებიან კულტურულ სოფელში. ისინი ხშირად შთაგონებულნი არიან მომთაბარე ცხოვრების წესით, მისი კულტურით, საკვებით, ტანსაცმლით, ფოლკლორული მუსიკით, ტრადიციული ცეკვებითა და ზეპირსიტყვიერად გადმოცემული პოეზიით.

„მე ყოველთვის ერთსა და იმავე რჩევას ვაძლევ მომავალ მეწარმეებს და ეს არის გახდნენ მეწარმეები სამშობლოს დატოვების გარეშე. არის ასეთი გამოთქმა, რომ გზა სამყაროსკენ იწყება სოფლიდან"

ჟილდიზ ასანაკუნოვა

როგორც ჟილდიზი ჰყვება, ცენტრალურ აზიაში მცხოვრები ყველა ხელოსნის ცხოვრების ხარისხი გაუმჯობესდა მას შემდეგ, რაც მან დაიწყო ცენტრალური აზიის ხელოვნების გაცნობა მსოფლიოსთვის. ეკონომიკურად, ალმალუუს იურტის ბანაკი დიდ წარმატებას წარმოადგენს და იურტები, ძირითადად, წინასწარ იჯავშნება, ხანდახან ერთი წლით ადრეც. ტურისტების ჩამოსვლა დადებითად აისახება ისიკ-ყულის ტბის გარშემო სხვა ბიზნესებზეც.

გარდა რეგიონისთვის ეკონომიკური სარგებლისა, ალმალუუს იურტის ბანაკი, ასევე, ეხმარება ტრადიციული ცოდნის შენარჩუნებას და გადაცემას ახალგაზრდა თაობისთვის. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახალგაზრდებისა და ქალების გაძლიერებას. სამუშაო შეხვედრებით, სწავლებებითა და ლიდერობის შესაძლებლობებით, ეს ჯგუფები აქტიურად არიან ჩართულნი სოფლის განვითარებაში. და ბოლოს, გარემოს მდგრადობა ასევე წარმოადგენს ბიზნესის ძირეულ ასპექტს. ჟილდიზსა და მის გუნდს მიზნად აქვთ დასახული იმ გარემოს შენარჩუნება, რომელშიც

გეო-ტურიზმი ტურიზმის ფორმაა, რომელიც ფოკუსირდება დანიშნულების ადგილის გეოლოგიურ და გეოგრაფიულ ასპექტებზე. ის ხაზს უსვამს ლანდშაფტების, რელიეფისა და დედამიწის მეცნიერებების მნიშვნელობას მოგზაურობის გამოცდილების ფორმირებისას. გეო-ტურიზმის მიზანია მოგზაურების მიერ ადგილობრივი გეოლოგიური მემკვიდრეობის გაგება და დაფასება მოგზაურობის მდგრადი მიდგომების გამოყენებით, რომელიც ამცირებს გარემოზე ზეგავლენას.

გაიზარდნენ. ტერიტორია აღიარებულია, როგორც ბიოსფერული ნაკრძალი და როგორც რამსარის სივრცე. ახლა გუნდი ბევრს მუშაობს იმისთვის, რომ ტესკის გეოპარკი გახდეს UNESCO გლობალური გეოპარკების ქსელის წევრი. ამჟამად ხორციელდება გეო-მემკვიდრეობასთან დაკავშირებული რამდენიმე პროექტი. გარდა ამისა, ისიკ-ყულის ტბის სამხრეთ სანაპიროზე მყოფი გუნდი ბაიბუსუნის მინი ნაკრძალის დამფუძნებელია.

გამოწვევები და სამომავლო გეგმები

ერთ-ერთი გამოწვევა, რომლის წინაშეც ჟილდიზი ამჟამად დგას არის ინვესტორების მოზიდვა თავისი რამდენიმე სამომავლო გეგმისთვის. მაგალითისთვის, ის ფიქრობს მსოფლიოს მასშტაბით იურტების ექსპორტს, რადგან ეს ადგილზე შექმნიდა დასაქმების შესაძლებლობებს და დაეხმარებოდა იმ ადამიანებს, რომლებსაც საცხოვრებელი არ აქვთ. ჟილდიზი ამბობს, რომ ბევრი იდეა და გამზადებული ბიზნეს გეგმა აქვს და რომ ტრადიციული რეწვის განვითარებისთვის მთავრობა ხელს შეუწყობს ადგილობრივ მეწარმეებს გრანტებით, საგადასახადო შეღავათებითა და მიწით.

ნასწავლი გაკვეთილები

„ალმალუუ“-ს კულტურული სოფელი სოფლის ინოვაციის განსაკუთრებული მაგალითია, ვინაიდან ის აერთიანებს კულტურის დაცვას, მდგრად ტურიზმს, ეკონომიკურ გაძლიერებას, გარემოს დაცვას, სოციალურ ჩართულობას და წარმოადგენს მაგალითს სხვა სასოფლო თემებისთვის. ჟილდიზმა მოახერხა ტურიზმში არსებულ ბიზნესის მორგება. მართლაც, ეკოტურიზმის პოპულარობა იზრდება და იურტები ჭარბობენ ტურიზმში, როგორც ბუნებასთან კავშირების კვლავ დამყარების იდეა. ყოვლისმომცველი ფორმით მრავალ გამოწვევაზე პასუხით, ალმალუუს კულტურული სოფელი იძლევა ერთგვარ ნიმუშს სოფლის განვითარებისთვის, რომელიც ერთდროულად არის კულტურულად მდიდარი და ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი.

წყაროები

https://www.mountainbiosphere.org/en/women-move-mountains-interview-series-2/

https://manshuq.com/life-the-art-of-yurts-11-2020

ინოვაციის პასპორტი

ინოვაციის მიმართულება	ინოვაციის ტიპი
სოფლის მეურნეობა და ღირებულებათა ჯაჭვი	**პროცესის ინოვაცია**
ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას, როგორიცაა განახლებადი ენერგიის წყაროები, შეუძლია სოფლის მეურნეობის წარმოების ხელშეწყობა, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა და გარემოზე დადებითი ზეგავლენის მოხდენა.	მზის პანელების გამოყენებით, საწარმოო ხარჯები მნიშვნელოვნად შემცირდა.

კონტექსტი და ზოგადი ინფორმაცია

სოფლის განვითარების ხელშეწყობა და სოფლის ეკონომიკის გაძლიერება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს საქართველოსთვის. განსაკუთრებით COVID-19 პანდემიის შემდეგ, სოფლად მცხოვრები თემებისა და ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერამ კრიტიკული მნიშვნელობა შეიძინა. ჩაკეტვამ, ბაზრის დახურვამ და ეკონომიკურმა ვარდნამ განსაკუთრებით მძიმედ დააზარალა სოფლის მოწყვლადი მოსახლეობა, რაც საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობასა და საარსებო წყაროს.

ამ გამოწვევებზე საპასუხოდ, ევროკავშირმა და გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP)

"ენერგოეფექტურობა და მწვანე გადაწყვეტები სოფლის ბიზნესებისთვის ჩვენს საგრანტო პროგრამებში ცენტრალური ადგილი უკავიათ. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, პოპულარიზაცია გავუწიოთ მწვანე ალტერნატივებს სოფლის ტერიტორიებზე, რომელიც სარგებელს მოუტანს როგორც ადამიანებს, ასევე პლანეტას."

ანა ჩერნიშოვა (გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მოქმედი ხელმძღვანელი)

ითანამშრომლეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის განვითარების სააგენტოსთან, რათა მხარი დაეჭირათ მცირე ბიზნესებისთვის და შეექმნათ მდგრადი დასაქმების შესაძლებლობები. ერთობლივად მათ წამოიწყეს ერთობლივი სოფლის განვითარების გრანტები მთლიანი ბიუჯეტით 9 მილიონი ლარი.

სოფლის მცირე ბიზნესის ეკონომიკური და გარემოსდაცვითი მდგრადობის გაზრდის ერთ-ერთი პერსპექტიული გზა არის განახლებადი ენერგიის დანერგვა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მხარდასაჭერად. საქართველოში, ბევრ სასოფლო დასახლებას არ აქვს მუდმივი კავშირი ქვეყნის ელექტროენერგიის ქსელთან, რაც იწვევს არასაიმედო ელექტროენერგიის მიწოდებას და ხელს უშლის სოფლის მეურნეობის ნაყოფიერებას. განახლებადი ენერგიის წყაროები, როგორიცაა მზე და ქარი, იძლევა სტაბილურ და დამოუკიდებელ ენერგიის მიწოდებას, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის უწყვეტი ოპერირების შესანარჩუნებლად ამ მოშორებულ ადგილებში.

საქართველოს სასოფლო რეგიონებში, საწვავის ტრანსპორტირებისა და შენარჩუნების ხარჯები მაღალია, განახლებად ენერგიას შეუძლია, მნიშვნელოვნად შეამციროს საოპერაციო ხარჯები. მიუხედავად იმისა, რომ განახლებადი ენერგიის გამოყენების საწყისი ხარჯები დიდია და ინვესტიციას საჭიროებს, გრძელვადიანი დანაზოგი მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით სოფლის სოფლის ტიპის დასახლებებში, სადაც საწვავი და ტრადიციული ენერგომატარებლების ხარჯები შედარებით მაღალია.

ასევე, არის ძალიან ცხადი სარგებელი გარემოსთვის. საქართველოს მრავალფეროვანი და მდიდარი ბუნებრივი გარემო კრიტიკულ აქტივს წარმოადგენს, განსაკუთრებით სოფლად, სადაც სოფლის მეურნეობა ძირითადი საარსებო წყაროა. განახლებადი ენერგიის მიღებით, ფერმერებს შეუძლიათ მინიმუმამდე დაიყვანონ გარემოზე ზემოქმედება, შეამცირონ სათბურის გაზების ემისიები და შეინარჩუნონ ბუნებრივი ლანდშაფტი. ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეკოლოგიური ბალანსის შესანარჩუნებლად და მდგრადი განვითარებისადმი საქართველოს ერთგულების მხარდასაჭერად.

და ბოლოს, განახლებადი ენერგიის დანერგვას სოფლის მეურნეობაში შეუძლია ეკონომიკური ზრდის სტიმულირება სოფლად საქართველოს თემებში. მას შეუძლია შექმნას სამუშაო ადგილები განახლებადი ენერგიის სისტემების ინსტალაციასა და მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით და ფერმერებს აძლევს შესაძლებლობას მოახდინოთ დანაზოგის ინვესტირება ოპერაციების გაფართოებაში ან ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში. ეს ეკონომიკური აღმავლობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სიღარიბის წინააღმდეგ საბრძოლველად და სოფლის განვითარების მხარდასაჭერად.

სოფლის მეურნეობის კომპანიის ერთ-ერთი მაგალითი, რომელმაც მოითხოვა გრანტი მზის პანელების დამონტაჟებისთვის სასოფლო-სამეურნეო წარმოების მხარდასაჭერად, არის ბიორასი, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში.

ინოვაცია და წარმატება

მზის პანელი ბიორასში
წყარო: https://eu4georgia.eu/eu-and-undp-help-rural-businesses-respond-to-pandemic-crisis/

ბიორასი დაარსდა თანამოაზრე პირთა ჯგუფის მიერ და წლების განმავლობაში წარმატებით განახორციელა მრავალი ინიციატივა სოფლის მეურნეობის მიმართულებით. 2018 წელს გუნდმა შეისყიდა 22 ჰექტარი მიწის ფართობი და 12 ჰექტარზე სწრაფად გააშენა კაკლის ბაღი. მომდევნო წელს კომპანია გააფართოვა თავისი წარმოება 5 ჰექტარზე აისბერგის სალათის მოყვანით, რომელსაც აწვდის McDonald's-ის რესტორნების ქსელს.

თავისი წარმოების მხარდასაჭერად, ბიორასმი საჭიროებდა ენერგიის საიმედო წყაროს. მიუხედავად იმისა, რომ ძველი ელექტროგადამცემი ხაზი მდებარეობდა მიწის მახლობლად, მის აღდგენას დასჭირდებოდა დაახლოებით 100 000 ლარის ინვესტიცია და მნიშვნელოვანი ტყიანი ტერიტორიის გაჩეხვა, რაც მას ეკონომიკურად შეუძლებელს და ეკოლოგიურად საზიანო გახდიდა. კიდევ ერთი ალტერნატივა იყო დიზელზე მომუშავე ელექტრო გენერატორის გამოყენება, რომელიც ძვირი და ეკოლოგიურად საზიანო იყო. ამის ნაცვლად, ბიორასმა აირჩია ენერგიის მდგრადი ალტერნატიული წყაროს განვითარება. მუდმივი ენერგიის მიწოდების გარეშე, ბიზნესის გაფართოება შეუძლებელი იქნებოდა.

გიორგი ფხაკაძე
წყარო: https://eu4georgia.eu/eu-and-undp-help-rural-businesses-respond-to-pandemic-crisis/

ამ გამოწვევის საპასუხოდ, ბიორასის მფლობელმა გიორგი ფხაკაძემ და მისმა კოლეგებმა დაიწყეს ალტერნატიული ენერგიის წყაროების კვლევა საკუთარი ამბიციების რეალიზაციისთვის. 2019 წელს მათ მზის პანელების გამოყენების პილოტირება მოახდინეს ერთი პატარა პანელისა და რამდენიმე მზის ნათურის შეძენით. ამ საპილოტე ტესტის შედეგების ანალიზითა და ექსპერტებთან კონსულტაციით, მათ დაასკვნეს, რომ სჭირდებოდათ 10 კვტ.სთ. სიმძლავრის მზის პანელები და 40 კვტ. დაგროვება ბიზნესის საჭიროებების სრულად დაკმაყოფილებისთვის. ამის შემდეგ მათ შეიტანეს განაცხადი ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის საგრანტო პროგრამაში.

„პანდემიის დროს ევროკავშირის მხარდაჭერა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის. რთულია ინვესტიციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება გამოწვევებით სავსე დროს, მაგრამ მიღებულმა მხარდაჭერამ შეცვალა ჩვენი რეალობა და დაგვეხმარა განვითარების ახალ საფეხურზე გადასვლაში. ეს ცვლილება დაგვეხმარებოდა მეტი ადამიანის დასაქმებაში და შესაბამისად, ეკონომიკურად დაეხმარებოდა ბევრ ოჯახს“.

გიორგი ფხაკაძე

მათ მიიღეს 30 000 ლარის ოდენობის გრანტი და მათ შეძლეს 60 მზის პანელისა და 24 ელემენტის ინსტალაცია. ეს მნიშვნელოვანი გადასვლა განახლებადი ენერგიის წყაროებზე იყო არა მხოლოდ ეკონომიკურად გონივრული, არამედ ეკოლოგიურადაც მომგებიანი. მზის პანელების დაყენების შემდეგ აღარ იყო საჭირო ძველი ელექტროგადამცემი ხაზის რეაბილიტაცია. შედეგად, დაიზოგა 1.5 კმ. სიგრძის ტყე.

მზის პანელების მონტაჟამდე, ბიორასი წლიურად იყენებდა 2-დან 3 ტონამდე საწვავს. განახლებად ენერგიაზე გადასვლის შედეგად, ბიორასმა მნიშვნელოვნად შეამცირა წარმოების ხარჯები წელიწადში 6000 ლარამდე. ამ დანაზოგით კომპანია თანამშრომლების სამუშაო პირობების გაუმჯობესებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას გეგმავს.

პროექტმა ასევე აჩვენა საოპერაციო ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირება, სადაც წლიური სავარაუდო დანაზოგი შეადგენდა 6,000 ლარს.

გამოწვევები და სამომავლო გეგმები

მიუხედავად წარმატებისა, ბიორასი დგას მიმდინარე გამოწვევების წინაში, შეინარჩუნოს და გაზარდოს განახლებადი ენერგიის გადაწყვეტების მასშტაბები. ერთ-ერთ მთავარ წინაღობას წარმოადგენს მაღალი დანახარჯები დასაწყისში და ტექნიკური ექსპერტიზა, რომელიც ასეთი გადაწყვეტებისთვისაა საჭირო და რაც შესაძლოა, არ იყოს მარტივად ხელმისაწვდომი სოფლად. ასევე, სახეზეა უფრო ფართო მარეგულირებელი და ბაზართან დაკავშირებული გამოწვევები, როგორიცაა სამთავრობო და საერთაშორისო ორგანოების თანმიმდევრული მხარდაჭერისა და წახალისების უზრუნველყოფა, რათა განახლებადი ენერგია გახდეს უფრო მიმზიდველი ინვესტიცია სოფლის სხვა ბიზნესებისთვის.

ნასწავლი გაკვეთილები

გიორგი ფხაკაძის გამოცდილება ბიორასში ხაზს უსვამს მწვანე ტექნოლოგიების ინტეგრაციის პოტენციალს სოფლად არსებულ ბიზნესებში, აჩვენებს, რომ მცირე

მასშტაბის განახლებადი ენერგიის წყაროები შეიძლება იყოს მასშტაბირებადი და ადაპტირებადი სოფლის მეურნეობის სხვადასხვა მიმართულებებისთვის, რაც წარმოადგენს მოდელს სხვა ბიზნესებისთვის სოფლად. დამატებით, ეს მიდგომა ორმხრივ სარგებელს სთავაზობს: ეკონომიკურად, ელექტროენერგიის ხარჯების შემცირებას და გარემოს დაცვის კუთხით, წიაღისეულისგან გამომუშავებულ საწვავზე დამოკიდებულების კლებას და ბუნებრივი ლანდშაფტების შენარჩუნების ხელშეწყობას.

წყაროები

https://www.undp.org/georgia/press-releases/renewable-energy-saves-nature-and-strengthens-rural-business

https://georgiatoday.ge/renewable-energy-saves-nature-and-strengthens-rural-business/

https://eu4georgia.eu/eu-and-undp-help-rural-businesses-respond-to-pandemic-crisis/

https://youtu.be/Ik1c-7rKMTM

ტექნოლოგიების გამოყენება ეროვნული პარკების მეტი ხელმისაწვდომობისთვის (ყაზახეთი)

ინოვაციის პასპორტი

ინოვაციის მიმართულება		ინოვაციის ტიპი	
ეკოტურიზმი	**თანამშრომლობა**	**პროდუქტის ინოვაცია**	**პროცესის ინოვაცია**
ახალი ტურისტების მოზიდვა და ტურისტების მიერ მეტი დროის გატარება ყაზახეთის ეროვნულ პარკებში.	დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობა ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის სახით, ყაზახეთში (ეკო)ტურიზმის პოპულარიზაციისა და გაფართოებისთვის.	ახალი ტურისტული პროდუქტების დანერგვა - ვირტუალური ტურიზმის სახით.	ვირტუალური ტურების მიწოდების ახალი მეთოდების, ტექნიკებისა და სისტემების დანერგვა. ტურიზმის სექტორში და მასთან დაკავშირებული ხარჯებისა და ეფექტიანობის ასპექტებში რევოლუციის მოხდენა.

კონტექსტი და ზოგადი ინფორმაცია

ყაზახეთს მრავლად აქვს ეროვნული პარკები; უფრო ზუსტები რომ ვიყოთ 14 პარკი და ქვეყანაში ეკოტურიზმის პოპულარობა იზრდება. ამ გაზრდილ პოპულარობას თან ახლავს გარკვეული გამოწვევები, მათ შორის ტურისტული სერვისების არსებობა, ტურისტული პროდუქტების შეთავაზება და ტურისტული ნაკადების მართვა. ეს მაგალითი ფოკუსირდება ორ ყველაზე დიდ და პოპულარულ ეროვნულ პარკზე ქვეყანაში: კატონ კარაგაისა და კოლსაი კოლდერის პარკებზე.

კოლსაი კოლდერის ეროვნული პარკი
წყარო:
https://www.undp.org/kazakhstan/stories/ecotourism-

კოლსაი კოდლერის ეროვნული პარკის იზოლაციის გამო, ის მრავალ იშვიათ მცენარესა და ცხოველს მასპინძლობს. გარგრისა და კუნელის მცენარეები გვხვდება მთელ პარკში; მეცნიერებმა 704 სახეობის მცენარე აღრიცხეს (მათგან 12 კლასიფიცირებულია, როგორც იშვიათი). უფრო მეტიც, პარკი მასპინძლობს ექვს ძუძუმწოვარს, რომელიც ქვეყანაში კლასიფიცირებულია როგორც იშვიათი, ისეთები, როგორიცაა ტიან შანის ყავისფერი დათვი და თოვლის ლეოპარდი. კოლსაის ტბებისკენ მიმავალი სალაშქრო ბილიკები შედარებით ხელმისაწვდომია დამწყებებისთვის, სადაც ტურისტები ერთვებიან პოპულარულ აქტივობებში, როგორიცაა ცხენით გასეირნება, კემპინგი და სამთო ველოსიპედები.

კატონ კარაგის ეროვნული პარკი ქვეყანაში, რაც მოიცავს ტერიტორიას, სადაც ყაზახეთის, ჩინეთის, რუსეთისა და მონღოლეთის საზღვრები იკვეთება. მისი ფერდობები ციცაბო და კლდოვანია, ხოლო ნიადაგი ფორმირებულია მყინვარებისგან. კოკოლის ჩანჩქერი უდიდესია ალტაის მთებში და პარკში მდებარეობს; მისი ვარდნის სიმაღლეა 80 მეტრი.

მიუხედავად ბუნებრივი სილამაზისა, არსებობს გარკვეული გამოწვევები ტურისტების რაოდენობასა და ტურისტული სეზონის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით. კოლსაი კოლდერის შემთხვევაში, ტურისტული მარშრუტებისა და ტურისტული ბილიკების დატვირთვა არაერთგვაროვანია. პარკში შვიდი ტურისტული მარშრუტია, თუმცა ტურისტების 90% სტუმრობს მხოლოდ ორ ბილიკს, რომელიც ყველაზე კომფორტულად ხელმისაწვდომია. შედეგად, ეს ბილიკები განიცდიან ვიზიტორების ჭარბ რაოდენობას, რაც ზრდის ბუნებრივ გარემოზე უარყოფითი გავლენის რისკს. მეორემხრივ, პარკს აქვს დამატებით ხუთი ბილიკი, რომლებსაც იშვიათად სტუმრობენ ტურისტები, თუმცა, რომლებსაც შეუძლიათ ტურისტებისთვის უნიკალური ველური ბუნების გამოცდილება შექმნან.

კატონ კარაგის ეროვნულ პარკში გამოწვევები განსხვავებულია. ტურისტული სეზონი უკიდურესად მოკლეა და გრძელდება მხოლოდ ივნისიდან სექტემბრამდე. უფრო მეტიც, ტურისტების მხოლოდ 5% წარმოადგენენ უცხოელი ვიზიტორები. ვიზიტორების რაოდენობა პირველ რიგში, დამოკიდებულია სერვისების არსებობაზე, როგორიცაა საოჯახო სასტუმროები და გამოცდილი გიდები, და უსაფრთხოების ზომები. შესაბამისად, ინოვაციის საჭიროება წარმოიშვა ვიზიტორთა გავლენის მართვის სურვილიდან, გაეზარდათ და გადაენაწილებინათ ტურისტების ნაკადები, მეტი მოეზიდათ მეტი საერთაშორისო ტურისტი,

გაეუმჯობესებინათ ტურისტული სერვისები და ხელი შეეწყოთ უფრო თანასწორი ეკონომიკური სარგებლის მიღებისთვის ადგილობრივ თემებში.

ინოვაცია და წარმატება

„ვირტუალური ტურები ხალხს აცნობს ეროვნული პარკის ბუნების მრავალფეროვნებას და აღძრავს პოტენციურ ტურისტებში ინტერესს, მოუნახულონ სხვა მარშრუტები.“

ჰამიტ ახმეტოვ
კოლსაი კოლდერის ეროვნული პარკის მკვლევარი

ზემოთ ნახსენები გამოწვევების გადასაჭრელად, ორი პარკის თანამშრომლებს გაუჩნდათ იდეა, შეემუშავებინათ ვირტუალური ტურები. ეს ტურები არის იმერსიული პრეზენტაციები, რომელშიც წარმოდგენილია 3D პანორამული სურათები და ჰაერიდან გადაღებული ხედები, რაც სთავაზობს დეტალურ ინფორმაციას ტურისტული მარშრუტებისა და ბილიკების შესახებ. ისინი საშუალებას აძლევენ მომხმარებლებს ინტერაქტიულად შეისწავლონ სივრცე, რაც უზრუნველყოფს იქ ყოფნის რეალისტურ შეგრძნებას. პარკის ადგილობრივი ხელმძღვანელობა თანამშრომლობდა გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) და გლობალურ გარემოსდაცვით ფონდთან (GEF), რომლებმაც გადაიღეს სურათები საპილოტე დაცულ ტერიტორიებზე 79 ადგილას ტურების შესაქმნელად.

ვირტუალური ტურები რამდენიმე უპირატესობას სთავაზობს. პირველ რიგში, ისინი აფართოებენ პარკის შესახებ ინფორმაციის გავრცელების არეალს, რაც მათ ხელმისაწვდომს ხდის ფართო აუდიტორიისთვის. ახლა პარკის სტუმრობა შეიძლება სახლიდან გაუსვლელად. ამან შეიძლება შთააგონოს პოტენციური ვიზიტორი, მაგრამ ასევე საშუალებას აძლევს მათ უფრო დეტალურად დაგეგმონ მომავალი მოგზაურობები. კოლსაი კოლდერის ეროვნულ პარკში ვირტუალური ტურები ეხმარება პოპულარული მარშრუტების ტურისტული დატვირთვის შემცირებას ნაკლებად მონახულებულ ადგილებში ტურისტების გადამისამართებით. ვირტუალურმა ტურებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს კატონ კარაგაის ეროვნულ პარკში ახალი ვიზიტორების მოზიდვაზე, განსაკუთრებით უცხოეთიდან.

კატონ კარაგაის ეროვნული პარკის ვირტუალური ტურის სურათი
წყარო:
https://www.undp.org/kazakhstan/stories/ecotourism-kazakhstan-balancing-humans-and-nature

პარკების გაზრდილმა ხელმისაწვდომობამ და პოპულარობამ ადგილობრივ თემებს მოუტანა ეკონომიკური სარგებელი. კატონ კატაგაის ეროვნული პარკის სიახლოვეს, მეწარმეები სთავაზობენ რიგ სერვისებს, მათ შორის ღამის გასათევს, საკვებს, საცხენოსნო ტურებს, ტრანსპორტირებასა და მასტერკლასებს. განსაკუთრებით პოპულარული გახდა იურტები, რომლებიც ტურისტებს სთავაზობენ ავთენტურ ყაზახურ კულტურას. ერთი ასეთი ადგილობრივი მეწარმეა ალია ტემიროვა, რომელმაც 2022 წელს გახსნა საოჯახო სასტუმრო კოლსაის ტბასთან. ამ საოჯახო სასტუმროში ტურისტები ცხოვრობენ ტრადიციულ იურტებში, რაც მათ საშუალებას აძლევს გაეცნონ ყაზახურ კულტურასა და სამზარეულოს. ალია ეთანხმება, რომ ეროვნული პარკის კარგად ჩამოყალიბებული ინფრასტრუქტურა სოფლის მცხოვრებლებს ეხმარება მდგრადი ბიზნესის შექმნასა და რეგიონში ეკოტურიზმის ინდუსტრიის განვითარებაში.

ბაკითბეკ ჯალიმბეკოვი თავის ხის ნაკეთობების სახელოსნოში
წყარო:
https://www.undp.org/kazakhstan/stories/ecoto

ადგილობრივი მეწარმის კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც სარგებელს იღებს რეგიონში გაზრდილი ტურისტული ნაკადებისგან არის ბაკითბეკ ჯალიმბეკოვი, რომელიც ცხოვრობს სოფელში კატონ-კარაგაი. ბაკითბეკი უკვე 10 წელია დაკავებულია ხეზე ტრადიციული კვეთით, რაც მოიცავს სუვენირებსა და ტრადიციული, ეროვნული სტილის საგნებს. რეგიონში ტურისტული განვითარების წყალობით, მისმა ბიზნესმა მოიპოვა ხილვადობა და ის ახლა იღებს კერძო შეკვეთებს ხის ნაწარმზე, რითაც მან შეძლო წარმოების გაზრდა და დაეხმარა მას შემოსავლის მიღებასა და ოჯახის უზრუნველყოფაში. ბაკითბეკი მიიჩნევს, რომ ეკოტურიზმი არის საშუალება ადგილობრივი თემების ეკონომიკური აყვავებისთვის და იმავდროულად ხელს უწყობს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას.

გამოწვევები და სამომავლო გეგმები

ამ წარმატებების მიუხედავად, რიგი გამოწვევები ხელს უშლიან პარკებს, მიაღწიონ უფრო ფართო უპირველეს ყოვლისა, საჭიროა უსაფრთხოების ზომებისა და

მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, რათა მეტი საერთაშორისო ტურისტი მოიზიდოს. მეორე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ადგილობრივი თემების წარმომადგენლებში ახალი ტექნოლოგიებისა და მდგრადი პრაქტიკის მიმართ ცვლილებებისადმი წინააღმდეგობის დაძლევა. ამის საპასუხოდ, დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა, როგორიცაა უცხოელი ტუროპერატორები და სხვა საერთაშორისო პარტნიორები, დაეხმარა ყაზახეთს ბუნებრივი სილამაზისა და ეკოტურიზმის სექტორის პოპულარიზაციაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ გაეროს განვითარების პროგრამისა და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მიერ გაცემული ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა ნაყოფიერი აღმოჩნდა საზოგადოებისა და მთლიანად ყაზახეთისთვის.

ნასწავლი გაკვეთილები

ადგილობრივმა დაინტერესებულმა მხარეებმა შენიშნეს, თუ როგორ შეუძლიათ გააუმჯობესონ ეროვნული პარკების ვიზიტორების გამოცდილება და, შესაბამისად, ითანამშრომლეს ერთმანეთთან და გარე დაინტერესებულ მხარეებთან ახალი მეთოდების დანერგვისა და რეგიონში ტურიზმის პროცესის განახლების მიზნით. ეს სარგებელს მოუტანს საზოგადოებას ადგილობრივ და ქვეყნის დონეზე. ამ მაგალითში, ვირტუალური ტურების განხორციელება აღმოჩნდა ეფექტური სტრატეგია ზემოხსენებული ეროვნული პარკების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისთვის. გარდა ამისა, ეკოტურიზმის განვითარებამ მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებელი მოუტანა ადგილობრივ თემებს. მეწარმეები, როგორებიც არიან ალია და ბაკითბეკი აჩვენებენ, თუ როგორ შეუძლია ტურიზმს შექმნას მდგრადი შემოსავლის შესაძლებლობები და, იმავე დროს, მოახდინოს ადგილობრივი კულტურის პოპულარიზაცია.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) ინტეგრაცია ეკოტურიზმში გარდამტეხი აღმოჩნდა, რაც უამრავ სარგებელს გვთავაზობს - აძლიერებს როგორც ვიზიტორთა გამოცდილებას, ასევე ბუნების შესაძლებლობების მენეჯმენტს. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა შესაძლებელი გახადა ვირტუალური ტურების შექმნა, რამაც გაზარდა ყაზახეთში ეკოტურისტული დანიშნულების ადგილების შესახებ ინფორმაციის გავრცელება. ეს პროცესი არა მხოლოდ ასტიმულირებს ინტერესს და ხელს უწყობს მნახველების მომავალ ვიზიტებს, ის ასევე ხელს უწყობს ტურისტების მოლოდინების მართვას და მოგზაურობის უფრო ეფექტურად დაგეგმვას. ნაკლებად მონახულებული ტერიტორიების ხაზგასმით, ვირტუალური ტურები ხელს უწყობს ვიზიტორების უფრო დაბალანსებულ განაწილებას, შესაბამისად ამცირებს ზეწოლას პოპულარულ მარშრუტებზე და შესაძლებელს ხდის მდგრადი ტურისტული პრაქტიკის პოპულარიზაციას. გარდა ამისა, ICT ხელს უწყობს დაჯავშნისა და მარკეტინგის ონლაინ პლატფორმების განვითარებას, რაც

ზრდის ადგილობრივი მეწარმეების ეკონომიკურ შესაძლებლობებს. გლობალურ აუდიტორიაში შეღწევის ეს დამატებითი შესაძლებლობა აძლიერებს ხილვადობას და იზიდავს უფრო მეტ ვიზიტორს, ხელს უწყობს ადგილობრივ ეკონომიკას და ინარჩუნებს კულტურულ პრაქტიკას ტურისტულ გამოცდილებაში მათი ინტეგრირებით. დღევანდელი მზარდი კონკურენტუნარიანი ტურისტული ბაზრის პირობებში, ეროვნულმა პარკებმა უნდა გამოიყენონ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროგრესი, რათა გაზარდონ მიმზიდველობა საერთაშორისო ტურისტებისთვის.

წყაროები

https://www.undp.org/kazakhstan/stories/ecotourism-kazakhstan-balancing-humans-and-nature

https://www.undp.org/kazakhstan/stories/kazakhstans-pristine-nature-potential-ecotourism-development

https://www.worldwildlife.org/ecoregions/pa1019

viritual tours of several national parks in Kazachstan:

http://www.zagpz.kz/

http://br.katonkaragai.kz/katonkaragay/

http://www.sugnpp.kz/images/ugam/

https://kolsai-koldery.kz/

ინოვაციის პასპორტი

ინოვაციის მიმართულება		ინოვაციის ტიპი	
მარკეტინგი და ბრენდირება	**თანამშრომლობა**	**პროცესის ინოვაცია**	**ორგანიზაციული ინოვაცია**
რეგიონულმა და ორგანულმა ბრენდირებამ უზრუნველყო ეკონომიკური სარგებელი ადგილობრივი თემისთვის. თაფლი გახდა მოთხოვნადი პროდუქტი. ამან ასევე გახსნა ახალი (საერთაშორისო) ბაზრები	თანამშრომლობამ შექმნა სოფლის ინოვაციების გარემო. თემის წევრების მიერ გაერთიანებულმა რესურსებმა, ცოდნამ და უნარებმა ხელი შეუწყო ისეთ გამოწვევებთან გამკლავებას, როგორიცაა ბაზართან შეზღუდული წვდომა. ერთობლივი თანამშრომლობით მეფუტკრეებმა გაიზიარეს რისკები და შეამცირეს ხარჯები, რაც ადგილობრივ ეკონომიკას აძლევდა გამძლეობას და მდგრადობას.	ორგანულმა და რეგიონულმა ბრენდირებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა წარმოების გზები. წარმოება და მარკეტინგი გახდა უფრო ეფექტური და გაიზარდა კონკურენტუნარიანობა.	ორგანიზაციულმა სტრუქტურამ გააერთიანა ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც ნორმალურად არ მუშაობდნენ ერთად, მაგრამ მათმა ინოვაციებმა სარგებელი მოუტანა ყველას.

კონტექსტი და ზოგადი ინფორმაცია

მონღოლეთს არ აქვს ზღვაზე გასასვლელი, მისი კლიმატი ძალიან მკაცრია ზამთარში და შედარებით გრილიდან ცხელი ზაფხულში. ის მსოფლიოში ყველაზე მეჩხერად დასახლებული ქვეყანაა, რომლის მოსახლეობაც გაფანტულია უდაბნოსა და მთებზე. ის, ასევე, არის 20 ყველაზე ნაკლებად მონახულებადი ქვეყნებიდან ერთ-ერთი. ამ მიზეზების გამო, მონღოლეთს უჭირს ხმა მიაწვდინოს დანარჩენ სამყაროს და პოპულარიზაცია გაუკეთოს თავის შეთავაზებებს. ქვეყანა, ძირითადად, ახდენს მინერალური პროდუქტების, სამკაულების, ტექსტილისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ექსპორტს, საიდანაც 80% მიდის მეზობელ ჩინეთში.

მეფუტკრეები ველზე
წყარო: https://mountainpartnership.exposure.co/organic-wildflower-honey-cultivates-sweet-success-for-mongolian-beekeepers

მონღოლეთის მიწის დაახლოებით 1% გამოიყენება კულტურების მოსაყვანად, ძირითადად ხორბალი, კარტოფილი და ქერი. მიუხედავად ამისა, ამ კულტურების მოსავლიანობა შედარებით დაბალია, წლიდან წლამდე იცვლება, რაზეც გავლენას ახდენს გრძელი და ცივი ზამთარი. ამის მიუხედავად, სოფლის მეურნეობის სექტორი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 10%-ს შეადგენს.

სელენგე არის ტყე-სტეპი, რომელიც მდებარეობს შორეულ მონღოლეთში (800-1200 მ). იქ, ისევე როგორც დანარჩენ ქვეყანაში, ეკონომიკური შესაძლებლობები შეზღუდულია და ტრადიციული საარსებო საშუალებები წნეხის ქვეშ იმყოფება. ტრადიციულად, ადგილობრივი ეკონომიკა ეყრდნობა სოფლის მეურნეობასა და მეცხოველეობას, მაგრამ როგორც ზემოთ აღინიშნა, კლიმატი და ტოპოგრაფია ამ პრაქტიკას სულ უფრო ართულებს. 1950-იანი წლების ბოლოდან პროვინციაში შემოვიდა მეფუტკრეობა სოფლის მეურნეობის შემოსავლის დივერსიფიკაციის მიზნით. ბიომრავალფეროვნებით მდიდარ ამ რეგიონში, მეფუტკრეები არ არიან მხოლოდ სკების მცველები, არამედ ისინი ხდებიან ჰერბალისტები, ბოტანიკოსები, ნატურალისტები და ზოოლოგები, რომლებიც ფრთხილად მუშაობენ ბუნებასთან

ჰარმონიაში. ისინი სტრატეგიულად ათავსებენ სკებს მოშორებულ, დაუბინძურებელ მინდვრებში, რათა უზრუნველყონ თავიანთი პროდუქციის გამდიდრება მინერალებითა და მიკროელემენტებით, რაც წარმოადგენს ჯანმრთელობისთვის საჭირო დანამატს, რომელიც ცნობილია რომ აძლიერებს იმუნიტეტს.

თუმცა, მეფუტკრეობის სექტორი სელენგეს პროვინციაში მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე იდგა. მეფუტკრეებს დიდი მანძილის გავლა უწევდათ თავიანთი თემიდან სკების განთავსებისთვის საუკეთესო ადგილების მოსაძებნად. ისინი, ასევე, იდგნენ ფინანსური გამოწვევის წინაში მაღალი საწარმოო ხარჯისა და (საერთაშორისო) ბაზრებთან შეზღუდული წვდომის გამო. ამ გამოწვევებზე საპასუხოდ, მონღოლმა მეფუტკრეებმა გადაწყვითეს თანამშრომლობითი მიდგომის გამოყენება. მათ დააარსეს სამი განსხვავებული კოოპერატივი ველური ყვავილების თაფლის შესაგროვებლად და მოსაპოვებლად.

ინოვაცია და წარმატება

ორმოცდასამი მცირე მეფუტკრე, მათ შორის 29 ქალი, ახლა გაერთიანებულია სამ სხვადასხვა კოოპერატივში: “Kharaagiin Bayan Urs”, “Munkhtsovdon” და “ორგანული თაფლი”. ეს კოოპერატიული სტრუქტურა საშუალებას აძლევს მეფუტკრეებს მხარი დაუჭირონ ერთმანეთს ყოველ ნაბიჯზე, დაწყებული თაფლის დამუშავებიდან და შეფუთვიდან და დამთავრებული საწარმოო ხარჯებით. მათ ასევე აქვთ საერთო მისია, მიაწოდონ მაღალი ხარისხის, ორგანული, დამაბინძურებლებისა და დანამატებისგან თავისუფალი პროდუქტი.

ველური ყვავილების ორგანული თაფლის წარმოების დანერგვამ ადგილობრივ საზოგადოებას ეკონომიკური სარგებელი მოუტანა. 2020 წლიდან ორგანულმა თაფლმა მიიღო მთის პარტნიორობის პროდუქტის ეტიკეტი. ეს სერტიფიცირება და ეტიკეტირება ეფუძნება გარემოსა და ეთიკურად სწორ ღირებულებათა ჯაჭვს. უფრო მეტიც, ის აწვდის ფინანსურ და ტექნიკურ მხარდაჭერას მცირე მწარმოებლებს, წამოიწყონ თავიანთი საქმე და გააძლიერონ მარკეტინგული უნარები.

მთის პარტნიორობის პროდუქტების (MPP) ეტიკეტი საერთაშორისო სერტიფიცირების ნიშანია, რომელიც ხაზს უსვამს და პოპულარიზაციას უწევს პროდუქტებს, რომლებიც მდგრადად იწარმოება მთიან ადგილებში. სასაქონლე ნიშანი არის მთის პარტნიორობის ინიციატივის ნაწილი, რომელიც წარმოადგენს გაეროს მოხალისეობრივ ალიანსს და ფოკუსირდება მთაში მცხოვრები ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესებასა და მსოფლიოს გარშემო მთის გარემოს შენარჩუნებაზე.

შემდეგ, ადვენტისტის განვითარებისა და დახმარების სააგენტოსთან (ADR) თანამშრომლობით, კოოპერატივმა შეიმუშავა ახალი პროექტი, რომლის მიზანი იყო კლასტერული ორგანული მიწოდების ჯაჭვის მართვის სისტემის შექმნა - წარმოებისა და მარკეტინგისთვის, რათა დახმარებოდა რეგიონალური პროდუქტების გაყიდვას. ეს პროექტი ასევე მიზნად ისახავდა საკოორდინაციო სტრუქტურების გაძლიერებას რეგიონულ და ეროვნულ დონეზე, რათა ჩამოყალიბდეს გავლენიანი თანამშრომლობა მონღოლეთში ორგანული სექტორის განვითარებისთვის.

კოოპერატივების მიერ წარმოებული ორგანული თაფლი
წყარო: https://mountainpartnership.exposure.co/organic-wildflower-honey-cultivates-sweet-success-for-mongolian-beekeepers

MPP ეტიკეტის მოპოვების შემდეგ, თაფლი გახდა სასურველი პროდუქტი. საერთო ჯამში, წარმოება გაიზარდა 17%-მდე, რამაც გაზარდა მეფუტკრეების შემოსავალი. სერტიფიცირებამ და ბრენდირებამ, ასევე, გახსნა ახალი ბაზრები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, გაზარდა პროდუქტის მიმზიდველობა და ღირებულება. მაგალითად, თოდორჰუსეინ ნუსტი, მეფუტკრე, რომელსაც ჰყავს 30 კოლონია, ახლა ყიდის თავის თაფლს ორგანულ მაღაზიაში სელენგეში მონღოლეთის ორგანული ლოგოსა და MPP-ს ეტიკეტით. შედეგად, მისი წარმოება გაიზარდა 200 კგ.-დან 2020 წელს 500 კგ.-მდე 2023 წელს.

ეკონომიკური მოგების გარდა, ინიციატივამ ხელი შეუწყო გარემოს დაცვას და მიწის მდგრად გამოყენებას. შორეულ, დაუბინძურებელ მინდვრებში სკების განთავსების პრაქტიკა ხელს უწყობს ამ ხელუხლებელი ტერიტორიების შენარჩუნებას. თაფლის წარმოების წარმატებამ ასევე შთააგონა სხვა ადგილობრივი მეწარმეები, გამოიკვლიონ მსგავსი მდგრადი საწარმოები, ხელი შეუწყონ ინოვაციებისა და გარემოსდაცვითი მეთვალყურეობის კულტურას.

ნასწავლი გაკვეთილები

ორგანული ველური ყვავილების თაფლის ინიციატივა სელენგეში გვთავაზობს ღირებულ შეხედულებებს მდგრადი პრაქტიკის, საზოგადოების

თანამშრომლობისა და სტრატეგიული ბრენდირების ძალის შესახებ. პროექტი აჩვენებს, რომ ადგილობრივი რესურსებისა და ტრადიციული ცოდნის გამოყენებით, მცირე მწარმოებლებს შეუძლიათ შექმნან მაღალი ხარისხის, ნიშური პროდუქტები, რომლებიც გამოირჩევიან კონკურენტულ ბაზრებზე. კოოპერატივის მოდელი ეფექტური აღმოჩნდა წარმოების ხარჯებთან და ბაზარზე წვდომასთან დაკავშირებული გამოწვევების დასაძლევად, რაც ხაზს უსვამს მხარდამჭერი ქსელების და პარტნიორობის მნიშვნელობას სოფლის განვითარებაში. გარდა ამისა, ინიციატივა გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება სერტიფიცირებამ და ბრენდირებამ გააძლიეროს პროდუქტის მიმზიდველობა, გახსნას ახალი ბაზრები და განავითაროს ეკონომიკური კონსერვაცია, გააძლიეროს მდგრადი და ინოვაციური პრაქტიკის ღირებულება რესურსებით შეზღუდულ რეგიონებში.

წყაროები

https://mountainpartnership.exposure.co/organic-wildflower-honey-cultivates-sweet-success-for-mongolian-beekeepers

https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/mn/Mongolia_Final-Report_EMP-2_01072013.pdf

https://www.fao.org/mountain-partnership/news/news-detail/en/c/1653036/

https://www.fao.org/mountain-partnership/map-labelled/map-details/fr/c/1609260/

ინოვაციის პასპორტი

ინოვაციის მიმართულება	ინოვაციის ტიპი		
			
ეკოტურიზმი	**პროდუქტის ინოვაცია**	**ორგანიზაციული ინოვაცია**	**სოციალური ინოვაცია**
რეგიონში ეკოტურიზმის განვითარება გარემოს კონსერვაციასთან ერთად	ახალი ტურისტული პროდუქტების შექმნა, სალაშქრო ბილიკების განვითარება, ეკო-ბანაკი გადამუშავებული მასალებისგან, ბუნების განცდა ტურისტებისთვის	მათი მოქმედებების განხორციელებისთვის, ორგანიზაცია მუშაობს ადგილობრივ და საერთაშორისო მოხალისეებთან ერთად. მათ, ასევე, განახორციელეს ფონდების მოძიების წარმატებული კამპანია თავიანთი პროექტების დასაფინანსებლად.	სოციალური მეწარმეობა არის პროექტის მისიის ბირთვი, რომელიც ისწრაფვის მდგრადი საარსებო წყაროს შექმნისკენ მთელ რეგიონში.

კონტექსტი და ზოგადი ინფორმაცია

სამხრეთ სომხეთის სიუნიქის რეგიონი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას, რაც ხაზს უსვამს სოფლის განვითარების აუცილებლობას. როგორც მთიანი და ისტორიულად მნიშვნელოვანი ტერიტორია, სიუნიქი ცნობილია თავისი ბუნებრივი სილამაზით, მდიდარი კულტურული მემკვიდრეობითა და სტრატეგიული მდებარეობით. სიუნიქს აქვს მდიდარი კულტურა და ისტორიული ღირსშესანიშნაობები, როგორიცაა უძველესი მონასტრები, ციხე-სიმაგრეები და ბუნების ძეგლები, როგორიცაა ტატევის მონასტერი და საბაგირო „ტატევის ფრთები“. თუმცა, რეგიონის ტურისტული პოტენციალი რჩება განუვითარებლად არასაკმარის ინფრასტრუქტურის, შეზღუდული მარკეტინგისა და არასაკმარისი ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების გამო. რეგიონი, ასევე, დგას მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი გამოწვევების წინაშე. სიუნიქი არის სომხეთის

ყველაზე დიდი წიაღისეულის მოპოვების ადგილი, რომელსაც მნიშვნელოვანი ზემოქმედება აქვს გარემოზე, მათ შორის ტყეების განადგურება, წყლის დაბინძურება და ნიადაგის დეგრადაცია. გარემოსთან დაკავშირებულ ამ პრობლემებს გავლენა აქვთ სოფლის მეურნეობაზე, ტურიზმსა და ადგილობრივი თემების ჯანმრთელობაზე.

2013 წელს, არმენ კაზარიანმა და მისმა ცოლმა სირანუშ ვარდანიანმა დააფუძნეს სოციალური საწარმო და ეკოლოგიური არასამთავრობო ორგანიზაცია სომხეთის კიდობანი, პირველი ორგანიზაცია, რომელიც მიძღვნილია მხოლოდ სამხრეთ სომხეთში ეკოტურიზმის განვითარებაზე. სომხეთის კიდობანი მიზნად ისახავს სოფლად მცხოვრები თემების შესაძლებლობების გაზრდას გარემოსადმი მეგობრული პრაქტიკების გამოყენებაში. მათ სურთ დამაბინძურებელი მომპოვებელი წარმოების ადგილას საარსებო წყაროს შექმნის სიცოცხლისუნარიანი ალტერნატივების შეთავაზება. ისინი წარმოადგენენ ეკოტურიზმს როგორც სიცოცხლისუნარიან ეკონომიკურ ალტერნატივას რეგიონისთვის და მდგრად პლატფორმას, რომელიც მოიცავს ადგილობრივი თემების, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობას.

ინოვაცია და წარმატება

ეკო&ეთნო ფიტნეს ბანაკი კაპანში, სომხეთი

წყარო: https://www.arkarmenia.com/our-projects.html

დაფუძნებისთანავე სომხეთის კიდობანმა დააფუძნა რეგიონში პირველი ეკო ბანაკი. ბანაკი დამზადებულია 80%-ით გადამუშავებული მასალისგან და აერთიანებს პერმაკულტურულ დიზაინს, სადაც შესაძლებელია ორგანული საკვების მოყვანა მოხალისეებისა და ტურისტებისთვის. ეკო-ბანაკი, ასევე, მიზნად ისახავს სტუმრებისთვის ბუნებასთან სიახლოვის გამოცდილების მიცემას, რათა შეაგრძნობინონ სომხეთის კულტურა და პოპულარიზაცია გაუწიონ ჯანსაღი ცხოვრების წესს. შესაბამისად, ეკო-ბანაკში არსებობს იოგას კლასებში ჩართვის, მასაჟისა და ფიტნესის შესაძლებლობა.

ორგანიზაციამ, ასევე, დაიწყო სალაშქრო ბილიკების მარკირება. მათ დაიწყეს 6 დამოუკიდებელი ბილიკისგან, რომელიც ფარავს 30 კილომეტრს. ამჟამად უკვე 100 კილომეტრზე მეტი სიგრძის მდგრადი სალაშქრო ბილიკებია მარკირებული და კიდევ მეტი პროექტია განხორციელების პროცესში. ერთი ამბიციური პროექტის

კიდობნის ხიდის წამოწყება მოხდა, რათა მომხდარიყო 45-კილომეტრიანი სალაშქრო ბილიკის მარკირება და რუკაზე დატანა, რომელიც აკავშირებს ტატევის მონასტრის ცნობილ ღირსშესანიშნაობას ქალაქ კაპანთან და გრძელდება შიკაჰოღის სახელმწიფო ტყის ნაკრძალისკენ. ბილიკი, ასევე, მოიცავს საინფორმაციო მხარდაჭერის სისტემასა და გზაც 2 ეკო-ბანაკს მოლაშქრეთა განთავსებისთვის.

ეს სალაშქრო ბილიკები ტურისტებს აძლევს წვდომას რეგიონის ეკოლოგიურ, კულტურულ და ისტორიულ სიმდიდრეზე. ისინი, ასევე, ასტიმულირებენ ადგილობრივ ეკონომიკას ალტერნატიული ინდუსტრიის შექმნით, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას საშუალებას აძლევს მოახდინონ ფერმერული და სამთო შემოსავლის დივერსიფიკაცია. ამენ კაზარიანი გვიხსნის, რომ მათ სურთ ადგილობრივები წაახალისონ „სამოთხის შექმნის პროცესში, არა სამოთხის განადგურებით''.

სომხეთის კიდობანი მუშაობს საერთაშორისო მოხალისეებთან ეკოტურიზმის პროექტების განსახორციელებლად. დაფუძნებიდან, მათ უკვე უმასპინძლეს 250-ზე მეტ მოხალისეს. აბრეშუმის გზაზე მომავალი ტურისტები ავტომატურად ხვდებიან კაპანში. ინიციატივის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია შესაბამის ვებგვერდებსა და პლატფორმებზე და ტრანზიტულ ტურისტებს შეუძლიათ სომხეთის კიდობნის მიგნება. ზოგიერთი მოხალისე რჩება შედარებით მეტი დროით. მოხალისეები ჩართულები არიან სხვადასხვა აქტივობაში, მათ შორის ბილიკებზე ნიშულების განთავსებაში ლამაზი გარემოთი ტკბობის პარალელურად.

მოხალისეობრივი ტურიზმი
წარმოადგენს „მოხალისეობისა“ და „ტურიზმის ნაზავს“. ის გულისხმობს ისეთ ადგილებში მოგზაურობას, რომლებიც განვითარებას საჭიროებენ ან არასაკმარისი რესურსები აქვთ, და იქ მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართვას. მიუხედავად იმისა, რომ კონცეფცია აერთიანებს მოხალისეობას ტურიზმის ტრადიციულ ასპექტებთან, მოხალისეობრივი ტურიზმი ხშირად მოიცავს მოკლევადიან პროექტებს, როგორიცაა სწავლება, ინფრასტრუქტურის მშენებლობა, სამედიცინო მომსახურების მიწოდება ან სოფლის მეურნეობა. მოხალისეობის პოპულარული პლატფორმები მოიცავს:

https://www.workaway.info/

https://www.helpx.net/

კიდობნის პროექტების ნაწილი დაფინანსებულია crowdfunding კამპანიებით. საერთაშორისო კავშირების ქონა, მათ შორის საერთაშორისო მოხალისეების სახით, ეხმარება crowdfunding ინიციატივების ხილვადობის გაზრდას. ყველა crowdfunding კამპანია არ არის სრულად წარმატებული. ზოგიერთი მათგანი სრულად არ ფარავს პროექტის ხარჯებს, თუმცა პროექტს აძლევენ შესაძლებლობას, წამოიწყონ ახალი ინიციატივები. ერთ-ერთი უახლესი პროექტი მოიცავდა ახალგაზრდების ტრენინგს დრონის კამერების გამოყენებაში. ბუნებრივი პეიზაჟებისა და სილამაზეების გადაღებას შეუძლია მათთვის ალტერნატიული საარსებო წყაროს შექმნა. Crowdfunding კამპანია იქნა წამოწყებული და შეგროვებული თანხა გამოყენებული იყო დრონების საყიდლად. საკმარისი თანხა აღარ დარჩა ტრენინგების დაფინანსებისთვის, თუმცა გამოჩნდნენ მოხალისეები, რომლებმაც თავიანთი ტექნიკური უნარები გადასცეს ახალგაზრდებს.

Crowdfunding პროექტებისთვის, ბიზნესის ან მნიშვნელოვანი საქმისთვის ფონდების მოძიების მეთოდია, რომელიც გულისხმობს მცირე თანხებით შემოწირულობების შეგროვებას ადამიანთა დიდი რაოდენობისგან. ეს ტიპიურად ხდება ინტერნეტით. ეს საშუალებას აძლევს პირებს ან ორგანიზაციებს, თავი მოუყარონ რესურსებს ფართო აუდიტორიიდან, ხშირად ჯილდოს, პროდუქტების ან ბიზნესში წილის სანაცვლოდ. Crowdfunding-ის პოპულარული პლატფორმები მოიცავს Kickstarter, Indiegogo,

უკანასკნელ წლებში, ორგანიზაციის ყურადღება ეკოტურისტული აქტივობებიდან გადაერთო რეგიონის პოპულარიზაციისკენ. სომხეთის კიდობანი იყო პირველი ორგანიზაცია, რომელიც მოქმედებდა ეკო-ტურიზმის მიმართულებით სამხრეთ სომხეთში. აქტივობების დაწყებიდან, დაახლოებით 10-ჯერ მეტი ტურისტი ეწვია რეგიონს. ორგანიზაციამ, პირდაპირი გაგებით, რეგიონი მოახვედრა რუკაზე! ამ წარმატებამ ადგილობრივ თემებს შედეგად მოუტანა ტურიზმის სექტორში რიგი ბიზნეს შესაძლებლობები, მაგრამ ამასთანავე გაზარდა რეგიონის ხილვადობა ქვეყნის დონეზე. მაგალითად, 2024 წლის აპრილში, ძალიან ცნობილმა სომეხმა ხელოვანმა, რომელიც საზღვარგარეთ ცხოვრობს, შეარჩია კაპანი როგორც მთებში მისი კონცერტის ჩატარების ადგილი. 1000-ზე მეტი ადამიანი, ძირითადად დედაქალაქი ერევნიდან, შეუერთდა კონცერტს და შესაძლებლობა მიეცათ, გაცნობოდენ რეგიონს.

სომხეთის კიდობნის ძალისხმევა შეუმჩნეველი არ დარჩენილა და მიღებული აქვს ადგილობრივი და საერთაშორისო აღიარება. სომხეთის კიდობანი შეირჩა, როგორც ყველაზე პერსპექტიული სოციალური მეწარმეობის ინიციატივა სომხეთში, როგორც საზოგადოების განვითარების პროექტის ფარგლებში სოციალური მეწარმეობის ნაწილი. მათ მიიღეს 7 000 ევროს ოდენობის გრანტი, რათა შემდგომ განევითარებინათ ეკო-ბანაკები, როგორც სოციალური მეწარმეობის მოდელები.

გარდა ამისა, კიდობნის ხიდის პროექტი შეირჩა, როგორც მდგრადობისა და ინოვაციების 300 საუკეთესო პრაქტიკიდან ერთ-ერთი მსოფლიო მეწარმეობის დაჯილდოებისა და 5G მოქალაქეების საერთაშორისო კონგრესის მე-5 გამოცემისთვის.

გამოწვევები და სამომავლო გეგმები

2020 წელს მთიანი ყარაბახის კრიზისმა აიძულა სომხეთის კიდობანი, ყურადღება და ენერგია გადაეტანა სამხრეთ სომხეთის ლტოლვილთა კრიზისზე. ეკოტურიზმიდან აქცენტი გადავიდა შემოსულ ლტოლვილებსა და ადგილობრივი მასპინძელი თემების მხარდაჭერაზე. სომხეთის კიდობანი ეხმარებოდა მათ ლტოლვილების პირველადი საჭიროებების უზრუნველყოფაში. მათ, ასევე, წამოიწყეს საგანმანათლებლო პროექტები ახალჩამოსულებისა და ადგილობრივი თემის წევრების განათლებისთვის მთიან პირობებში, მათთვის ახალ გარემოში, სოფლის მეურნეობის მიმართულებით. არმენი გვიხსნის, რომ როგორც მცირე ზომის ორგანიზაციას, მათ შეეძლოთ ორგანიზაციის ყურადღების სწრაფად გადატანა თემის ახალ საჭიროებებზე. მათ არ აფერხებდათ ბიუროკრატიული ბარიერები და შეეძლოთ ძალისხმევის გადამისამართება, სადაც ყველაზე ძალიან იყო ამის საჭიროება.

სამომავლოდ, სომხეთის კიდობანი გეგმავს ორი პროექტის განვითარებას. ერთი პროექტი არის სულიერი ტურების განვითარება, რომელიც საშუალებას მისცემს ტურისტებს დაუბრუნდნენ ბუნებას, გაეცნონ პერმაკულტურას და ადგილობრივ ხელსაქმეს. მეორე, ადგილობრივ თემთან ერთად, სომხეთის კიდობანი ცდილობს, ერთ-ერთი სოფელი გარდაქმნას დისტანციური საქმიანობის ადგილად. კოვიდ პანდემიის შემდეგ ადამიანების მზარდი რაოდენობა მუშაობს დისტანციურად, რამაც ხელი შეუწყო ციფრული მომთაბარეების ჯგუფების ზრდას. ამ ადამიანების უმრავლესობა ცხოვრობს ქალაქებში და სამიზნე ჯგუფის სოფლის ტიპის დასახლებებში მასპინძლობა ჯერ კიდევ გამოსაკვლევია. ეს პროექტი, ასევე, შექმნიდა ადგილობრივ ეკონომიკურ შესაძლებლობებს და გარკვეულწილად შემოაბრუნებდა სოფლების მიტოვების პროცესს.

არმენის თქმით, ორგანიზაციის ყველაზე დიდი გამოწვევა არის კონფლიქტი პოპულარულ კულტურასა და ღრმა ცხოვრებას შორის, რომელსაც ის ახალგაზრდა თაობებში აკვირდება. ის გვიხსნის, რომ ახალგაზრდებს აქვთ სწავლის კარგი შესაძლებლობები. ზოგიერთი მათგანი საზღვარგარეთ მიდის და რეგიონი სერიოზულ ზიანს იღებს ემიგრაციიდან გამომდინარე. მათ არ აქვთ საკმარისი განცდა, რომ ისინი ეკუთვნიან რეგიონსა და ამ ადგილს, ან როგორც ამას არმენი ამბობს: „ისინი ტოვებენ სამოთხეს, იმიტომ, რომ ისინი ვერ გრძნობენ, რომ სამოთხეში არიან, და ეს ძალიან გულდასაწყვეტია.“

სომხეთის კიდობანი განასახიერებს სოფლის ინოვაციებს მდგრადი განვითარებისადმი მისი ინტეგრირებული მიდგომით, რომელიც აერთიანებს გარემოს დაცვას, ეკონომიკურ დივერსიფიკაციას და საზოგადოების გაძლიერებას. როგორც ტრადიციული ცოდნის, ასევე თანამედროვე პრაქტიკის გამოყენებით, ორგანიზაცია არა მხოლოდ აცოცხლებს სოფლებს, არამედ აყალიბებს მოდელს, თუ როგორ შეიძლება აყვავდნენ სოფლის თემები ბუნებრივ გარემოსთან ჰარმონიაში. მისი ნამუშევარი ცხადყოფს, რომ ინოვაციების, განათლებისა და საზოგადოების ჩართულობის სწორი ნაზავით, სოფელი შეიძლება გახდეს ენერგიული და მდგრადი, რაც შესთავაზებს მდგრად საარსებო წყაროს მის მაცხოვრებლებს.

„მე რომ შემეძლოს ერთი რჩევის მიცემა მეწარმეობის მსურველთათვის მოშორებულ მთიან ადგილებში, ეს იქნებოდა მისიაზე ფიქრი და შესაბამისი მოქმედებების განხორციელება. მე განცდა მაქვს, რომ ეს პროექტი ჩემი მისიაა. როგორც კი ამას გაიაზრებ, შეგიძლია დათმობებზე წასვლა და იმ გრძნობით ცხოვრება, რომ შენს ცხოვრებას აზრი აქვს. ყველაფერი დანარჩენი მოვა, თუ სწორ ადგილას ხარ.“

არმენ კაზარიანი

წყაროები

https://www.arkarmenia.com/our-projects.html

https://ace.aua.am/files/2017/04/Siranush-Vardanyan-ARK-Bridge-project.pdf

პირადი კომუნიკაცია არმენ კაზარიანთან 15/08/2024

ინოვაციის პასპორტი

ინოვაციის მიმართულება		ინოვაციის ტიპი
		
სოფლის მეურნეობა და ღირებულებათა ჯაჭვი	**მარკეტინგი და ბრენდირება**	**პროდუქტის ინოვაცია**
ონლაინ პლატფორმის შექმნით, ადგილობრივი ორგანული პროდუქტების ღირებულების ჯაჭვი უფრო დამოკლდა, რამაც მწარმოებლებს უფრო დიდი მოგების მარჟის საშუალება მისცა.	ონლაინ პლატფორმაზე შემოთავაზებული ყველა პროდუქტი ორგანულია, რაც იძლევა ორგანული პროდუქტების შიდა ბაზრის შექმნის საშუალებას, რითაც ამცირებს საერთაშორისო ბაზრებზე დამოკიდებულებას.	ახალი ონლაინ პლატფორმის შექმნამ საშუალება მისცა ორგანული პროდუქტების მწარმოებლებსა და მომხმარებლებს უშუალოდ დაუკავშირდნენ ერთმანეთს.

კონტექსტი და ზოგადი ინფორმაცია

როგორც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, კოსოვოშიც მცირე კერძო ფერმერები ბაზრებზე წვდომის გამოწვევის წინაშე დგანან. ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო მეურნეობების უმეტესობა მცირეა და ნაწილობრივ საარსებო წყაროს შექმნაზეა ორიენტირებული. წარმოება, ძირითადად, საკუთარი მოხმარებისთვის ხდება. ის მცირე რაოდენობები, რომლის წარმოებასაც ისინი ახერხებენ, ხშირად ვერ აკმაყოფილებს დიდი ბაზრებისა და კომერციული შემსყიდველების, როგორიცაა სუპერმარკეტი, რაოდენობრივ მოთხოვნებს. გარდა ამისა, ბევრ ფერმერს არ აქვს წვდომა ბაზრის ინფორმაციაზე, როგორიცაა ფასები, მოთხოვნის ტენდენციები და მყიდველების მოთხოვნები. ეს იწვევს სამართლიან ფასებზე მოლაპარაკებისა და მომგებიანი ბაზრების იდენტიფიცირების სირთულეებს.

იმავდროულად, კოსოვოს აქვს მდგრადი კლიმატი და ნიადაგი ორგანული წარმოებისთვის და ეს უკანასკნელი იზრდება. ორგანული წარმოების უმეტესი ნაწილი ექსპორტირებულია ევროკავშირის სხვა ქვეყნებში და ორგანული საკვების მიწოდება კოსოვოში ძალიან შეზღუდულია. მხოლოდ რამდენიმე მაღაზია სთავაზობს მხოლოდ ორგანულ საკვებ პროდუქტებს. ორგანულ საკვებ პროდუქტებზე მოთხოვნა საკმაოდ დაბალია და ეს შეიძლება ძირითადად გამოწვეული იყოს დაბალი მსყიდველობითი უნარით და მომხმარებელთა ინფორმირებულობის ნაკლებობით ორგანული საკვები პროდუქტების შესახებ. თუმცა, მზარდი ურბანული და განათლებული მოსახლეობის პირობებში, მოთხოვნა მოსალოდნელია, რომ გაიზრდება.

ფერმიდან კარამდე სტრატეგია გულისხმობს მიწოდების ჯაჭვის მიდგომას, სადაც სოფლის პროდუქცია მომხმარებელს კართან პირდაპირ მიეწოდება ფერმიდან. ამით ტრადიციული შუამავლების - ბითუმად მოვაჭრეების, საცალო მაღაზიებისა და სუპერმარკეტების გვერდის ავლა ხდება. ეს სტრატეგია არის პირდაპირ მომხმარებელთან მოდელი, რომელიც მიზნად ისახავს ახალი, უფრო მიკვლევადი და ხშირად, უფრო მდგრადი ფორმით წარმოებული პროდუქციის მომხმარებელთან მიტანას. ეს არის უფრო ფართო მოძრაობის ნაწილი ადგილობრივი და მდგრადი კვების სისტემებისკენ, სადაც მომხმარებლები სულ უფრო მეტად არიან დაინტერესებულნი, იცოდნენ, საიდან მოდის მათი საკვები და როგორ იწარმოებოდა იგი. ფერმა-კარამდე სტრატეგია ემთხვევა ევროკავშირის ფერმიდან ჩანგლამდე (Farm to Fork) სტრატეგიას, რადგან ორივე ორიენტირებულია უფრო მდგრადი და გამჭვირვალე კვების სისტემის შექმნაზე.

ციფრული პლატფორმის შექმნა, რომელიც უშუალოდ შესთავაზებს ადგილობრივ ორგანულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას მომხმარებლებს, ცდილობს გადაჭრას სამივე გამოწვევა: სოფლის მეურნეობის მწარმოებლებისთვის მოკლე მიწოდების ჯაჭვზე დაფუძნებული ბაზრის შექმნა, წვლილის შეტანა ორგანული წარმოების ეროვნული ბაზრის შექმნაში და მომხმარებელთა გამოცდილების ხელშეწყობა ახალ და ორგანულ პროდუქტებზე წვდომისათვის.

ინოვაცია და წარმატება

ოთხი დამწყები მეწარმე, რომლებიც კოსოვოს სხვადასხვა ნაწილიდან არიან, ჯენტიან კრასნიქი, ეთნიკ დულა, შკელზენ იბიში და ალბიონ სარაქი, იზიარებდნენ საერთო ხედვას კოსოვოს სოფლის ტიპის დასახლებებში სოფლის მეურნეობის მწარმოებელთა განვითარებისთვის, რომლებიც მომხმარებელს სთავაზობენ ჯანსაღ და ორგანულ პროდუქტებს. არცერთი მათგანი იცნობდა ერთმანეთს, ვიდრე მონაწილეობას მიიღებდნენ USADI-ის მხარდაჭერილ მეწარმეობის სკოლაში. ამ კურსის განმავლობაში მათ აღმოაჩინეს საერთო ხედვა და ინტერესი

სოფლის განვითარების მიმართ. შესაბამისად, მათი ინდივიდუალური ხედვა და ოცნება გარდაიქმნა ტრანსფორმაციულ კონცეფციად: ProduktеFresh. ეს ციფრული ბაზარი პირდაპირ აკავშირებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლებს მომხმარებლებთან და სთავაზობს ფერმერებს, პირდაპირ წარუდგინონ თავიანთი პროდუქცია. ციფრული ბაზარი იყენებს დევიზს „მიირთვით ახალი პროდუქტები, დაეხმარეთ ადგილობრივ ფერმერებს“.



სოფლის მეურნეობის პროდუქტების არჩევანი ProduktеFresh ციფრულ პლატფორმაზე
წყარო
https://produktefresh.com/en/shop/climate-friendly-wine

ასეთი ადგილობრივი პლატფორმის შექმნას, რომელიც აკავშირებს სოფლის მეურნეობის მწარმოებლებს პირდაპირ მომხმარებლებთან, რამდენიმე უპირატესობა აქვს. პირველ რიგში, მას შეუძლია ადგილობრივი ფერმერების შემოსავლის გაზრდა. შუამავლების ამოღებით, ფერმერებს შეუძლიათ უფრო სამართლიანი ფასის მიღება თავიანთი პროდუქტებისთვის, რითაც იუმჯობესებენ საარსებო წყაროს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კოსოვოში, სადაც სოფლის მეურნეობა სოფლად მცხოვრები შინამეურნეობების ძირითად შემოსავლის წყაროს წარმოადგენს. ასევე, პირდაპირი კავშირი მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის ხელს უწყობს ფასების გამჭვირვალობას, ამცირებს შუამავლების მიერ მათ ექსპლუატაციას. იმავდროულად, პლატფორმა, რომელიც აკავშირებს ადგილობრივ მწარმოებლებს მომხმარებლებთან აძლიერებს ადგილობრივი საკვების მიწოდების ჯაჭვს. ამას შეუძლია დაეხმაროს კოსოვოს, გახდეს უფრო თვითკმარი და ნაკლებად დამოკიდებული იმპორტირებულ საკვებზე, რითაც ძლიერდება სურსათის უსაფრთხოება. ასევე მომხმარებელს შეუძლია ისარგებლოს უფრო ახალი, ადგილობრივად მოყვანილი პროდუქტით, რომელიც ხშირად უფრო სასარგებლო და ხარისხიანია, ვიდრე იმპორტირებული საქონელი. ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობას ასევე აქვს აშკარა გავლენა მდგრადობაზე. ადგილობრივი, მდგრადი პროდუქტების ბაზრის შექმნით, პლატფორმას შეუძლია ფერმერების სტიმულირება, გამოიყენონ ეკოლოგიურად სუფთა მეურნეობის პრაქტიკა. ეს გადამწყვეტია კოსოვოს ბუნებრივი რესურსებისა და ბიომრავალფეროვნების დასაცავად. ადგილობრივი მოხმარება ასევე ამცირებს

საქონლის გრძელვადიანი ტრანსპორტირების აუცილებლობას, ამცირებს სათბურის გაზების ემისიას და ხელს უწყობს მდგრადობას. და ბოლოს, ასეთ პლატფორმას ასევე შეუძლია გაზარდოს ადგილობრივი მოთხოვნა ორგანულ პროდუქტებზე.

ჯენტიან კრასნიქი, ProduktFresh-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი გვიხსნის, რომ ProduktFresh აერთიანებს მდგრადობას თავის ოპერაციებში სურსათის მიერ გავლილი მანძილის შემცირებით და პოპულარიზაციას უწევს ეკო-მეგობრულ შეფუთვას. დამატებით, როდესაც მომხმარებლები და ფერმერები პირდაპირ არიან დაკავშირებულები ერთმანეთთან, ის ამცირებს ნარჩენებს და პოპულარიზაციას უწევს ახალი პროდუქციის წარმოებას. ისინი ცდილობენ ორგანული წარმოების პოპულარიზაციას, თუმცა ძირითადი ფოკუსი ადგილობრივ წარმოებაზეა, რომელიც ძირითადად, ორგანულია დადასტურების გარეშე. კოსოვოში ადგილობრივი პროდუქციის ბაზარი ნამდვილად არსებობს, თუმცა ჯერ კიდევ არის სივრცე დამოწმებული ორგანული პროდუქციის გაზრდისთვის. პლატფორმებს, როგორიცაა ProdukteFresh, შეუძლიათ როლის თამაში ახალი ბაზრების გახსნის კუთხით.

პლატფორმა გაეშვა 2024 წლის იანვარში და მაშინვე მიიპყრო ყურადღება. პლატფორმას აქვს მომხმარებელზე ორიენტირებული ინტერფეისი, რომელიც იზიდავს როგორც მომხმარებლებს, ასევე ახალ ფერმერებს. დღეს, ოცი ადგილობრივი ფერმერი სთავაზობს ჯანსაღ და ორგანულ პროდუქტს ონლაინ აუდიტორიას. შეთავაზებული პროდუქცია ძალიან მრავალფეროვანია, დაწყებული ახალი პროდუქტებიდან დამთავრებული გადამუშავებული პროდუქტებით, როგორიცაა სასმელები, თაფლი და ბოსტნეულის მწნილი.

ჯენტიან კრასნიქი, ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრი, გვიხსნის რომ ProdukteFresh-ის წარმატება მოიცავს ფერმერების მცირე რაოდენობის პლატფორმაზე მოზიდვას და მათთვის შესაძლებლობის მიცემას, ხელშეკრულებები გააფორმონ სხვადასხვა ბიზნესთან პროდუქციის პოპულარიზაციისა და კონკურენტული ფასების შეთავაზების გზით. ჯენტიანი განმარტავს, რომ ისინი თანამშრომლობენ ადგილობრივ ფერმერებთან ადგილობრივ თემებში სტუმრობით, მათი საჭიროებების გაცნობიერებითა და ნდობის აღდგენით. შემდეგ ისინი სთავაზობენ ჩართვის მარტივ პროცესებს და უზრუნველყოფენ პრაქტიკულ მხარდაჭერას, რათა დაეხმარონ მათ ადვილად გაიგონ ახალი ტექნოლოგია და შეუერთდნენ პლატფორმას. ამიტომ, მონაწილე ფერმერები ხედავენ ზრდას გაყიდვებში, უკეთეს ხილვადობას ბაზარზე და პროდუქტების გაუმჯობესებულ პოპულარიზაციას, რაც შედეგად იძლევა უფრო მდგრად შემოსავალს და გაზრდილ ბიზნეს შესაძლებლობებს. გარდა სოციალური მედიისა და ციფრული მარკეტინგის გამოყენებისა, ჯენტიანი განმარტავს, რომ ProdukteFresh მასპინძლობს ღონისძიებებს და სემინარებს, რომლებითაც ხმას აწვდენენ მომხმარებლებს. უფრო

მეტიც, ისინი თანამშრომლობენ ადგილობრივ ბიზნესებთან მათი აუდიტორიის გაფართოებისთვის.

ფერმერი მურატ ჰასანი იძლევა სატელევიზიო ინტერვიუს ProdukteFresh-ში მის მონაწილეობაზე
წყარო:
https://www.facebook.com/watch/?v=1503930193504628

ერთ-ერთმა მონაწილე ფერმერმა, მურატ ჰასანიმ, ინტერვიუ მისცა პლატფორმის დამფუძნებელ წევრთან ერთად. მან განმარტა, რომ ის ყიდდა ხორცის სხვადასხვა სახეობას. მან ProdukteFresh-ის შესახებ გაიგო სოციალური მედიის საშუალებით. რამდენიმე შეხვედრის შემდეგ მან შეძლო პლატფორმასთან მიერთება. როდესაც ჰკითხეს მისი გამოცდილების შესახებ პლატფორმასთან დაკავშირებით, მურატმა თქვა, რომ "ჩვენ დავიწყეთ ამის კეთება იანვარში და ეს დაგვეხმარა გაყიდვების გაზრდაში იმაზე მეტად, ვიდრე მოველოდით.ჩვენ უკვე გავზარდეთ პროდუქციის რაოდენობა პლატფორმაზე და შეიძლება, კიდევ დავამატოთ. ჩვენ ნამდვილად გვჭირდებოდა ეს პლატფორმა და ის ადრეც უნდა გვქონოდა".

წამოწვევები და სამომავლო გეგმები

ProdukteFresh ძალიან ახალი ინოვაციაა, თუმცა პროექტის ახალგაზრდა გუნდს უკვე აქვს ნათელი ხედვა პლატფორმის ყოვლისმომცველ სოფლის მეურნეობის ჰაბად გაფართოებისთვის. ეს გააძლიერებს ეკონომიკურ ზრდას და დაეხმარება ადგილობრივ ფერმერებს.

ProdukteFresh-ის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა კომპანიის ლოჯისტიკის ადგილობრივი მიტანის სერვისთან პარტნიორობაზე დამოკიდებულებაა. მომავალში, მათ იმედი აქვთ დააფუძნონ საკუთარი ლოჯისტიკის სისტემა მეტი კონტროლისა და ეფექტიანობისთვის. ამ პროცესისთვის ისინი აქტიურად იძიებენ ინვესტიციებს.

გარდა ამისა, ProdukteFresh მიზნად ისახავს გახდეს ყოვლისმომცველი პლატფორმა, რომელიც აერთიანებს ყველა შესაბამის აქტორს სოფლის მეურნეობის სფეროში: მწარმოებლებს, მომხმარებლებს, კერძო აგრობიზნესებს, ფინანსურ ინსტიტუტებს, საჯარო დაწესებულებებს და ა.შ. ისინი, ასევე, გეგმავენ ოპერაციების გაფართოებას დასავლეთ ბალკანეთში, ვინაიდან საკმაოდ ძლიერმა ფერმერებმა სთხოვეს კომპანიას ამის გაკეთება.

ნასწავლი გაკვეთილები

კოსოვოში "ProduktеFresh" სოფლის ინოვაციის კარგი მაგალითია, რომელიც აკავშირებს ადგილობრივ ფერმერებს მომხმარებლებთან, რითაც აძლიერებს რეგიონში სოფლის მეურნეობას. ეს ინიციატივა ფოკუსირებულია პირდაპირი მიწოდების ჯაჭვის შექმნაზე, რომელიც საშუალებას აძლევს ფერმერებს, მიჰყიდონ თავიანთი ახალი პროდუქტი პირდაპირ მომხმარებლებს, რაც ამცირებს შუამავლებზე დამოკიდებულებას. ამით ის არამარტო უზრუნველყოფს ფერმერებისთვის უკეთეს ფასებს, არამედ უზრუნველყოფს მომხმარებლებისთვის მაღალი ხარისხის, ადგილობრივად მოპოვებულ საკვებზე წვდომას.

უფრო მეტიც, "ProduktеFresh" იყენებს ტექნოლოგიას ოპერაციების გასამარტივებლად, სთავაზობს ონლაინ პლატფორმას, რომელიც აკავშირებს მყიდველებსა და გამყიდველებს. ეს მომხმარებლისთვის მოსახერხებელი და შედარებით მარტივი ციფრული მიდგომა არა მხოლოდ ახდენს სოფლის მეურნეობის პროდუქტების მარკეტინგის მოდერნიზებას, არამედ ხელს უწყობს ადგილობრივი ფერმერებისა და მათი პროდუქტების ხილვადობის გაზრდას. ინიციატივა ხელს უწყობს მდგრად სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკასა და საზოგადოების ჩართულობას, ამძაფრებს ადგილობრივი სიამაყის გრძნობას და სოფლის ეკონომიკის მხარდაჭერას. მთლიანობაში, "ProduktеFresh" ასახავს იმას, თუ როგორ შეუძლია ინოვაციურ მიდგომებს გააცოცხლოს სოფლები, გააუმჯობესოს საარსებო წყარო და წვლილი შეიტანოს სასურსათო უსაფრთხოებაში კოსოვოში.

როგორც რჩევა დამწყებ მეწარმეებისთვის, რომლებიც მუშაობენ სოფლის განვითარებაზე, ჯენტიანი ამბობს, რომ მეწარმეებმა ჯერ უნდა გააცნობიერონ, რომ ფერმერობა მოითხოვს დროსა და ძალისხმევას, მაგრამ ჯილდო ამად ღირს. ამასთანავე, მეწარმეებმა მჭიდრო ურთიერთობები უნდა აშენონ ადგილობრივ თემებთან და ამის შემდეგ ფოკუსირდნენ ინოვაციურ გადაწყვეტებზე, რომლებიც დააკავშირებთ ფერმერებს პირდაპირ ბაზრებთან.

წყაროები

https://www.usaid.gov/kosovo/news/apr-15-2024-produkte-fresh-transforming-agriculture-through-innovation

https://produktefresh.com/en/

https://www.facebook.com/produktefresh/videos/1503930193504628

https://www.facebook.com/produktefresh/

https://www.mbpzhr-ks.net/repository/docs/NOAP_2023__2026_ENG.pdf

პირადი კომუნიკაცია ჯენტიან კრასნიქთან 29/08/2024.

ინოვაციის პასპორტი

ინოვაციის მიმართულება			ინოვაციის ტიპი	
ეკოტურიზმი	**თანამშრომლობა**	**მარკეტინგი და ბრენდინგი**	**ორგანიზაციული ინოვაცია**	**პროდუქტის ინოვაცია**
რეგიონში ეკოტურიზმის განვითარება რეგიონის მდიდარ კულტურულ და კულინარიულ ისტორიაზე დაყრდნობით.	მრავალფეროვანი ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების ფართო კოალიციის შექმნა პროექტის გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველსაყოფად.	ახალმა ეკოტურიზმის აქტივობებმა მორავია რუკაზე მოაქცია, როგორც ღვინის დანიშნულების ადგილი და წაახალისა ადგილობრივი (ეკო) სერტიფიცირება ადგილობრივი მეღვინეებისთვის.	ერთიანი ქსელის შექმნით, ადგილობრივი მეღვინეები თანამშრომლობდნენ საერთო მარკეტინგის, ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ტურიზმის პოპულარიზაციაზე, რამაც მათ საშუალება მისცა ერთობლივად ისარგებლონ ვიზიტორთა გაზრდილი ნაკადითა და გაუმჯობესებული ხილვადობით.	ახალი ტურისტული პროდუქტებისა (ველოდა სალაშქრო ბილიკები, კულინარიული ფესტივალები,...) და მდგრადი წარმოების ახალი მეთოდების დანერგვა, რომელიც შთაგონებულია რეგიონის მთლიანი მდგრადი განვითარებით (ღვინის ეკო სერტიფიცირება)

კონტექსტი და ზოგადი ინფორმაცია

ჩეხეთის რესპუბლიკაში სამხრეთ მორავია ცნობილია როგორც ღვინის მწარმოებელი რეგიონი. რეგიონი მდიდარია კულტურული მემკვიდრეობითა და ფოლკლორული ტრადიციებით და მასში განთავსებულია სამი ადგილი, რომლებიც შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში. ისევე როგორც აღმოსავლეთ ევროპის ბევრი მოშორებული სასოფლო რეგიონი, სამხრეთ მორავია

აწყდება განვითარების გამოწვევებს, მათ შორის სოფლის მეურნეობის დივერსიფიკაციის პრობლემას, სოფლის დეპოპულაციას, ინფრასტრუქტურის ნაკლებობასა და სერვისებზე შეზღუდულ წვდომას. საჭირო იყო რეგიონის განვითარება, განსაკუთრებით სოფლად, კულტურული მემკვიდრეობის/ტრადიციების შენარჩუნებისა და ბუნებრივი ტერიტორიების პოპულარიზაციის პარალელურად. ამ გამოწვევებზე საპასუხოდ Nadace Prtnerstvi-მ (ჩეხეთის გარემოსდაცვითი პარტნიორობის ფონდი), დაიწყო მორავიის ღვინის ბილიკების პროექტი სამხრეთ მორავიის, როგორც „მთებისა და ღვინის რეგიონი“-ს აყვავების მიზნით.

ენოტურიზმი, როგორც ასევე ცნობილია როგორც **ღვინის ტურიზმი**, მოგზაურობის სახეობაა, რომელიც ფოკუსირდება ღვინის რეგიონების გაცმობითა და ღვინის დამზადების პრაქტიკით. ის აერთიანებს დაგემოვნების სიამოვნებასა და ღვინის შესახებ ცოდნის გაზრდას ტურისტულ აქტივობებთან, როგორიცაა ვენახის ტურები, მარნებში ვიზიტები და ღვინოსთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მონაწილეობა.

ინოვაცია და წარმატება

ველოსიპედით გასეირნება ვენახებში ადგილობრივი კულტურის შესწავლასთან ერთად მორავიის ღვინის ბილიკებზე წყარო: https://www.travelresearchonline.com/blog/index.php/2021/11/south-moravia-wine-trails-and-history-in-the-czech-republic/

ინიციატივა 1999 წელს დაიწყო როგორც თანამშრომლობის მცდელობა, რომელშიც ჩართული იყო მეღვინეობის 280 ქალაქი და სოფელი. ინიციატივას ხელმძღვანელობდა Nadace Prtnerstvi (პარტნიორობის ფონდი) ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან, მეღვინეებთან, ტურიზმის საბჭოებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. საკვანძო ლიდერები იყვნენ ანა ჩერკოვა, სოფელი ვლკოსის მერი და იურაჟ ფლამიკი, Greenways-ის მენეჯერი. მათი საქმიანობა ფოკუსირდა ღვინის 18 გზის ქსელისა და მათ გარშემო მაღალი ხარისხის პროდუქციის შექმნაზე, რაც მხარდაჭერილი იყო პროფესიონალური მარკეტინგული სტრატეგიით. ბილიკი 1,200 კილომეტრზე მეტი სიგრძისაა (დაახლოებით 745 მილი) და მოიცავს მარკირებულ ველო და სალაშქრო ბილიკებს. ბილიკი ერთმანეთთან აკავშირებს ღვინის მწარმოებელ 70 ქალაქსა და სოფელს, თავაზობს სხვადასხვა გამოცდილებას - მარნების ვიზიტებს, ღვინის დეგუსტაციას, ისტორიული ღირსშესანიშნაობების მონახულებასა და რეგიონის ბუნებრივი ლანდშაფტებით სიამოვნების მიღებას.

მორავიის ღვინის ბილიკების დაწყებამ მომენტალურად გაზარდა რეგიონის, როგორც ტურიზმის დანიშნულების ადგილის ხილვადობა. შესამჩნევი ზრდა ყო ვიზიტორების რაოდენობაში, განსაკუთრებით, რომლებიც ინტერესდებოდნენ ღვინისა და კულტურული ტურიზმით. პიკურ სეზონზე ყოველწლიურად ნახევარი მილიონი ტურისტი სტუმრობს მორავიის ღვინის ბილიკებს; ისინი რჩებიან ოჯახების საკუთრებაში არსებულ საოჯახო სასტუმროებში (რომლებიც ხშირად მეღვინეებს ეკუთვნით) და მონაწილეობენ ღვინის დეგუსტაციაში, კონცერტებში, ფესტივალებში და ადგილობრივი ხელოსნების მიერ ჩატარებულ მასტერკლასებში. ადგილობრივმა ბიზნესებმა, მათ შორის რესტორნებმა, საოჯახო სასტუმროებმა და ხელნაკეთი ნივთების მაღაზიებმა მაშინვე იგრძნეს მომხმარებლების რაოდენობის ზრდა, რამაც ხელი შეუწყო შემოსავლის გაზრდასა და დასაქმების ახალ შესაძლებლობებს.

არდადეგების სეზონის მიღმა მნიშვნელოვანი ტურისტული ღირსშესანიშნაობაა ღია მარნების ფესტივალი, რომელიც წელიწადში ორჯერ იმართება - გვიან შემოდგომას და ადე გაზაფხულზე. ყველაზე პოპულარული ორი ღონისძიებაა პალავას ღვინის მოსავლის ფესტივალი (Pálavské Vinobraní) და ზნოიმოს ღვინის ფესტივალი (Znojemské Vinobraní). ამ ფესტივალების დროს ტურისტებს შეუძლიათ მარნების სტუმრობა და ადგილობრივი ვენახების ღვინოების ფართო სპექტრის დაგემოვნება. ფესტივალი იწყება დიდი ფოლკლორული აღლუმით, სადაც წარმოჩენილია ტრადიციული სამოსი და ფოლკლორი. ფესტივალის მიმდინარეობისას სტუმრებს შეუძლიათ დაესწრონ ადგილობრივი მუსიკალური ჯგუფებისა და მსახიობების გამოსვლებს, და დააგემოვნონ ტრადიციული ჩეხური კერძები ადგილობრივ ღვინოსთან ერთად. დაბოლოს, ფესტივალი მასპინძლობს ადგილობრივი ხელნაკეთი ნივთების ბაზარს, სადაც შესაძლებელია სამახსოვრო საჩუქრების შეძენა. გარდა ახალი ტურისტული პროდუქტების შეთავაზებისა, ეს აქტივობები, ასევე, ხელს უწყობს რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის უფრო ფართო დაფასებას. მან ხელი შეუწყო საზოგადოებაში სიამაყისა და იდენტობის ძლიერი გრძნობის დამკვიდრებას და ის წარმოადგენს ერთგვარ პლატფორმას ადგილობრივი ხელოსნებისა და მწარმოებლებისთვის, რათა თავიანთი საქონელი უფრო ფართო აუდიტორიას გააცნონ, რაც კიდევ უფრო მეტად ახდენს ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციას.

ეკო-სერტიფიცირება არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც პროდუქტები, სერვისები ან ბიზნესები ფასდებიან და ხდება მათი გარემოსდაცვითი ღონისძიებებისა და მდგრადი პრაქტიკების სერტიფიცირება. ეს სერტიფიცირება, როგორც წესი, მიუთითებს, რომ ორგანიზაცია ითვალისწინებს კონკრეტულ გარემოსდაცვით სტანდარტებს, ამცირებს თავის ეკოლოგიურ კვალს და პოპულარიზაციას უწევს მდგრად პრაქტიკებს.

და ბოლოს, პროექტი, რომელიც არის ინიციირებული გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად, ხელს უწყობს მდგრადი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის დამკვიდრებას და ადგილობრივი ღვინის მწარმოებლების ეკო-სერტიფიცირებას, რითაც მხარს უჭერს გარემოს დაცვის მცდელობებს. ერთ-ერთი ადგილობრივი ბიზნესი, რომელმაც გაიარა ეკო-სერტიფიცირება ადგილობრივი წარმოებისთვის არის Vinicola s.r.o, ოჯახის საკუთრებაში არსებული ბიზნესი, რომელიც ოპერირებს საბითუმო ვაჭრობის სექტორში, თუმცა, 2010 წლიდან ასევე აწარმოებს საკუთარი მორავიულ ღვინოს. 2021 წლის ივნისში იშვიათმა ტორნადომ გაანადგურა რამდენიმე სოფელი და ბიზნესის სიახლოვეს არსებული ვენახები. ამ გამანადგურებელი კლიმატური კატასტროფის შემდეგ კომპანიამ პირობა დადო, რომ აწარმოებდა კლიმატ-მეგობრულ ღვინოებს საკუთარ საწარმოო პროცესში ნახშირბადის ემისიების შემცირებით. კომპანიამ დაიწყო საკუთარი ნახშირბადის კვალის იდენტიფიცირება და დაანგარიშება ღვინის წარმოების მთლიანი სასიცოცხლო ციკლის მანძილზე. ნახშირბადის კვალის შემცირება იწვევს გარემოსდაცვით სარგებელს, მაგრამ პროდუქციის აშკარა ეკოლოგიური ბრენდირება ასევე საშუალებას აძლევს კომპანიას განასხვაოს ისინი კონკურენტებისგან მზარდი კონკურენტულ ბაზარზე.

ვინიკოლას წარმომადგენლები იღებენ ნახშირბადის კვალის მართვის სერტიფიკატს

წყარო: https://www.preferredbynature.org/news/moravian-winemaker-switches-making-climate-friendly-wine

ამბიციების მისაღწევად, Vinicola s.r..-მ გამოიყენა ნახშირბადის კვალის მართვის (CFM) სერტიფიცირება. "Preferred by Nature"-ის მიხედვით, რომელიც არის მასერტიფიცირებელი ორგანიზაცია, „CFM სერტიფიცირება არის ერთი-ფანჯრის პრინციპის გადაწყვეტა ნებისმიერი ზომის ბიზნესისთვის, რომელსაც კომუნიკაცია სურს თავისი ნახშირბადის ემისიებისა და კვალის შემცირებისკენ მიმართული ძალისხმევისა და წინსვლის შესახებ". ეს მოიცავს ნახშირბადის

შეფასებას ყველა ნაბიჯზე - წარმოება, ტრანსპორტირება, დასაწყობება, გადამუშავება და მოხმარება.

სერტიფიცირების დაწყების მომენტიდან, ვინიკოლამ უკვე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა უფრო მდგრადი საწარმოო პროცესის მისაღწევად. ისინი გეგმავენ, გახდნენ ნახშირბად-ნეიტრალურები 2024 წლისთვის მწვანე ელექტროენერგიის შეძენით, ელექტროენერგიის მოხმარების შემცირებითა და საკუთარი ფოტოელემენტების შეძენით. კომპანია, ასევე, გეგმავს გააუმჯობესოს ყურძნის, კომპოსტისა და სხვა საშუალებების ლოჯისტიკა. დამატებით, გარდა ამისა, ისინი ცდილობენ შეცვალონ ბოთლის ტიპი, რათა ის უფრო მსუბუქი იყოს და ასევე ხელს უწყობენ ნახშირბადის ოფსეტების გამოყენებას ნარჩენი ემისიების კომპენსაციის მიზნით. მათ ასევე განაახლეს ძველი საწარმოო ქარხანა, რომელიც მდებარეობს მათი ვენახების გვერდით, რათა შეემცირებინათ ყურძნის ტრანსპორტირება ვენახებიდან გადამამუშავებელ საწარმოებში.

გამოწვევები და სამომავლო გეგმები

მორავიის ღვინის ბილიკების დაწყებას ჩეხეთის რესპუბლიკაში თან ახლდა რიგი გამოწვევები. ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო სამხრეთ მორავიაში ღვინის ინდუსტრიის ფრაგმენტული ხასიათი, სადაც პატარა, დამოუკიდებელი მეღვინეების დარწმუნება იყო საჭირო, რომ ეთანამშრომლათ ამ ერთობლივ პროექტში, რომელსაც სარგებლის მოტანა შეეძლო მთლიანი რეგიონისთვის. გარდა ამისა, ველოსიპედის მარშრუტების განვითარება სოფლად მოითხოვდა არსებით ინვესტიციებს ინფრასტრუქტურაში, რაც მოიცავდა საგზაო პირობების გაუმჯობესებას და ბილიკების ხელმისაწვდომობისა და მონიშვნის უზრუნველყოფას. პროექტს ასევე უნდა დაეძლია ადგილობრივი თემებისა და ბიზნესის საწყისი სკეპტიციზმი, რომლებიც ვერ იაზრებდნენ ტურიზმზე ორიენტირებული ასეთი ინიციატივის პოტენციურ სარგებელს. უფრო მეტიც, კულტურული მემკვიდრეობის ღირსშესანიშნაობების ინტეგრაციისა და უფრო ფართო აუდიტორიისთვის ბილიკების მიმზიდველობისთვის - რაც მოიცავდა როგორც ღვინის მოყვარულებს, ასევე ჩვეულებრივ ტურისტებს - საჭირო იყო ფრთხილი დაგეგმვა და მარკეტინგული ძალისხმევა.

მორავიის ღვინის ბილიკების პოპულარობის მატებასთან ერთად, განსაკუთრებით მასობრივი ტურიზმის ზრდასთან ერთად, გაჩნდა გამოწვევები მდგრადობის კუთხით. ვიზიტორთა გაზრდილმა ნაკადებმა შეიძლება გადატვირთოს ადგილობრივი ინფრასტრუქტურა - გადატვირთული გზები, ნარჩენების მართვის პრობლემები და გარემოს დეგრადაცია მგრძნობიარე ვენახების ლანდშაფტებში. ასევე, არსებობს ადგილობრივი კულტურის გაუფერულების რისკი, ვინაიდან ტრადიციული პრაქტიკები შესაძლოა, შეიცვალოს ტურისტების მოლოდინების დასაკმაყოფილებლად. ეს პოტენციურად გამოიწვევს იმ ავთენტურობის

დაკარგვას, რაც თავდაპირველად იზიდავდა მოგზაურებს. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმი აძლიერებს ეკონომიკას, სარგებელი შესაძლოა, თანაბრად არ იყოს გადანაწილებული და დიდმა ბიზნესებმა პოტენციურად დაჩრდილონ მცირე მეწარმეები. ამ გამოწვევების მართვა საჭიროებს პასუხისმგებლიან ტურიზმზე ფოკუსირებას, რათა დაცული იყოს გარემო და ეკონომიკური სარგებელი სამართლიანად განაწილდეს თემში.

ნასწავლი გაკვეთილები

ეს მაგალითი აჩვენებს, თუ როგორ შეუძლია ადგილობრივი განსხვავებული დაინტერესებული მხარეების კოალიციას ხელი შეუწყონ რეგიონის განვითარების უფრო ყოვლისმომცველ მიდგომას, რაც უზრუნველყოფს პროექტის გრძელვადიან მდგრადობას. გამოცდილების ფართო სპექტრის შეთავაზებით (მაგალითად ლაშქრობა, ველო ტურები, კულტურული და კულინარიული ღონისძიებები და სხვა) შესაძლებელია, ადგილობრივი და საერთაშორისო ტურისტების დიდი აუდიტორიის მოზიდვა. შედეგად, შესაძლებელია უფრო ძლიერი და მდგრადი ტურისტული ეკონომიკის განვითარება. დაბოლოს, ამ მაგალითმა აჩვენა, როგორ შეუძლია მდგრადი პრაქტიკებისა და ეკო-სერტიფიცირების შემოღებას რეგიონის მიმზიდველობის გაზრდა და საერთაშორისო ტურიზმის ტენდენციებთან თანხვედრაში მოყვანა.

წყაროები

https://atitlan.pl/en/community-based-ecotourism/

https://www.greenways.by/index.php?content&id=111&lang=en

https://www.vinarske.stezky.cz/

https://www.nationalgeographic.com/travel/article/what-to-do-south-moravia-czech-wine-country

https://www.preferredbynature.org/news/moravian-winemaker-switches-making-climate-friendly-wine

https://www.preferredbynature.org/news/moravian-winemaker-switches-making-climate-friendly-wine

https://www.preferredbynature.org/certification/cfm

https://link.springer.com/chapter/10.1007/978-3-030-00437-8_22

ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობა მადაბას ქსოვის ტრადიციის პოპულარიზაციისთვის (იორდანია)

ინოვაციის პასპორტი

ინოვაციის მიმართულება		ინოვაციის ტიპი		
				
სოფლის მეურნეობა და ღირებულებათა ჯაჭვი	**მარკეტინგი და ბრენდინგი**	**პროდუქტის ინოვაცია**	**პროცესის ინოვაცია**	**სოციალური ინოვაცია**
მოკლე ღირებულებათა ჯაჭვის პროცესი თემს აძლევს შესაძლებლობას, შექმნას ახალი დასაქმების ადგილები, მოახდინოს მეწარმოების სტიმულირება და გაზარდოს მოგება. ეს ასევე მოიცავს იმ გზებს, რომლითაც ხდება პროდუქტის მარკეტინგი და მიწოდება.	ტექნოლოგიებით სარგებლობა და მდგრადი გადაწყვეტების ინოვაცია. რეგიონული ბრენდინგი ეხმარება პროდუქტის წარმოჩენასა და ადგილობრივი კულტურის შენარჩუნებას.	ვიზიტორთა ცენტრი წარმოადგენს ერთგვარ ჰაბს, სადაც ვიზიტორები და მქსოველები ერთმანეთს ხვდებიან. საერტაშორისო ხილვადობამ, ასევე, შესაძლებელი გახადა ახალი პროდუქტების შემოტანა, რომლებსაც გარკვეული სიახლე შეაქვთ ტრადიციულ წარმოებაში.	მოზაიკისა და ნაქსოვების შესაქმნელად ახალი მეთოდების, ტექნიკებისა და სისტემების გამოყენება და რეგიონის ისტორიული პოპულარობის გამოყენება.	ადგილობრივი ქალების თანამშრომლობამ ტრადიციული ხელნაკეთობა მომგებიან პროექტად აქცია, რომელიც წარმოადგენს მადაბას ცნობილი რეგიონის სავიზიტო ბარათს. ამ ძალაუფლებით ქალებმა შეძლეს, თავიანთი როლი გამოეკვეთათ საზოგადოებაში.

კონტექსტი და ზოგადი ინფორმაცია

მადაბა, ქალაქი იორდანიაში, ხშირად მოიხსენიება მოზაიკის ქალაქად და ცნობილია თავისი მდიდარი ისტორიული მემკვიდრეობით, განსაკუთრებით

თავისი უძველესი მოზაიკებით, რომლებმაც საუკუნეებს გაუძლო. დედაქალაქი ამანიდან სამხრეთ-დასავლეთით 30კმ.-ში განთავსებული ქალაქი იყო კულტურული გზაჯვარედინი, რომელმაც შემოინახა ბიზანტიური და უმაიდების მოზაიკები, რომლებიც იზიდავენ ტურისტებს მთელი მსოფლიოდან. მადაბას მემკვიდრეობა, ასევე განვითარდა ხანგრძლივი ისტორიის მქონე ქსოვის ტრადიციული ხელსაქმის მეშვეობით, რომელიც დღესაც წარმოადგენს იდენტობის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ელემენტს. თუმცა, ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად დადგა ახალი გამოწვევები ადგილობრივი ხელოსნებისა და მეწარმეების წინაშე. ამ ისტორიული მემკვიდრეობის შენარჩუნების აუცილებლობამ თანამედროვე მოთხოვნებთან ადაპტაციისას გამოიწვია ინოვაციური მიდგომები, რომლებიც ახალ სიცოცხლეს აძლევენ ტრადიციულ ხელობას. მადაბას მქსოველები დიდწილად დამოკიდებულები არიან ადგილობრივ ბაზრებზე და ვერ ახერხებდნენ გლობალურ აუდიტორიას. უფრო მეტიც, ინოვაციების აუცილებლობა ასევე წარმოიშვა საზოგადოებაში სამუშაო ადგილების შექმნის სტაგნაციიდან. ამ სირთულეებზე საპასუხოდ ადგილობრივი ქალების ჯგუფმა გადაწყვიტეს თავიანთი პატარა პროექტის შექმნა, რომელიც დიდ წარმატებად გადაიქცა და მადაბას ბრენდმა მოწინავე ადგილები დაიკავა ქსოვის ინდუსტრიაში იორდანიასა და მის ფარგლებს გარეთ.

წმინდა მიწის უძველესი რუკა დამზადებულია მოზაიკის ხელოვნების ფონდის მიერ წმინდა გიორგის ეკლესიაში, მადაბა, იორდანია

https://www.nationalgeographic.com/history/history-magazine/article/madaba-mosaic-oldest-map-jerusalem-holy-

ინოვაცია და წარმატება

მუქავირში, რომელიც მადაბას გვერდით მდებარეობს, ადგილობრივი ინიციატივა მიზნად ისახავს ქსოვის არსის შენარჩუნებას. ის შეიქმნა ადგილობრივი ქალების ხედვის საფუძველზე, რომლებმაც წამოიწყეს თანამშრომლობის ქსელი და შთააგონეს სხვა ქალებიც, მათ შეერთებოდნენ. „ბანი ჰამდას ქალების ქსოვის პროექტი“ წარმოადგენს ბედუინთა მემკვიდრეობის შენარჩუნების გზას და გზას უკვალავს სოციო-ეკონომიკურ პროგრესს. 13 სოფლის 1,600 ქალზე მეტია უკვე ამ პროექტში ჩართული, რომლებიც ხელით ქსოვენ შალის ხალიჩებს და შედეგად უკვე 5.1 იორდანულ დირჰამზე მეტი (6.5 მილიონი ევრო) აქვთ ანაზღაურების სახით ამ ქალებს მიღებული პროდუქტების შექმნისთვის. მოკლე ღირებულებათა

ჯაჭვი დაეხმარა ამ ქალებს პირდაპირ ეჩვენებინათ თავიანთი ნამუშევრები ადგილობრივი ბაზრებსა და საერთაშორისო გამოფენებზე. ამასთანავე, ინტერნეტ პლატფორმების განვითარებასთან ერთად, ეს უნიკალური პროდუქტები თავიანთ არსებობას უკვე იმკვიდრებენ ინტერნეტშიც. ეს წარმატება შეუძლებელი იქნებოდა „სათავო ოფისის“ ინოვაციური იდეის გარეშე, რომელიც წარმოადგენს ვიზიტორთა ცენტრის შენობას, სადაც ტურისტებს მისვლა შეუძლიათ. ეს ცენტრი სთავაზობს ტურისტებს შესაძლებლობას, პირდაპირ შეხვდნენ ქალებს და მონაწილეობა მიიღონ ხალიჩების ქსოვაში. ადგილობრივი ქალები ასევე, ამზადებენ საკვებს ვიზიტორებისთვის, რაც მათ სტუმრობას კიდევ უფრო დაუვიწყარს ხდის. შედეგად, პროექტი აძლიერებს ქალებს და მათ აძლევს საშუალებას, გახდნენ ტრენერები და წარმართონ ხელსაქმის ბიზნესის ტრენინგები ადგილზე ან რეგიონის დონეზე.

ბანი ჰამდას ქსოვის პროექტი

წყარო: https://traveljordanian.com/explore/history-and-cultural-tourism/bani-hamida-womens-weaving-project?lang=en

ვიზიტორების ცენტრის დაარსებამ რეგიონში, ასევე, შექმნა სამშენებლო მიმართულებით დასაქმების შესაძლებლობები, რაც მხოლოდ მისი რეპუტაციის ზრდას უწყობდა ხელს. პროექტის დაფინანსებას შემოუერთდნენ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორიცაა დედოფალი ნურ ალ ჰუსეინის ფონდი, რომელიც ჩვეულებრივ ჩართულია მადაბაში მდგრადი ტურიზმისა და თემის განვითარების ხელშეწყობაში ძალაუფლების ადგილობრივი მეწარმეების ხელში გადაცემით. ფონდმა გახსნა სუვენირების მაღაზია, რომელიც დასაქმების შესაძლებლობას აძლევს შშმ პირებსა და ლტოლვილებს.

ჰალიმა ალ ქაიდე ადგილობრივი ქალია, რომელიც მუშაობს ქსოვის პროექტში და

„მე ჩემი კარიერა ამ პროექტით დავიწყე. ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის არა მხოლოდ ეკონომიკური პერსპექტივიდან, არამედ პიროვნულადაც. შედეგად, როდესაც დავინიშნე, მე ცხადად ვუთხარი ჩემს საქმროს, რომ მუშაობას ქორწინების შემდეგაც გავაგრძელებდი. ახლა ბანი ჰამდაში ყველა ქალი როგორც მაგალითს ისე მიყურებს და ოჯახებსაც ესმით და იღებენ ქალის ფინანსური და სოციალური წვლილის სარგებელს“.

ჰალიმა ალ ქაიდე

სწორედ მისი დამსახურებაა ინიციატივაში ხარისხის კონტროლის შემოტანა. ჩამოსული ბანი ჰამიდადან, ძალიან ღარიბი რაიონიდან, მინიმალური რესურსებითა და ქალების დაბალი სოციალური სტატუსით, მან დაიწყო ხალიჩების ქსოვა და ახლა არის პროექტის მენეჯერი. ის იყო პირველი ქალი თავის სოფელში, რომელმაც მართვის მოწმობა აიღო და ახლა მიდის მქსოველების სახლებში, რათა განიხილოს უახლესი შეკვეთები, ფერთა სქემები და დიზაინი. მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, ჰალიმა გახდა კერპი და მისაბაძი მაგალითი სხვა ქალებისა და გოგონებისთვის მის თემში, გახდა პირველი ქალი სოფლიდან, რომელმაც იყარა კენჭი მუნიციპალურ ოფისში და გაიმარჯვა. ჰალიმა ახლა წარმოადგენს პროექტს საზღვარგარეთ ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ეგვიპტე, მაროკო, თურქეთი, საუდის არაბეთი, ფინეთი და აშშ. ის შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ მთავარ მიზეზად, თუ რატომ გაუქმდა იორდანიელ ბედუინ თემებში ქალებისთვის მუშაობის აკრძალვა და მიეცათ მათ ოჯახის მხარდაჭერის უფლება.

მადაბას მეწარმეებმა ასევე დაიწყეს ონლაინ პლატფორმების შექმნა და საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობა, რომლის მეშვეობითაც მათ შეძლეს თავიანთი ნამუშევრების წარმოჩენა უფრო ფართო ბაზარზე. რეგიონულმა ბრენდირების მცდელობებმა გადამწყვეტი როლი ითამაშა მადაბას პროდუქტების დიფერენცირებაში სხვაგან წარმოებული პროდუქტებისგან, რაც ხაზს უსვამს ქალაქის უნიკალურ კულტურულ მემკვიდრეობასა და ოსტატობას. ეს ერთდროულად ინარჩუნებს ადგილობრივ კულტურას და ზრდის მადაბას პროდუქციის აღქმულ ღირებულებას ადგილობრივ და გლობალურ ბაზრებზე.

ასევე გამოჩნდა პროდუქტის ინოვაცია ქსოვაში და სწორედ ეს იყო მადაბას წარმატების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი. მქსოველებმა წარმოადგინეს ახალი დიზაინი და ტექნიკა, რომელიც აერთიანებს ტრადიციულ მეთოდებს თანამედროვე სტილებთან, ხდის პროდუქტებს მიმზიდველს ფართო აუდიტორიისთვის და იმავდროულად უნარჩუნებს ავთენტურობას მათი ნამუშევრების. მაგალითად, ზოგიერთმა მქსოველმა გამოიყენა ახალი ნიმუშები და ფერები თავიანთ ქსოვილებში, შექმნეს პროდუქტები, რომლებიც აღქმადია როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო მომხმარებლებისთვის.



ახალი პროდუქტები და ახალი ფერები და ფორმები ახლა ხელით იქმნება და იყიდება ინტერნეტით, რათა მოიზიდონ და ხმა მიაწვდინონ უფრო ფართო აუდიტორიას, და იმავდროულად ფოკუსირდნენ რეგიონულ ბრენდინგზე https://lumeyo.com/product-category/winter-

ტრადიციულად, ქსოვა იყო ძირითადად ქალებისთვის „თობესა“ და ტრადიციული იორდანიული „შემაგის“ ქსოვისა და ქარგვისთვის, რაც არის ტრადიციული იორდანიული კაბა. ახლა, მქსოველებმა დაიწყეს ჩანთების, საფულეების, მაისურებისა და უფრო უნიკალური პროდუქტების დამზადება ტურისტებისთვის, რომლებიც სტუმრობენ უძველეს ქალას. ფაქტობრივად, მთავრობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერით, მოკლე ღირებულების ჯაჭვების გამოყენება დაეხმარა ხელოსნებსა და მქსოველებს თავიანთი პროდუქციის გავრცელებაში მრავალ ტურისტულ მაღაზიაში იორდანიის სხვადასხვა ადგილებში, როგორიცაა პეტრა, მკვდარი ზღვა, ვადი რუმი, ჯერაში და მის ფარგლებს გარეთ.

ქალები ტრადიციულად მიჩვეულები იყვნენ იორდანულ ნაქარგებსა და ნაქსოვებს თობესა (მარცხნივ) და შემაგი (მარჯვნივ)

გამოწვევები და სამომავლო გეგმები

წარმატების მიუხედავად, მადაბას ხელოსნები კვლავ აწყდებიან გამოწვევებს, განსაკუთრებით ზრდის შენარჩუნებისა და მუდმივად ცვალებად საბაზრო მოთხოვნებთან ადაპტაციის კუთხით. რამდენადაც მოთხოვნა უფრო სწრაფ და იაფ წარმოებაზე იზრდება, არსებობს ტრადიციული მეთოდების კომპრომეტირების რისკი. შესაბამისად, ადგილობრივი წარმოების გაფართოებისთვის, არის ტექნოლოგიებსა და ინფრასტრუქტურაში მუდმივი ინვესტიციების საჭიროება. კიდევ ერთ გამოწვევას წარმოადგენს უფრო ძლიერი მარკეტინგისა და დისტრიბუციის ქსელის არსებობა. მიუხედავად იმისა, რომ პროგრესი მიღწეულია ადგილობრივად, როგორც ზემოთ აღინიშნა, ადგილობრივი მოკლე ღირებულების ჯაჭვები დიდად არის დამოკიდებული ტურიზმზე და მასზე სრულად დაყრდნობა არასოდეს შეიძლება. როგორც ასეთი, გლობალურ საცალო ვაჭრობასთან პარტნიორობის დამყარება და ონლაინ ხილვადობის გაძლიერება უდავოდ დაეხმარება მადაბას პროდუქტებს უფრო ფართო აღიარების მოპოვებაში. დამატებით, ბევრი ქალი რჩება მოწყვლადად და ეკრძალებათ მუშაობა და ინიციატივაში მონაწილეობის მიღება. ხშირად შეუმჩნეველი ასპექტია იორდანიის ფართო მოსახლეობის როლი, როგორც შიდა ტურისტების, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ბანი ჰამიდას ქალების ადგილობრივი ბიზნესისა და სხვა ადგილობრივი პროექტების მხარდაჭერა, რომლებიც ხელს უწყობენ მთელი ქვეყნის ზრდას.

მადაბას მოგზაურობა აჩვენებს თანამშრომლობისა და ინოვაციების ძალას კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და გაძლიერებაში. ქალაქის ხელოსნებმა დაამტკიცეს, რომ მართლაც შესაძლებელია მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების დაცვა თანამედროვე სამყაროს მოთხოვნებთან ადაპტაციის პარალელურად. მადაბას გამოცდილებიდან ძირითადი გაკვეთილები მოიცავს ტრადიციული ცოდნის ახალ ტექნოლოგიებთან ინტეგრაციის მნიშვნელობას, თანამშრომლობის პოტენციალს, რეგიონული ბრენდინგის ღირებულებას პროდუქტების დიფერენცირებაში და მოკლე ღირებულების ჯაჭვების სარგებელს ადგილობრივი სამუშაო ადგილების შექმნასა და მეწარმეობის სტიმულირებისთვის. კულტურასა და თანამედროვე ტექნოლოგიებს შორის ბალანსის შენარჩუნებით, მადაბას მეწარმეებმა შეინარჩუნეს ქალაქის ისტორიული რეპუტაცია, როგორც მოზაიკისა და ქსოვის ცენტრი იორდანიასა და უფრო ფართო რეგიონში. მაშასადამე, იგი პოზიციონირდა, როგორც მოდელი სხვა თემებისთვის, რომლებიც ცდილობენ ინოვაციების შექმნას მათი უნიკალური კულტურული იდენტობების შენარჩუნებით.

ბანი ჰამიდას ქალთა ქსოვის პროექტის კოოპერატიული სტრუქტურა გვთავაზობს მაგალითს, თუ როგორ შეიძლება კოლექტიურმა ქმედებამ, განსაკუთრებით დაუცველ ჯგუფებს შორის, გამოიწვიოს სოციალური და ეკონომიკური გაძლიერება. თანამშრომლობა ახდენს მარგინალიზებული თემების მობილიზებას და აძლევს მათ რესურსებს, მხარდაჭერის სისტემას და პლატფორმას, რომელიც მათ სჭირდებათ მათი გარემოებების შეცვლისთვის. 13 სოფლიდან 1600-ზე მეტი ქალის შეკრებით პროექტმა გააძლიერა ქალების ხმა, რომლებიც სხვაგვარად შეიძლება შეუმჩნეველი დარჩენილიყვნენ. როგორც ასეთი, მან ქალებს საშუალება მისცა გაერთიანებინათ თავიანთი რესურსები და გაეზიარებინათ ცოდნა ქსოვის სფეროში, რათა შეენარჩუნებინათ მადაბას კულტურული მემკვიდრეობა და შეექმნათ მდგრადი შემოსავლის წყარო. როგორც გაკვეთილი სხვა ქვეყნებისთვის, ეს პროექტი ხაზს უსვამს ინკლუზიური გარემოს შექმნის მნიშვნელობას, რომელიც დაძლევს კონკრეტულ ბარიერებს, რათა მოწყვლადი ჯგუფები გაუმკლავდნენ სოციალური შეზღუდვებისა და ეკონომიკური დამოკიდებულების ციკლს. სანაცვლოდ, ქვეყნებს შეუძლიათ უზრუნველყონ ტრენინგი, შექმნან სამუშაო ადგილები და ხელი შეუწყონ თავიანთ მოქალაქეებს შორის კუთვნილებისა და სიამაყის გრძნობის გამყარებას. თანამშრომლობის ძალის წყალობით, ჰალიმა ალ-ქაიდე ხალიჩების ქსოვიდან გადავიდა პროექტის მენეჯერად, შთააგონებდა სხვა ქალებს, გაჰყოლოდნენ მის კვალს და ხელახლა განესაზღვრათ თავიანთი როლები საზოგადოებაში.

წყაროები

https://select.jo/explore-the-top-souvenirs-to-bring-home-from-jordan/

https://www.myjordanjourney.com/social-enterprise-jordan-river-foundation-bani-hamida

https://www.jordanriver.jo/en?__hstc=23725797.7e1b7331d16f743df5254c2a9b227d68.1724139777076.1724139777076.1724139777076.1&__hssc=23725797.1.1724139777076&__hsfp=3371279253&hsCtaTracking=09d932dc-14d7-4f75-93ad-6aa59b3dd85b%7Ca31897df-cb3e-460f-a2e6-a98048e6b0aa

https://jordanriverdesigns.com/usd_en/our-projects

https://jordantimes.com/news/local/king-visits-fortress-machaerus-bani-hamida-women-weaving-project

https://traveljordanian.com/explore/history-and-cultural-tourism/bani-hamida-womens-weaving-project?lang=en

https://www.alibarqawistudios.com/bani-hamida

https://lumeyo.com/product-category/winter-collection/

https://www.nationalgeographic.com/history/history-magazine/article/madaba-mosaic-oldest-map-jerusalem-holy-land

სოციალური მედია ვაჭრობისა და საერთო გამოწვევების საპასუხოდ (ყირგიზეთი)

ინოვაციის პასპორტი

ინოვაციის მიმართულება	ინოვაციის ტიპი	
სოფლის მეურნეობა და ღირებულებათა ჯაჭვი	**პროდუქტის ინოვაცია**	**ორგანიზაციული ინოვაცია**
ონლაინ ფერმერთა ჯგუფისა და პლატფორმის შექმნით, მწარმოებლები და მომხმარებლები უშუალოდ არიან დაკავშირებული, რაც ამოკლებს ღირებულების ჯაჭვებს.	ახალი ონლაინ პლატფორმის შექმნა და სოციალური მედიის გამოყენება მწარმოებლებისა და მომხმარებლების დასაკავშირებლად და ფერმერების მიერ ურთიერთდახმარებისშეთავაზების საშუალება.	ონლაინ პლატფორმა იძლევა ფერმერებს შორის ცოდნის გაზიარების შესაძლებლობას, რომლებსაც აქვთ მსგავსი გამოწვევები თავიანთი მოშორებული მდებარეობიდან გამომდინარე.

კონტექსტი და ზოგადი ინფორმაცია

ყირგიზეთში მცხოვრები ფერმერები დიდ გამოწვევებს აწყდებიან მათი შორეული მდებარეობის გამო, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ბაზრებზე წვდომას. ადგილობრივ და რეგიონულ ბაზრებზე შეზღუდული წვდომა ურთულებს მათ სამართლიან ფასად თავიანთი პროდუქტების გაყიდვას, რაც პირდაპირ აისახება მათ შემოსავალზე. ამასთანავე, ამ ფერმერებს ხშირად არ აქვთ განახლებული ინფორმაცია საბაზრო ფასების, მოთხოვნის ტენდენციებისა და პოტენციური მყიდველების შესახებ, რაც ხელს უშლით ინფორმირებული

გადაწყვეტილების მიღებაში რა აწარმოონ და როდის გაყიდონ. ტრანსპორტირების მაღალი ხარჯები მოშორებულ ბაზართან წვდომისთვის კიდევ უფრო ამცირებს მოგებას და მყიდველთა მხოლოდ შეზღუდული წრით, ისინი ხშირად იძულებულები არიან დაეყრდნონ მხოლოდ ადგილობრივ ბაზრებს, სადაც მყიდველიც და ფასებიც შეზღუდულია. ეს გამოწვევები ხაზს უსვამს გადაუდებელ აუცილებლობას უკეთესი ინფრასტრუქტურისა და ბაზრის ინფორმაციაზე გაუმჯობესებული წვდომისთვის, რათა დაეხმაროს ოჯახურ ფერმერებს ყირგიზეთში წარმატების მიღწევაში, მიუხედავად მათი შორეული მდებარეობისა.

ერთ-ერთი ფერმერი, რომელიც მსგავსი გამოწვევების წინაშე იდგა, არის კანატბექ კაპაროვი. 2018 წელს ამ ფერმერმა გადაწყვიტა, დაეწყო ფერმერთა ტელეგრამ ჯგუფი. ამ შეტყობინებების აპლიკაციას თითქმის 6 მილიონი მომხმარებელი ჰყავს ყირგიზეთში და არ შეიცავს ტექნიკურ შეზღუდვებს, რომლებიც სხვა აპლიკაციებს ახასიათებთ. ეს არის შესანიშნავი პლატფორმა დიდი რაოდენობით ინდივიდუალური პროფესიების შესაგროვებლად საერთო ინტერესებისა და მიზნების გასაზიარებლად. მას, ასევე, აქვს მომხმარებელზე მორგებული ინტერფეისი და შესაბამისად, კარგი პლატფორმაა ონლაინ ტრანზაქციების ხელშესაწყობად. კანათბეკის ტელეგრამ აპლიკაციის მიზანი იყო შეექმნა ჰაბი მეცხოველეობისა და მემცენარეობის პროდუქტების მცირე მწარმოებლებისთვის, რომლებსაც მსგავსი შეხედულებები აქვთ და მიეცა მათთვის შესაძლებლობა ეყიდათ და გაეყიდათ პროდუქცია, ისევე როგორც მიეღოთ რჩევები სხვებისგან სოფლის მეურნეობის საკითხებსა და გამოწვევებზე.

ინოვაციები და წარმატება

ქანათების ფერმერთა ჯგუფი (საწყისი სახელწოდება: :ფერმერლერი“ დაფუძნდა 2018 წელს და ახლა უკვე 2700 წევრი ჰყავს. ყველა ამ წევრს ახლა შეუძლია ადვილად დაუკავშირდეს ერთმანეთს, გამოიყენოს ერთმანეთის გამოცდილება და მოსაზრებები შორეულ და მთიან რეგიონებში მეურნეობის წინაშე არსებული დაბრკოლებების დასაძლევად. ამ პლატფორმით, მათ ახლა შეუძლიათ როგორც სხვა ფერმერებთან, ასევე პოტენციურ მომხმარებლებთან უფასოდ დაკავშირება.

ტელეგრამის შეტყობინებების ფოტო

წყარო: https://openknowledge.fao.org/server/api/core/bitstreams/91e34aa3-cc1b-4065-9839-

ფერმერებს, რომლებიც ინტერნეტ ჯგუფში არიან გაწევრიანებულები, შეუძლიათ ინფორმაციის გაცვლა სხვადასხვა საკითხზე. პირველ რიგში, პლატფორმა შესაძლებლობას აძლევთ ფერმერებს, პირდაპირ დაუკავშირდნენ (პოტენციურ) მომხმარებლებს. პოტენციურ მყიდველებს შეუძლიათ გამყიდველებთან პირდაპირი კომუნიკაციის დაწყება, რომლებსაც მარტივად შეუძლიათ პროდუქტის შესახებ ისეთი ინფორმაციის მიწოდება, როგორიცაა რაოდენობა და ფასი, პროდუქტების ფოტოები

და ვიდეოები. შესაბამისად, პლატფორმა წარმოადგენს ერთგვარ ბაზარს, სადაც მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შეუძლიათ ერთმანეთთან კომუნიკაცია. ეს შესაძლებლობას აძლევს ფერმერებს, გამოიყენონ ახალი ბაზრის შესაძლებლობები, შეამოკლონ ღირებულებათა ჯაჭვი და შესაბამისად, მიიღონ მეტი მოგება.

მეორე, ტელეგრამის ჯგუფი ასევე წარმოადგენს ურთიერთმხარდაჭერის შესაძლებლობას. მსგავსი გამოწვევების მქონე ფერმერებს შეუძლიათ გამოცდილების გაზიარება და საერთო ცოდნის გაზრდა ფერმერული პრაქტიკების შესახებ, როგორიცაა მოსავლის მართვა და პირუტყვის მოვლა, ისევე როგორც მარკეტინგის სტრატეგია.

და ბოლოს, ჯგუფი ასევე გამოიყენება სხვადასხვა აგრობიზნესის მიერ, რომლებიც ამ არხს იყენებენ საკუთარი პროდუქციის რეკლამირებისთვის და უზიარებენ განსაკუთრებულ შეთავაზებებს წევრებს.

რეგიონში არსებობს რამდენიმე მსგავსი ჯგუფი, თუმცა ეს კონკრეტული ჯგუფი გამოირჩევა კონკრეტული ბიზნეს გეგმით, რომელიც სთავაზობს მომსახურებას უფასოდ მართვის მინიმალური დანახარჯებით. ეს, ასევე, ხელს უწყობს ჯგუფის პოპულარობას.

პლატფორმის დამფუძნებელი კანატბექი ახლაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჯგუფის წარმატებაში. ის არის შინაარსის (კონტენტის) შემქმნელი, ხელს უწყობს დისკუსიას და ახდენს არხის მოდერაციას. მან ინტერნეტ სივრცეში თავისი არსებობა გააფართოვა და იყენებს Youtube-ის არხს და Facebook და Instagram-ის რამდენიმე პროფილს, სადაც სხვებს უზიარებს ღირებულ რჩევებს სოფლის მეურნეობის შესახებ. დამატებით, ის უძღვება სემინარებს ქვეყნის 40-მდე რეგიონში.

გამოწვევები და სამომავლო გეგმები

წარმატების მიუხედავად, ციფრულ გადაწყვეტებზე ფოკუსირება ბაზარზე და ინფორმაციასთან წვდომის უზრუნველსაყოფად რამდენიმე თანდაყოლილ გამოწვევას ატარებს. პირველ რიგში, დიდი რაოდენობის შინაარსს შეუძლია შეამციროს დიდი ინტერნეტ ჯგუფების ფოკუსი. ტელეგრამ ჯგუფის „ფერმერები“ გაფართოებასთან ერთად, მზარდი წუხილები არსებობს დიდი რაოდენობით შეუსაბამო შინაარსისა და რეკლამების მიმართ. ჯგუფის წესების მკაცრად აღსრულების გარეშე, პლატფორმა დგას მისი ძირითადი ფუნქციებიდან გადახვევის რისკის წინაშე, რაც არის ინტერნეტ ბაზარი და სანდო რჩევების წყარო. თუ სივრცე გადაიტვირთება არამიზნობრივი ინფორმაციით, წევრთა ჩართულობა შემცირდება, რაც გამოიწვევს წევრების მიერ პლატფორმის დატოვებას, თუ მის სარგებელს ვეღარ დაინახავენ. ეს თავისთავად შედეგად მოგვცემს „ფერმერთა“ ჯგუფის ეფექტურობის კლებას.

მეორე, მოშორებულ და მთიან რეგიონებში, ყველა ფერმერს არ აქვს ინტერნეტი, ან არასაკმარისად აქვთ ციფრული უნარები, რომელიც მათ შესაძლებლობას მისცემდა, ჩართულიყვნენ დისკუსიებში. ციფრული წიგნიერების ნაკლოვანებები - ხშირად თაობათა ან გენდერული განსხვავებების გამო - და მოწყობილობების

ხელმისაწვდომობის პრობლემები, როგორიცაა ფუნქციური ტელეფონების უფრო მეტი გავრცელება სმარტფონებთან შედარებით, აფერხებს პლატფორმასთან თანაბარ წვდომას. ეს გამოწვევები ხაზს უსვამენ მიმდინარე სირთულეებს, რომლებსაც აწყდება ინკლუზიური მონაწილეობის წახალისება მრავალფეროვან და გეოგრაფიულად მოშორებულ ადგილებში.

ნასწავლი გაკვეთილები

ტელეგრამ ჯგუფი „ფერმერები“ ახერხებს სოციალური მედიის შესაძლებლობების გამოყენებას მოშორებულ ადგილებში ფერმერთა მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. მრავალფეროვანი სოციალური მედიის სტრატეგიით, პლატფორმა და მისი შვილობილი აქტივობები ამოკლებენ ღირებულებათა ჯაჭვს მოშორებულ ადგილებში მცხოვრები ფერმერებისთვის და სთავაზობენ ფერმერებს ერთმანეთის დახმარებას. ეს, ასევე, ხაზს უსვამს თემის მშენებლობის მნიშვნელობას სოფლის განვითარების პროცესში. ეს თემები შეიძლება ძალიან ფართო იყოს და ინტერნეტ ინსტრუმენტები გამოსადეგია თემის ისეთი წევრების ერთმანეთთან დასაკავშირებლად, რომლებსაც საერთო ისტორიები და გამოწვევები აქვთ და რომლებიც სხვაგვარად ერთმანეთს ვერ შეხვდებოდნენ.

პლატფორმა, ასევე, ძალიან პოპულარულია, ვინაიდან მან მოახერხა ციფრული ინოვაციის ადაპტაცია სპეციფიური სამიზნე აუდიტორიის სურვილებსა და საჭიროებებთან. ყველაზე პოპულარული შეტყობინებების პლატფორმის გამოყენებით და უფასო სერვისის შეთავაზებით, პლატფორმამ ხმა მიაწვდინა ბევრ ფერმერს, რომელიც მოშორებით ცხოვრობს.

წყაროები

https://openknowledge.fao.org/server/api/core/bitstreams/91e34aa3-cc1b-4065-9839-392f39227132/content

https://www.facebook.com/groups/294795578126197/

5. დასკვნები და ნასწავლი გაკვეთილები

თანამშრომლობა და ქსელები რესურსებისა და ცოდნის გაერთიანებისთვის

ერთად მუშაობა გადამწყვეტია ცხოვრების გასაუმჯობესებლად შორეულ მთიან რაიონებში, სადაც შეზღუდული რესურსები, იზოლაცია და მძიმე პირობები ართულებს განვითარებას. ძალების გაერთიანებით, განსხვავებულ ჯგუფებს, როგორიცაა ხელისუფლება, არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნესები და ადგილობრივი თემები - შეუძლიათ რესურსების გაერთიანება, ცოდნის გაზიარება და ისეთი გამოცდილების მოზიდვა, რომელიც შესაძლოა, არ იყოს ხელმისაწვდომი ადგილზე. ეს გუნდური სამუშაო მნიშვნელოვანია აუცილებელი ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის, როგორიცაა გზები და სკოლები, ახალი ტექნოლოგიების დამკვიდრებისთვის და აძლიერებს ადგილობრივ ეკონომიკას ბაზართან უკეთესი წვდომითა და შემოსავლის შესაძლებლობებით, როგორიცაა ეკოტურიზმი.

ამ ანგარიშის თითქმის ყველა მაგალითი აჩვენებს სხვადასხვა ადამიანებს, ორგანიზაციებსა და დაინტერესებულ მხარეებს, რომლებიც ერთად მუშაობენ. ზოგიერთ შემთხვევაში, თავად პარტნიორობა იყო ინოვაცია. სხვა მაგალითებში, როგორიცაა ციფრული ტურების განხორციელება ყაზახეთში, თანამშრომლობა ბუნებრივად განვითარდა პროექტის წინსვლასთან ერთად. მაგალითად, ტურების წამოწყებამ ხელი შეუწყო მეტ პარტნიორობას ადგილობრივ და საერთაშორისო ტურისტულ ოპერატორებთან, როგორც ამას გვიხსნის სერიკ კონირბაიევი, ტურიზმის ექსპერტი კატონ კარაგაის ეროვნული პარკიდან:

„ჩვენ ვიწვევთ ტუროპერატორებს თანამშრომლობისთვის და ჩვენ, ასევე, ვმუშაობთ საერთაშორისო პარტნიორთან მონღოლეთიდან, რომლის წყალობითაც უფრო მეტი ტურისტი იგებს კატონ-ყარაგაის ეროვნული პარკის შესახებ "

თანამშრომლობის სპეციფიური სახეობაა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბება. ამ კოოპერატივებში ფერმერები და მწარმოებლები საკუთარი ნებით აერთიანებენ ძალებს საერთო ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მიზნების მისაღწევად. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოშორებულ მთიან რეგიონებში სოფლის განვითარების ხელშეწყობაში, კოლექტიური ძალისხმევის გამოყენებითა და ადგილობრივ ძლიერ მხარეებზე დაყრდნობით ახერხებენ მათი რეგიონისთვის დამახასიათებელი გამოწვევების დაძლევას. მაგალითად, მათ შეუძლიათ რესურსების გაერთიანება ერთობლივი ინვესტიციებისთვის, როგორიცაა ყველის საწარმო თუშეთში. კოოპერატივის მოდელი ასევე ეხმარება გარე დაფინანსების

მოზიდვას პროექტებისთვის. მონღოლეთში, კოოპერატივის წევრობამ წევრებს საშუალება მისცა, თავიანთი პროდუქტის ეტიკეტზე გამოეყენებინათ ნიშანი „მთის პარტნიორების პროდუქტები“.

სოციალური ინოვაცია, როგორც დისტანციური თემების ჩართვისა და მონაწილეობის კატალიზატორი

სოციალური ინოვაცია გადამწყვეტ როლს თამაშობს მოშორებული ადგილების უფრო ინკლუზიურ, დაკავშირებულ და ჩართულებად გარდაქმნაში გამოწვევებზე რეაგირებითა და ზრდის ახალი შესაძლებლობების გახსნით. ის მოიცავს ახალი გადაწყვეტების შექმნას, რომლებიც მორგებულია მარგინალიზებული ან იზოლირებული თემების საჭიროებებზე. მოშორებულ რეგიონებში ამან შეიძლება მოიცვას განათლების განვითარება და ცნობიერების ასამაღლებელი პროგრამები, რომლებიც ხელმისაწვდომია მოსახლეობის ფართო სპექტრისთვის, ან ისეთი ინიციატივების შექმნა, რომლებიც დააკავშირებს ადგილობრივ თემებს საერთაშორისო ტურისტებთან ტრადიციული კულტურის, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებით. მსგავსი პროექტები ეხმარება ნაკლოვანების შევსებას, აძლიერებს თემებს და ხელს უწყობს სიამაყის შეგრძნების განვითარებას სასოფლო ტერიტორიებისა და კულტურის მიმართ. სოციალური ინოვაცია გადამწყვეტი ელემენტი იყო ზოგიერთ ინოვაციურ მაგალითში, რომელიც ამ ანგარიშშია მოცემული.

ზოგიერთი პროექტის გულში არის მარგინალიზებული ჯგუფებისა და თემების ჩართულობა. მაგალითად, სომხეთის კიდობანს აქვს პროექტები, რომლებიც აძლიერებს ახალგაზრდებსა და ლტოლვილებს. ასევე, სერბეთში სოფლის ჰაბს აქვს პროგრამები, რომლებიც გამიზნულია მეწარმე ქალებისთვის, რათა გამოსწორდეს წარსულში არსებული უთანასწორობა. ყველა ეს პროექტი ხელს უწყობს ძლიერი თემების შენებას, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მოშორებული რეგიონების სოფლის განვითარებისთვის. თემის მშენებლობა აძლიერებს სოციალურ თანხმობას, თავდაჯერებულობას მატებს მოსახლეობას და ქმნის საფუძველს მდგრადი და ინკლუზიური ზრდისთვის. გეოგრაფიულად იზოლირებულ და ეკონომიკურად არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფ ადგილებში ძლიერ თემებს შეუძლიათ ინფრასტრუქტურასთან, რესურსებთან და სერვისებთან წვდომის გამოწვევებთან გამკლავება.

ასევე, იორდანიაში, ქალთა მიერ დომინირებული ქსოვის ინდუსტრიის მზარდმა ხილვადობამ აშკარა გავლენა მოახდინა ქალთა გაძლიერებასა და პოლიტიკურ წარმომადგენლობაზე. ქსოვის ასოციაციისა და ვიზიტორთა ცენტრის მიერ წამოყენებულმა კოლაბორაციულმა მოდელმა შეძლო მარგინალიზებული თემების მობილიზება. ის უზრუნველყოფს მათ რესურსებითა და ტექნიკური მხარდაჭერით. გარდა ამისა, ამან გაზარდა მათი დასაქმების შესაძლებლობები, რადგან ზოგიერთმა მქსოველმა შეძლო, გამხდარიყო ტრენერი.

მოშორებულ ადგილებში თემების საარსებო წყარო, ხშირად, პირდაპირ არის დამოკიდებული ბუნებრივ რესურსებზე, როგორიცაა ფერმერული საქმიანობა, მეთევზეობა და მეტყევეობა. მდგრადი პრაქტიკები აუცილებელია იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეს რესურსები ხელმისაწვდომი და ნაყოფიერი იყოს გრძელვადიან პერსპექტივაში და თავიდან იქნას არიდებული რესურსების გამოფიტვა, რაც საფრთხეს შეუქმნიდა თემის არსებობას. ამ ანგარიშში წარმოდგენილი ბევრი ინოვატორისთვის, საკუთარი რეგიონისა და ბუნების მიმართ სიყვარული იყო ინოვაციებისა და ადგილზე ინვესტირების მთავარი მოტივატორი. პაატა აბულაძე, ალაზნისთავის ყველის მწარმოებელთა კოოპერატივის დამფუძნებელი წევრი გვიხსნის, რომ:

„როგორც კი ბალახი იზრდება და ჰაერში გაზაფხულის სურნელს ვგრძნობ, მე სოფლისკენ მივიწევ და იმავეს განიცდის ფარა.”

ასევე, ჟილდიზ ასანაკუნოვა, ყირგიზეთში კულტურული სოფლის დამფუძნებელი, ნათლად გვიხსნის ბუნებასთან ღრმა კავშირს:

„კაცობრიობისთვის მდგრადი განვითარება ნიშნავს ბუნებასთან ჰარმონიაში ცხოვრებას, კომპლექსური სათუთი ურთიერთობითა და ადამიანებისა და ეკოსისტემის მიმართ ფრთხილი მიდგომებით“

მოშორებული რეგიონები, ხშირად, უფრო დაუცველები არიან კლიმატის ცვლილების ზემოქმედების მიმართ, მათ შორის არაპროგნოზირებადი ამინდი, წყალდიდობა და გვალვა. ისეთი პრაქტიკები, როგორიცაა პერმაკულტურა და ორგანული მეურნეობა, ეხმარება მედეგი სასოფლო-სამეურნეო სისტემების შექმნას, რომლებიც უკეთ გაუმკლავდებიან კლიმატის კლიმატის გამოწვევებს. ეს მეთოდები, ტიპიურად, მოიცავს ადგილობრივ ეკოსისტემებთან მუშაობას საკვები ნივთიერებისა და წყლის თვითკმარი ციკლის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც ამცირებს დამოკიდებულებას გარე ფაქტორებზე. მაგალითად, სომხეთის კიდობნის პროექტი იყენებს პერმაკულტურულ დიზაინს თავის ეკო-ბანაკებში ტურისტებისა და ადგილობრივი თემების გასანათლებლად მდგრადი ფერმერული მიდგომების საკითხებში.

წარმოების ტრადიციული მეთოდები, ხშირად, ბუნებრივად მდგრადია, იყენებენ ადგილობრივ რესურსებსა და გამოცდილებას. ამ მეთოდების გაგრძელებას ან გაცოცხლებას შეუძლია, მდგრადი წარმოების განვითარება. ეფექტური მარკეტინგის შემთხვევაში, ამ ტრადიციულ პროდუქტებს შეუძლიათ მიიზიდონ კონკრეტული ბაზრები, სადაც შესაძლებელია უფრო მაღალი მოგების მარჟის მიღება. რეგიონულ ან/და ორგანულ სერტიფიცირებას შეუძლია, ამ ძალისხმევის გაძლიერება. მაგალითად, საქართველოში ალაზნისთავის ყველის მწარმოებელთა

კოოპერატივმა მნიშვნელოვნად გაზარდა თავისი მოგება ტრადიციული და მდგრადი მეთოდების გამოყენებით მარკეტინგულ და ბრენდირების სტრატეგიაში. ანალოგიურად, მონღოლეთში ორგანული თაფლის კოოპერატივის წევრებმა იხილეს, თუ როგორ გაიზარდა მათ პროდუქციაზე მოთხოვნა მას შემდეგ, რაც დაიწყეს მათი გაყიდვა მონღოლეთის ორგანული ლოგოთი და მდგრადი მთის პარტნიორობის პროდუქტების ნიშნით.

ახალი ტექნოლოგიების დანერგვას შეუძლია, ხელი შეუწყოს გარემოს დაცვას. მაგალითად, საოჯახო ღვინის ბიზნესი ვინიცოლაში, ჩეხეთის რესპუბლიკაში ცდილობდა წარმოების სხვადასხვა მეთოდს, რათა შეემცირებინა მათი გარემოზე ზემოქმედება კლიმატის კატასტროფის შემდეგ. ამ შემთხვევამ მათ გააცნობიერებინა, რომ გარემოსთან ერთად, ვიდრე მის წინააღმდეგ მუშაობა უფრო მდგრადი და მომგებიანია გრძელვადიანად. კიდევ ერთი მაგალითია ბიორასი, კაკლის მწარმოებელი კომპანია საქართველოში. მზის პანელების დაყენებით, მათ არამხოლოდ გახადეს თავიანთი წარმოება უფრო მდგრადი და მომგებიანი, არამედ ასევე, თავიდან აირიდეს ძველი ელექტროენერგიის გადამცემი ხაზის აღდგენის საჭიროება, რომელიც გაანადგურებდა ტყის დიდ საფარს.

ციფრული ინოვაცია კავშირის გასაუმჯობესებლად და მოშორებული თემების პოტენციალის გასახსნელად

ციფრული ინოვაცია სასიცოცხლო მნიშვნელობის ხდება სოფლის განვითარებისთვის მოშორებულ მთიან რეგიონებში იმ სპეციფიური გამოწვევებიდან გამომდინარე, რომელიც ამ ტერიტორიებს აქვთ. ციფრული ტექნოლოგიები ეხმარება ფიზიკური დისტანციის შემცირებას, რომელიც ახდენს მოშორებული მთიანი რეგიონების იზოლაციას მსოფლიოს მასშტაბით. ინტერნეტთან წვდომით, თემებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ ბაზრებს, სერვისებსა და საგანმანათლებლო რესურსებს, რომლებიც მანამდე ხელმიუწვდომელი იყო. თემებს შეუძლიათ, დაუკავშირდნენ მსოფლიოს და მსოფლიოსაც შეუძლია დაუკავშირდეს მოშორებით მცხოვრებ თემებს. ციფრული ტურები, რომლებიც დისტანციურ ტურისტებს წვდომას აძლევს ყაზახეთის ბუნებრივ სილამაზეზე, ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უწყობს ციფრული ინოვაცია მოშორებული რეგიონების დაკავშირებას გარე სამყაროსთან. სერბეთში შეიქმნა აპლიკაცია, რომელიც ტურისტებს და სტუმრებს რეგიონის მდიდარ კულტურულ მემკვიდრეობას აცნობს. ადგილობრივი მეწარმეები ამ აპლიკაციას, ასევე, იყენებენ ტურისტებში თავიანთი ბიზნესისა და პროექტების პოპულარიზაციისთვის.

ციფრული ეკონომიკა იძლევა დისტანციური დასაქმების შესაძლებლობებს, რაც საშუალებას აძლევს ადგილობრივებს, მიიღონ შემოსავალი თავიანთი თემის დატოვების გარეშე. ეს შეიძლება იყოს გადამწყვეტი იმ ადგილებში, სადაც ტრადიციული სამუშაო ადგილები შეზღუდულია და შეიძლება დაეხმაროს ახალი მაცხოვრებლების მოზიდვასა და სოფლის დეპოპულაციის შემცირებას.

მაგალითად, სერბეთის სოფლის ჰაბი მიზნად ისახავს, გააძლიეროს ქალაქისა და სოფლის კავშირები, რათა მიიზიდოს ახალი მოსახლეობა და ვიზიტორები ადრე შეუმჩნეველ ადგილებში. ანალოგიურად, სომხეთის კიდობანი იკვლევს სოფლის ჰაბის შექმნას დისტანციური მუშაობისთვის, რათა დაეხმაროს სოფლის მიტოვებასთან ბრძოლას.

ეკოტურიზმი, როგორც სიცოცხლისუნარიანი საარსებო საშუალება და ადგილობრივი კულტურებისა და ტრადიციების გაცნობის გზა

ეკოტურიზმი ადგილობრივ თემებს შემოსავლის საიმედო წყაროს სთავაზობს ბუნებით, თავგადასავლებითა და კულტურული გამოცდილებით დაინტერესებული ვიზიტორების მოზიდვით. ეს განსაკუთრებით ღირებულია მოშორებული მთიანი ადგილებისთვის, სადაც ტრადიციული ეკონომიკური შესაძლებლობები შეიძლება, შეზღუდული იყოს. ეკოტურიზმი ქმნის დასაქმების ადგილებს სხვადასხვა სექტორში, მათ შორის სტუმარ-მასპინძლობა, გიდები, ტრანსპორტირება და ადგილობრივი ხელობა, რომელიც საჭიროებს ადგილობრივ ცოდნასა და უნარებს, რაც ეკონომიკურ სარგებელს აძლევს თემს. დამატებით, ისე ხელს უწყობს მცირე ბიზნესებს, როგორიცაა საოჯახო სასტუმროები, რესტორნები და ადგილობრივი ნაწარმის მაღაზიები, ახდენს ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციას და ამცირებს დამოკიდებულებას ერთ მიმართულებაზე, როგორიცაა სოფლის მეურნეობა.

ანგარიშში ხაზს უსვამს რამდენიმე ინოვაციურ ტურისტულ პროდუქტს, რომელიც შექმნილია ტურისტების მდგრადად მოსაზიდად და აერთიანებს ბუნებრივ სილამაზესა და ადგილობრივ კულტურას. სომხეთში, მაგალითად, მოინიშნა ახალი საფეხმავლო ბილიკები და ამ ბილიკების გასწვრივ მოეწყო ეკო-ბანაკები. ჩეხეთის რესპუბლიკაში საფეხმავლო და ველოსიპედის ბილიკები ვენახებს შორის შეიქმნა, რაც რეგიონის მდიდარ კულინარიულ მემკვიდრეობას გარე აქტივობებთან აკავშირებს. ამ პროექტების წარმატებამ ხელი შეუწყო დამატებით ინიციატივებს, მათ შორის ღვინისა და კულინარიული ფესტივალების ჩატარებას.

ეკო-ტურიზმი ადგილობრივ თემებს აძლევს პლატფორმას, ხაზი გაუსვან თავიანთ უნიკალურ კულტურას, ტრადიციასა და ცხოვრების სტილს. ვიზიტორებს, ხშირად, იზიდავს ადგილობრივი წეს-ჩვეულებების, მათ შორის ტრადიციული რეწვის, მუსიკის, ცეკვისა და სამზარეულოს ავთენტურობა. ინტერესი ხსნის ახალ ბაზრებს ადგილობრივი ხელოსნებისა და მეწარმეებისთვის, სადაც თავიანთი პროდუქციის გაყიდვა შეუძლიათ. კულტურულ გამოცდილებაზე მოთხოვნა იზრდება, ჩნდება განახლებული ინტერესი ტრადიციული ცოდნისა და პრაქტიკის შენარჩუნებისა და ახალგაზრდა თაობებისთვის გადაცემისადმი, ადგილობრივი კულტურების სიხალისისა და სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად. მაგალითად, ყირგიზეთში სახელოსნოები შეიქმნა ტრადიციული იურტების

მოსაწყობად, რამაც გამოაცოცხლა უძველესი პრაქტიკები და დაუკავშირა ისინი ეკოტურიზმის ტენდენციებს, სადაც ტურისტები ეძებენ ავთენტურ გამოცდილებას ბუნებაში. ანალოგიურად, ყაზახეთში, ადგილობრივმა ხელოსნებმა, როგორიცაა ხის ჩუქურთმები, მეტი ხილვადობა და მოგება მოიპოვეს ტურისტების მზარდი რაოდენობის გამო.

The Hague Academy for
local governance